ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არ ჩანს A3
ენერგეტიკა A8
გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 13 ნოემბერი, 2004 წელი. №270 (819)
ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

### შესაძლოა, "თელასი" საკუთარ მახეში გაებას



გუშინდელი დღე ენერგეტიკული თვალსაზრისით ერთობ მძიმე აღმოჩნდა. დღის მთავარ ეკონომიკურ თემად ის ფინანსური გარიგება იქცა, რომლის შედეგადაც საქართველომ ორი თვის მანძილზე, მინიმუმ, 225 000 დოლარით იზარალა.

A4

უცხოეთი

### ბინ-ლადენზე მონადირემ თანამდებობა დატოვა... ბუშის გასაკრიტიკებლად




ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი აკრძალულ თემებზე პრესასთან ღიად საუბარს აპირებს.

A5

საზოგადოება

### ვის ეხება კანონი მშენებლობის შესახებ



არქმშენინსპექციის ჯერ ისევ მოქმედი ხელმძღვანელის განცხადებით, სოლოლაკში მშენებარე ეს ცენტრი უკანონოა.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

# ბაგაფში უკან არ იხევს, რუსეთი ძალის გამოყენებით იმუქრება




*"დავიცვათ დემოკრატია აფხაზეთში!" - წაწერილია პლაკატზე, მაგრამ ხედავენ კი აფხაზები, ვინ უტევს დემოკრატიას აფხაზეთში?*

*სიტუაცია სოხუმში უკიდურესად დაძაბულია. სერგეი ბაგაფშის მომხრეებმა სოხუმის თითქმის ყველა ადმინისტრაციული შენობა დაიკავეს, მათ შორის, პარლამენტი, მთავრობის სახლი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია. გუშინ ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის მოლაპარაკებების ორი რაუნდი შედგა. "რაული ჩემი მეგობარი და უმცროსი ძმაა, ჩვენ კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათ, მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა პრეზიდენტის პოსტზე მუშაობას შევუდგები," - განაცხადა გუშინ ბაგაფშმა. ხაჯიმბამ კი შეხვედრის ადგილი უსიტყვოდ დატოვა.*

სოფო ბუკია

**"სროლა არ არის, მაგრამ სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია, მთელი ქალაქი ქაოსმა მოიცვა, არის ხელჩართული ჩხუბის შემთხვევებიც. ისმის გამაყრუებელი სტვენა და შეძახილები. სოხუმის ქუჩებში უამრავი ხალხია. ძნელია, განსაზღვრო მათი ზუსტი რიცხვი. ისინი სკანდირებენ - "ბაგაფში პრეზიდენტია,"** - იტყობინება რუსული სააგენტო "რეგნუმის" საკუთარი კორესპონდენტი სოხუმიდან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ნაციონალური" დაპირისპირება ბოლნისში

მაია მოსიაშვილი

"გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის" ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის გუშინდელი სხდომა, ფაქტობრივად, ჩაიშალა. ამ შეკრებაზე 22 ნოემბერს თბილისში წარსაგზავნი 31 დელეგატი და 93 მიწვეული სტუმარი უნდა დაესახელებინათ. შიდაპარტიულმა დაპირისპირებამ სწორედ მაშინ იჩინა თავი, როცა პარტიის წევრთა ნაწილმა სიაში თავის თავი ვერ აღმოაჩინა.

**"დელეგატები გახდნენ ის ადამიანები, რომლებსაც პარტიაში არაფერი გაუკეთებიათ. მათი სახეებიც კი არ გვახსოვს,"** - ამტკიცებდა ერთი ჯგუფი.

ორად გაყოფილი ბოლნისელი "ნაციონალები" ურთიერთბრალდებებს ცვლიან. ერთნი ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, პარლამენტარ კობა დვალიშვილს უპირისპირდებიან.

**" ბოლნისში ვარდების რევოლუცია არ მომხდარა, ისევ ძველი ფუნქციონერები სხედან კაბინეტებში,"** - ასეთია დვალიშვილის მომხრეთა ბრალდებები და ზუსტად იგივეს აცხადებს თავად ისიც.

**"4 თვეა კობა დვალიშვილი პარტიის ლიდერია. მან ნაციონალების ფრთის სრული იგნორირება მოახდინა და შემოგვითავალა, რაღაც ჯგუფებს მე არ ვხვდებიო. უსამართლოდ იქცევა და დაპირისპირების მიზეზიც ეს არის,"** - ამბობს ბოლნისის "ნაციონალური მოძრაობის" საორგანიზაციო მდივანი ლუიზა რეხვიაშვილი.

**"დვალიშვილი პარტიას არის ამოფარებული და პირადი ინტერესების გატარებას ცდილობს. ვინც არ მოუვიდა თვალში, ყველაზე უარი თქვა. ის არ შეიძლება, პარტიის ლიდერი იყოს, რადგან მას გუნდური პრინციპით მუშაობა არ შეუძლია. გამოგვიცხადა, აქ ერთპიროვნულად მე ვწყვეტ ყველაფერსო,"** - ამბობს ეთერ ჩუმაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ დვალიშვილის მარჯვენა ხელად ითვლებოდა.

პარტიიდან ძველი წევრების დათხოვნას "ბუნებრივ გადარჩევას" უწოდებენ პარტიაში დარჩენილი წევრები. "ნაციონალების" დიდი ნაწილი კი აცხადებს, რომ "დემოკრატებმა" მათი დაჩაგვრა მას შემდეგ დაიწყეს, რაც "გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის" რაიონულ ორგანიზაციას "დემოკრატი" დვალიშვილი ჩაუდგა სათავეში.

**"მე არ მინდოდა შიდა პარტიულ დაპირისპირებაში ჩარევა, მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ.**

გაგრძელება A3 გვერდზე

### რას გეგმავენ 23 ნოემბრისთვის

ნანა ქადაგიშვილი

*პრეზიდენტისა და ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 23 ნოემბერს ჩვენი დედაქალაქი ორ დღესასწაულს ერთად იზეიმებს - საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლის ორიათასწლეულს და ვარდების რევოლუციის ერთი წლისთავს. ამ დღის ღონისძიებებიდან ყველაზე დიდი გამოხმაურება მერიაში დაგეგმილ, 10-ათასი ლარის ღირებულების ოფიციალურ სადილს მოჰყვა. საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე "ლეიბორისტებმა" ამ თანხის უზედამხედველო ბავშვთა თავშესაფრისათვის გადაცემა მოითხოვეს. თუმცა, როგორც საკრებულოს უმრავლესობა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია განმარტავენ, ეს 10 ათასი ლარი ისეთი ღონისძიებისთვის იხარჯება, რაც სწორედ ჩვენნაირ ღარიბ ქვეყანას წაადგება.*

გაგრძელება A2 გვერდზე

### "მაფიოზების და ჯაშუშების დრო წავიდა..."

რა მოხდება ქართულ ცაზე

ოთარ ქირია

*"საქაერონავიგაციასა" და ზოგადად ავიაციაში მიმდინარე მოვლენებზე ტომებს დაწერდა კაცი... ნაკლები არც აქამდე შექმნილა, მაგრამ, საუბედუროდ, რეალური შედეგი მაინც იგვიანებს. ეტყობა, მართალია, როცა ამბობენ, რომ ხელისუფლება მხოლოდ მათ იჭერს, ვისაც თავისი ინიციატივით არ მიუტანია "სადაც საჭიროა" ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევარდნაძის ხელისუფლებას ათი ციხე არ ეყოფოდა. "საქაერონავიგაციის" ყოფილმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე სილაგაძემ რამდენიმე დღის წინათ სასამართლო წააგო, პროკურატურაში მასზე საქმეებია აღძრული, უშიშროება, საერთოდ, მის აყვანას აპირებდა, მაგრამ სილაგაძე გაქრა. სამაგიეროდ, მისი "დანატოვარით" გიორგი კარბელაშვილი სისტემატურად პრესკონფერენციებს იწვევს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

| | 13/11 | 14/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 19 |
| ქუთაისი | 22 | 24 |
| ბათუმი | 24 | 26 |
| სოხუმი | 20 | 22 |
| ფოთი | 23 | 25 |
| თელავი | 17 | 18 |
| ზუგდიდი | 23 | 24 |
| გორი | 16 | 17 |
| ახმეტა | 17 | 18 |
| ჭიათურა | 20 | 21 |
| გაგრა | 18 | 21 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3255 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3228 |
| რუბლი | 0.0628 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ენერგეტიკა
B1 საკითხავი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 საკითხავი B8 სხვადასხვა

## "ბერიკებმა" ოზურგეთელებს ნამდვილი თეატრი გაახსენეს

ვერ ვიტყვით, რომ ისეთი პროვინცია, როგორიც ოზურგეთია, განებივრებული იყოს თეატრალური სანახაობითა და წარმოდგენებით. აქ კულტურული სივრცის ვაკუუმს ჟამ-ჟამად რომელიმე სახის არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებზე "გამიჯნურებული" ქართული ესტრადის ვარსკვლავებად მიჩნეული ახალგაზრდა მომღერლები ავსებენ. თუმცა, ღია ცის ქვეშ მოწყობილი, პოლიტიკური დატვირთვის მქონე ამ გრანდიოზული კონცერტებიდან, რომლებიც ძირითადად ეგზალტირებული თინეიჯერების ოვაციების ფონზე მიმდინარეობს, მხოლოდ ადგილზე უხვად მიმოფანტული ნაყინის ქაღალდები, სიგარეტის ცარიელი კოლოფები და მზესუმზირის ნაფცქვენები რჩება. განსაკუთრებით დაჩაგრულები ახალთაობელები არიან, რადგან ძველებს კარგად ახსოვთ, რომ ოზურგეთის თეატრში დღეში ორჯერ ანშლაგით მიდიოდა რუსთაველელთა "კავკასიური ცარცის წრე", მოსკოვის სამხატვრო თეატრის სპექტაკლები, ცნობილ ქართველ მუსიკოსთა კონცერტები. ახლა კი მხოლოდ მხარზე მაიმუნშესმული ლილიპუტითა და ერთი-ორი "ფოკუსნიკით" დაკომპლექტებული შაპიტო თუ მიადგება სკოლებსა და ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებებს თავისი კომერციული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ეს არის და ეს.

ამ ფონზე ძალზე საყურადღებო მოვლენა იყო, რომ ოზურგეთს დედაქალაქელი "ბერიკები" ეწვივნენ და კულტურულ ცხოვრებაში სიცოცხლე შემოიტანეს. თეატრალურ სტუდია "ბერიკებს" რამდენიმე წელია, შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს ოზურგეთის "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან" არსებულ ბავშვთა თეატრალურ სტუდია "პეპილოტასთან". ნორჩი თბილისელი აქტიორების სტუმრობაც ამ ურთიერთობებით იყო ნაკარნახევი.

პატარა ბერიკებმა შადიმან შამანაძის ერთმოქმედებიანი პიესა წარმოადგინეს. ქების ღირსი არიან სპექტაკლის მონაწილენი, რომელთაც მძაფრი, ყოფით ტრაგიზმზე აგებული დრამატურგიის მაყურებლამდე უჩვეულო ოსტატობით მიტანა შეძლეს და სრულად განაცდევინეს მხილველს არსი ამ ნაწარმოებისა, რაც სპექტაკლის რეჟისორის ქალბატონ თამარ ხიზანიშვილისა და თეატრალური სტუდიის დიდი მაესტროს, ბატონ გოგი თოდაძის დამსახურებაა. წარმოდგენაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სპექტაკლის შემდგომ ბატონი გოგის ხანგრძლივ, მაგრამ საინტერესო საუბარს დარბაზში შეკრებილ მაყურებელთან და ადგილობრივი თეატრალური სტუდიის მოსწავლეებთან. აზრთა გაზიარებისას გამოითქვა მოსაზრება, რომ დადგა დრო, როცა შეიძლება, გურიამ ბავშვთა თეატრალურ ფესტივალს უმასპინძლოს და უპრიანი იქნება, თუ ეს ურეკში მოხდება, სადაც ყველა პირობა არსებობს ამგვარი ღონისძიებების გასამართად, თუკი საკურორტო ზოლში მკვიდრად და ფართოდ ფეხმოკიდებული ბიზნესმენები მოისურვებენ და მოინდომებენ.

შეხვედრის მასპინძელმა, "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" თავმჯდომარემ მარინა თოფურიამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული IRIS ცენტრს, რომელმაც დააფინანსა ეს ღონისძიება, პროექტის - "წინაპრები და შთამომავლები ბავშვთა უფლებების სადარაჯოზე" ფარგლებში.

ორი თეატრ-სტუდიის ორდღიანი შეხვედრა მხოლოდ ერთი წარმოდგენით არ ამოწურულა. მასპინძლებმა სტუმრებს ოზურგეთის სალოცავები და ისტორიული ადგილები დაათვალიერებინეს.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

## აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ პირველი სხდომა გამართა

აჭარის ახლად დაკომპლექტებულმა უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ პირველი სხდომა გამართა. დღის წესრიგით სამი საკითხი იყო გათვალისწინებული - ახალი რეგლამენტის დამტკიცება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევა.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასამტკიცებლად "ნაციონალ" თამაზ შამანიშვილის კანდიდატურა წარადგინა, რასაც ყოფილი მოადგილის, "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლის გულიკო დულაძის უკმაყოფილება მოჰყვა.

როგორც გულიკო დულაძემ განაცხადა, კომისიის თავმჯდომარემ "პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო". დულაძის აზრით, ამ გადაწყვეტილების საფუძველი მის მიერ გაკეთებული განცხადებები გახდა, რომლებიც ივნისში აჭარაში გამართული არჩევნების ტოტალურ გაყალბებას შეეხებოდა.

სამომავლოდ გულიკო დულაძე კომისიის წევრობის დატოვებას და შუალედური საპარლამენტო არჩევნების დროს ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას აპირებს.

*ინტერ-პრესი*

## პარლამენტი უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვას იწყებს

საქართველოს პარლამენტი მომავალი კვირიდან "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვას დაიწყებს. კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი განათლების საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენელი ვასილ მაღლაფერიძეა. კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის განცხადებით, კანონპროექტი შეჯერებულია განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ანალოგიურ პროექტთან, რის შესახებ საქმის კურსშია როგორც განათლების მინისტრი, ისე მთლიანად მთავრობა. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, "მემარჯვენე" მანანა ნაჭყებია კი ამტკიცებს, რომ მაღლაფერიძის კანონპროექტს არაფერი აქვს საერთო ლომაიასეულ კანონპროექტთან. მეტიც, "წინა მოწვევის პარლამენტს მაღლაფერიძის კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განხილული აქვს, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა მალავს". ვასილ მაღლაფერიძის კანონპროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებს. აკადემიური ავტონომია გულისხმობს უმაღლესი სასწავლებლების თავისუფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი სტრატეგია. თვითმმართველობაში კი იგულისხმება, რომ სასწავლებელი თავად ჩამოაყალიბებს მმართველ ორგანოებს და გაანაწილებს ფინანსებს. **ინტერ-პრესი**

## გარე მოვაჭრეების პროტესტი

გარემოვაჭრეებმა ზუგდიდის რაიონის გამგეობის შენობის წინ გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავაჭრო ადგილებზე დაბრუნება მოითხოვეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, გარევაჭრობა მათი ერთადერთი საარსებო საშუალებაა და მასზე უარს იმ შემთხვევაში იტყვიან, თუ რაიონის გამგებელი სანაპიროდან ჯერ თავის კუთვნილ მაღაზიებს აიღებს. **მედია-ნიუსი**

## ზურაბ ჟვანიას ვიზიტი



*ზურაბ ჟვანია დიდ ბრიტანეთში ვიზიტით კმაყოფილია.*

დიდ ბრიტანეთში ვიზიტად მყოფი ზურაბ ჟვანია გუშინ გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და პრესტიჟულ "კინგს კოლეჯს" ეწვია.

ბრიტანელ მეცნიერებთან შეხვედრა ერთგვარად გასაიდუმლოებული იყო და მასზე ჟურნალისტები არ შეუშვეს. აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთში ასეთი ტრადიციაა - აკადემიურ წრეებთან ოფიციალურ პირთა შეხვედრები დახურულ კარს მიღმა იმართება.

მიუხედავად ამისა, ბრიტანულ კოლეჯში მოღვაწე ერთ-ერთმა მეცნიერ-თანამშრომელმა გაგვანდო, რომ კითხვებს შორის, რომელიც ქართველ პერმიერს დაუსვეს, იყო ასეთიც: "თქვენ დაიწყეთ ბრძოლა სამხრეთ ოსეთიდან შემომავალი კონტრაბანდის წინააღმდეგ, მაგრამ ამით კონფლიქტის ესკალაცია მოხდა. ხომ არ სჯობდა, არჩევანი გაგეკეთებინათ არსებული ვითარების შენარჩუნების სასარგებლოდ და არ გეცადათ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა, თუკი ეს ერთ პრობლემას გადაჭრიდა, მაგრამ მეორე პრობლემას გაამწვავებდა?"

ზურაბ ჟვანიას პასუხიც ნიშანდობლივი გამოდგა: "სინამდვილეში, არავითარი არჩევანი საქართველოს არ ჰქონია: ერგნეთის ბაზრობიდან საქართველოში შემოდიოდა, მაგალითად, მთელი იმპორტირებული საწვავის 80 პროცენტი და მთლიანად კონტრაბანდულად. აღარაფერს ვამბობ სხვა პროდუქციაზე. სწორედ ამიტომ იქცა შევარდნაძის რეჟიმის დროს საქართველო "წაქცეულ სახელმწიფოდ", რომელსაც თქვენ სამართლიანად უწოდებდით "არშემდგარს". განა შეგვეძლო, შევრიგებოდით ამ ვითარებას და არ გადაგვედგა ნაბიჯები ელემენტარული სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად? რომელი სახელმწიფო შეურიგდება იმას, რომ იმპორტის ნახევარი და ნახევარზე მეტი სრულიად უკონტროლოდ შემოედინებოდეს ბაზარზე? ამრიგად, ჩვენი არჩევანი იყო ერთადერთი შესაძლო, თუმცა მშვენივრად გვესმის, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან მოლაპარაკებათა საგანია და განსხვავებით კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სასიცოცხლო აუცილებლობით განპირობებული ნაბიჯებისა, ამ მიმართულებით პროცესთა ფორსირებას არ ვაპირებთ, მაგრამ საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის გარეშე ვითარება მაინც ფეთქებადსაშიშად დარჩება და პერსპექტივაში ამან შეიძლება, მძიმე შედეგები გამოიღოს."

*24 საათი*

## რას გეგმავენ 23 ნოემბრისთვის

პირველი გვერდიდან

ქრისტიანობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის ქალაქის ბიუჯეტიდან 150 520 ლარია გამოყოფილი. ამ ღონისძიებებში შედის საზეიმო კონცერტი, სამეცნიერო ექსპედიცია წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზაზე, საიუბილეო გამოცემები, საქართველოს მეფეების, ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის ნეშტების ასტრახანიდან გადმოსვენება, გამოფენები, წმინდა სამების ტაძრის კურთხევა.... აღნიშნული ღონისძიებებიდან ყველაზე მეტი თანხა, მართლაც, მერიაში სტუმრების მისაღებად დაგეგმილი სადილისთვის არის გათვალისწინებული.

**"რა ბანკეტია ამისთანა, რომ 10 ათასი ლარი ჯდება, როცა ასტრახანიდან ორი მეფის გადმოსასვენებლად ამ თანხის ნახევარია გამოყოფილი?"** - კითხულობს საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეების" თავმჯდომარე გიორგი მოსიძე. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის შიდა პოლიტიკის სამსახურის მთავარმა მრჩეველმა მერი ლომიამ "24 საათს" განუმარტა, აღნიშნული ღონისძიება წმინდა სამების ეკლესიის საპრეზენტაციო სადილია, რომლზეც 15 მართლმადიდებელი ქვეყნის პატრიარქი და ეპარქიების წარმომადგენლები არიან მოწვეულნი. **"ეს იქნება არა ბანკეტი, არამედ ოფიციალური სადილი, რომელსაც პატრიარქებისა და ეპარქიების წარმომადგენელთა გარდა, "იუნესკოს" წევრები, მსოფლიო დონის ქართველოლოგები, საზღვარგარეთ არსებული ქართული სათვისტომოების წარმომადგენლები დაესწრებიან. სიტყვით გამოვლენ პრეზიდენტი, პატრიარქი, სახელმწიფო მინისტრი,"** - აცხადებს ლომია. საკრებულოს თავმჯდომარე კი ოპოზიციონერ კოლეგებს განუმარტავს, რომ რაც მეტ სტუმარს მიიღებენ და შესაფერისად დახვდებიან, მით მეტ მათგანს გაუჩნდება ჩვენი დახმარების სურვილი.

რაც შეეხება ვარდების რევოლუციის წლისთავისთვის დაგეგმილ ღონისძიებებს, როგორც "24 საათმა" გაარკვია, აქ დაფინანსება შედარებით მწირია. მერიის შენობის წინ გაიმართება კონცერტი (რომლშიც მხოლოდ ე.წ "წვიმის მუსიკოსები" მიიღებენ მონაწილეობას); ქალაქში სხვადასხვა ადგილას საგანგებოდ დადგმულ ბილბორდებზე კი, იმ ადამიანების ფოტოები განთავსდება, ვინც ამ ერთი წლის მანძილზე ქართველებს განსაკუთრებით დაამახსოვრა თავი (მაგალითად, ოლიმპიურ ჩემპიონ ზვიადაურის). დაბოლოს, პარლამენტის წინ ეროვნული ერთიანობის მონუმენტი გაიხსნება.

## საკრებულო "თბილგაზში" გადარიცხული თანხების მისამართებს არკვევს

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის საკრებულომ ქალაქის მთავრობას 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის საწყისი ვარიანტის წარსადგენად ბოლო ვადა 20 ნოემბრამდე მისცა. **"პრემიერი შეგვპირდა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს სექტემბრისთვის მოამზადებდა. ფაქტია, პირობა ვერ შეასრულა. ეგენი 20 ნოემბრამდეც ვერაფერს მოასწრებენ, აი, ნახავთ, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას დაელოდებიან,"** - განაცხადეს საკრებულოს წევრებმა. როგორც ქალაქის ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული განმარტავს, ქალაქის მთავრობა ნოემბრის ბოლოსთვის 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მართლაც, ვერ მოასწრებს, ოღონდ, ამაში ქალაქის ხელმძღვანელობას ბრალი არ მიუძღვის. **"20 ნოემბრამდე მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის მიახლოებით ვარიანტს წარვადგენთ, რადგან არ გვაქვს არც საგადასახადო კოდექსის საბოლოო ვარიანტი და არც სახელმწიფო ბიუჯეტი. ამის გარეშე ქალაქის ბიუჯეტს როგორ შევიმუშავებთ? ამ ელემენტარული რამის მიხვედრას ეკონომისტობა სულაც არ სჭირდება,"** - განუცხადა ვიცე-პრემიერმა "24 საათს".

ერთი რამ, რაშიც მერია და საკრებულო უყოყმანოდ შეთანხმდნენ, მომავალი წლისთვის ქალაქის თვითმმართველობისა და მმართველობის საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომელთათვის ხელფასების 150 პროცენტით გაზრდაა (როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი განმარტავს, ანაზღაურების გაზრდა საკრებულოს წევრებს არ ეხებათ). ქალაქის პრემიერის ამ გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ.

გუშინდელ სხდომაზე საკრებულომ ქალაქში ტაქსოფონით მომსახურებაზეც იზრუნა და არქიტექტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ინსპექციას დედაქალაქში ტელეფონების ახალი აპარატების განთავსების სქემის შემუშავება დაავალა. "თბილგაზის" ხელმძღვანელობის საქმიანობის შესასწავლად კი, საკრებულოს ხელმძღვანელობამ ხელმეორე კომისია შექმნა, ოღონდ, ამჯერად კომისიაში მერიის ეკონომიკური პოლიტიკის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების წარმომადგენლებიც ჩართო. **"გამოარკვიეთ, რაში დაიხარჯა "თბილგაზისთვის" გადარიცხული საბიუჯეტო თანხები და რითი გაიკეთა დავით მორჩილაძემ სახლში ევრორემონტი?"** - დაავალა საკრებულოს თავმჯდომარემ კომისიას.

## შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების მორიგი სხდომა 18-19 ნოემბერს ვლადიკავკაზში გაიმართება.

სხდომის სასწრაფო ჩატარება კომისიის წევრებს გიორგი ხაინდრავამ მოსთხოვა. სახელმწიფო მინისტრი ითხოვს, რომ ვლადიკავკაზში დაგეგმილ შეხვედრაზე მხარეებმა "კონფლიქტის ზონის" საზღვრები დააზუსტონ.

ქართული მხარის განცხადებით, კონფლიქტის ზონის საზღვრების დაზუსტებაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს შორის 5 ნოემბერს სოჭში მიღწეული შეთანხმების რეალიზაცია, რომელიც 20 ნოემბრამდე კონფლიქტის ზონის სრულ დემილიტარიზაციას ითვალისწინებს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**გორი.** ოსიაურში დისლოცირებული რეზერვისტების კიდევ ერთმა ბატალიონმა სამხედრო სწავლება დაასრულა. ამჯერად ოსიაურის სამხედრო ბაზამ 350 გორელი რეზერვისტი მოამზადა. რამდენიმე საათის განმავლობაში რეზერვისტები ცდილობდნენ, საბრძოლო მომზადების დონის დემონსტრირებით თავი მოეწონებინათ ბატალიონში ჩასული თავდაცვის მინისტრ გიორგი ბარამიძისთვის, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ მელიქიშვილისთვის და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულისთვის. მათ ამ მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია: "დასახლებული პუნქტის ტერორისტებისგან გათავისუფლების" ოპერაციას რეზერვისტებმა წარმატებით გაართვეს თავი და შექებაც დაიმსახურეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს მიხეილ სააკაშვილსა და ლეონიდ კუჩმას შორის. საუბარი შეეხო როგორც ორხმრივი თანამშრომლობის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს. უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურში არ აკონკრეტებენ, ისაუბრეს თუ არა ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შესახებ, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი.** ფოთში, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ბაზაზე საზეიმოდ დაიხურა სწავლების ერთთვიანი კურსი, რომელსაც ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები უძღვებოდნენ. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ქართველ მესაზღვრეებს სააბორდაჟო ოპერაციების სრულყოფის თემაზე ჩაუტარდათ. სულ ამ პროგრამით 42 ოფიცერი მომზადდა. სწავლების დასრულების საზეიმო ცერემონიას ესწრებოდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, რომელმაც ქართველ მესაზღვრეებს შესაბამის სერტიფიკატები გადასცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისან-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონებს ახალი გამგებლები ჰყავს. ქალაქის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის წარდგენის შემდეგ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ თანამდებობებზე, შესაბამისად, კახაბერ საყვარელიძე და რამაზ სულამანიძე დაამტკიცა. საყვარელიძე თბილისის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსად მუშაობდა, მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. რამაზ სულმანიძეს კი თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობა ეკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარელი "კმარელები" კობა ხაბაზს დაუპირისპირდნენ. სამთავრობო დაცვის წარმომადგენლებმა ბათუმში, მინისტრთა საბჭოს წინ ორი "კმარელი" - როინ ხალვაში და მამუკა გოგიტიძე დააკავეს, რომლებიც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კობა ხაბაზის გადადგომას მოითხოვდნენ და ასფალტზე წარწერებს "კობა, წადი" აკეთებდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარა ახალი გრძელვადიანი საშემოდგომო საკურორტო სეზონს მასპინძლობს. სპეციალურად შემუშავებული პროექტი აჭარის მთავრობის ინიციატივით ხორციელდება. ამ პროექტის ფარგლებში ყველა ტურისტს შეეძლება, დაათვალიეროს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მონაწილეობა მიიღოს საზღვაო ტურში და ბუნებრივ გარემოში ნახოს დელფინები, რომლებიც შემოდგომა-ზამთრის სეზონის პერიოდში ნაპირთან ახლოს მოდიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (5 ნოემბერი - 11 ნოემბერი) 100,60 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაშის აღნიშნული მაჩვენებელი 100,77 პროცენტი იყო. შეგახსენებთ, რომ ეს ინდექსი ასახავს 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას. წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე საშუალოდ 0,60 პროცენტით გაიზარდა. სურსათის ფასებმა 1,53 პროცენტით მოიმატა. მათ შორის ყველის ფასი 10 პროცენტით გაიზარდა. მომსახურებაზე ფასები 0,06 პროცენტით შემცირდა. კერძოდ, ბენზინ "ნორმალის" ფასი 1,8 პროცენტით შემცირდა. არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელია. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით, თბილისის მერიაში მოძრაობის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის რეგულირების კომისია შეიქმნა. ახალი კომისია შვიდი საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება და მას რეკომენდაციების მიღება დაევალება. თბილისის ვიცე-პრემიერის ირაკლი თოდუას განცხადებით, ახლად შექმნილ უწყებას მრჩევლის სტატუსი ექნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წალენჯიხა.** წალენჯიხის რაიონში, დაახლოებით სამ ჰექტარ ტყის მასივზე ხანძარი მძვინვარებს. ცეცხლი ხუთშაბათ ღამეს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, "ენგურჰესის" კაშხლის მახლობლად გაჩნდა. არსებობს საშიშროება, ცეცხლი მოედოს როგორც გალის, ისე წალენჯიხის რაიონს, სადაც მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" მდებარეობს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ნაციონალური" დაპირისპირება ბოლნისში

პირველი გვერდიდან

**მათ ძველი პარტიულები გვერდზე გასწიეს და მმართველი რგოლი დაიკავეს სულ სხვა ადამიანებმა,"** - განუცხადა "24 საათს" ბოლნისის რაიონის გამგებელმა ზვიად ვეშაპიძემ, რომელიც არ მალავს დვალიშვილთან მისი დაპირისპირების მიზეზს. გამგებელი აცხადებს, რომ დვალიშვილი წერილობით თუ ზეპირად მუდმივად აგზავნიდა ხალხს სხვადასხვა თანამდებობებზე დასანიშნად.

თქვენ ასრულებდით მის თხოვნებს? - ამ შეკითხვაზე ზვიად ვეშაპიძე გულწრფელად პასუხობს: **"რა თქმა უნდა. ალბათ, ერთი ორი გამონაკლისის გარდა, ყველა მისი პროტეჟე დაინიშნა თანამდებობაზე გამოსაცდელი დროით, მაგრამ ზოგმა ვერ გაართვა თავი და გათავისუფლდა სამსახურიდან."**

ბოლნისში პარტიული განხეთქილების თვითმხილველი პარლამენტარი კობა ბექაურიც გახდა. **"ბოლნისში ძალიან რთული სიტუაციაა, რადგან მოსახლეობა ფიქრობს, რომ მათ ვერ იგრძნეს რევოლუციის შედეგი. ჩვენ მივიღებთ იმგვარ გადაწყვეტილებას, რაც ხალხს უნდა. პარტია არის საპირწონე ხელისუფლების, პარტია უნდა აკონტროლებდეს, როგორ იხარჯება ბიუჯეტი და ასე შემდეგ,"** - განუცხადა ბექაურმა "24 საათს".



*ხვალიდან ბოლნისში ერთიანი სულისკვეთება უნდა იყოსო - თქვა კობა ბექაურმა და თბილისისკენ გაეშურა.*

კობა ბექაურის რეპლიკას - პრობლემას ვერ ვხედავო, რამდენიმე გაბედული ადამიანი სინქრონში პასუხობდა:

-არის პრობლემები, ბატონო კობა, არის.

თუმცა, ბოლო სიტყვა ბექაურის იყო და მანაც - ჩვენ ხალხის ხელისუფლება ვართ, ამიტომ ხვალიდან ბოლნისში ერთიანი სულისკვეთება უნდა იყოსო - თქვა და თბილისისკენ გაეშურა.

ასე დამთავრდა გუშინდელი დღე ბოლნისელი "ნაციონალებისთვის" და რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს ხვალ, ეს უკვე, ალბათ, მათზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

# ბაგაფში უკან არ იხევს, რუსეთი ძალის გამოყენებით იმუქრება

პირველი გვერდიდან

მიტინგებისა და სახალხო გამოსვლების ტალღამ სოხუმი გუშინ დილიდან მოიცვა. ქალაქის ცენტრში, "თავისუფლების მოედანზე" აფხაზეთის ყველა რაიონის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ისინი პრეზიდენტად ბაგაფშის აღიარებას ითხოვდნენ. მიტინგის ორგანიზატორთა გამოთვლით, ბაგაფშის მხარდასაჭერად თხუთმეტი ათასამდე მომიტინგე მივიდა.

ალტერნატიული მიტინგი მთავრობის სახლის შენობასთან მიმდინარეობდა, სადაც რაულ ხაჯიმბას ინტერესებს შვიდასამდე მხარდამჭერი იცავდა. ხაჯიმბას მომხრეებმა მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას მიმართვა წაიკითხეს, სადაც არძინბა აფხაზ ხალხს სიმშვიდისა და ხელახალი არჩევნებისკენ მოუწოდებს. **"აფხაზეთი სამოქალაქო დაპირისპირების სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, რაც აფხაზი ერის ერთიანობას ემუქრება... პოლიტიკურმა განხეთქილებამ იმ დონეს მიაღწია, რომ ინგრევა ოჯახები, ძმა მზადაა ხელი აღმართოს ძმაზე, ისინი კი, ვინც ცოტა ხნის წინ ერთად იცავდნენ სამშობლოს, სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკებად გაიყვნენ... პირველად, ომის შემდეგ, აფხაზ ხალხს მიეცა შანსი, რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო, ახალი ხარისხის ურთიერთობები დაამყაროს, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მოვიპოვოთ ჩვენი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. რუსეთთან კავშირი დაგვეხმარება იმ პრინციპების დაცვასა და გამყარებაში, რომელთა გამოც ამდენი ვიბრძოლეთ,"** - აღნიშნულია პრეზიდენტ არძინბას მიმართვაში აფხაზი ხალხისადმი.

პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვის მიზნით ბაგაფში და ხაჯიმბა გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ და მოლაპარაკება სცადეს. **"ჩვენი დიალოგი ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდა,"** - აუწყა საკუთარ მხარდამჭერებს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე მისულმა რაულ ხაჯიმბამ. მისი თქმით, ბაგაფში კატეგორიული წინააღმდეგია, აფხაზეთში ხელახალი არჩევნები ჩატარდეს.

ოპოზიციონერებმა პრეზიდენტობის კანდიდატთა მოლაპარაკების შედეგები ბაგაფშის თანაგუნდელისგან მერაბ ქიშმარიასგან შეიტყვეს. **"ისინი კვლავ ხელახალ არჩევნებს ითხოვენ და ხალხის აზრს არ იზიარებენ,"** - აუწყა მომიტინგეებს ქიშმარიამ, რის შემდეგაც მომიტინგეებმა გეზი მთავრობის სახლისკენ აიღეს, სადაც ხაჯიმბას მომხრეები იყვნენ გამაგრებული. ხელჩართული ბრძოლების შემდეგ ბაგაფშის მომხრეებმა მთავრობის სახლში შეჭრა მოახერხეს. დაცვამ რამდენჯერმე ჰაერში გაისროლა, თუმცა შემდეგ უკან დაიხია. უკან დაიხიეს ხაჯიმბას მომხრეებმაც.

სოხუმის ქუჩებში მობილიზებული იყო ადგილობრივი მილიცია და სამხედრო ძალები, თუმცა ისინი სიტუაციას შორიდან ადევნებდნენ თვალს და მიმდინარე პროცესებში არ ჩარეულან.

მთავრობის სახლიდან გასვლა მოახერხა პრემიერ-მინისტრმა ნოდარ ხაშბამ, რომელიც თავის დაცვის წევრებთან ერთად გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა.

ოპოზიციის მიერ მთავრობის სახლის დაკავების შემდეგ იქ სერგეი ბაგაფში რაულ ხაჯიმბასთან ერთად მივიდა და მხარდამჭერებს შენობის დაცლისკენ მოუწოდა. ბაგაფშის მომხრეებმა მთავრობის სახლის წინ ქუჩაში გადაინაცვლეს. ხაჯიმბა და ბაგაფში მთავრობის სახლის შენობაში მესამე სართულზე საათზე მეტ ხანს ესაუბრნენ ერთმანეთს. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ სერგეი ბაგაფშმა საკუთარ მხარდამჭერებს სახლებში წასვლისკენ მოუწოდა. **"დიდი მადლობა ყველას, თქვენი დახმარების გარეშე მე ვერ გავიმარჯვებდი. ახლა კი გთხოვთ, გამოიჩინოთ სიმშვიდე და ერთიანობა. ჩვენ ერთი ერი ვართ, ჩვენი გაყოფა არ შეიძლება,"** - მიმართა მან მხარდამჭერებს. ბაგაფშის თქმით, იგი მთელი ღამის განმავლობაში საკუთარ საარჩევნო შტაბში იმუშავებს, რათა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იპოვოს. **"მე კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ვარ და ხელისუფლებაში კანონიერი გზით უნდა მოვიდე,"** - განაცხადა მან.

საკუთარ ოპონენტს - რაულ ხაჯიმბას კი ბაგაფშმა "მეგობარი და უმცროსი ძმა" უწოდა. **"აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი მომავალი მთავრობის შემადგენლობაში უნდა მოხვდეს. ჩვენ ხალხზე უნდა ვიფიქროთ და უნდა გავერთიანდეთ,"** - აღნიშნა ბაგაფშმა.

ხაჯიმბამ კი საერთოდ შეიკავა თავი კომენტარისგან და მთავრობის სახლის შენობა უსიტყვოდ დატოვა.

დაზუსტებული ინფორმაციით, გუშინდელი მოვლენების დროს სოხუმში ორი ადამიანი დაიჭრა. ერთ მამაკაცს ჰაერში გასროლილი ტყვიის შედეგად ჩამსხვრეული შუშა ხელში მოხვდა. უფრო მძიმედაა ქალბატონი, რომელიც პარლამენტის შენობაში შეჭრისას დაიჭრა. ეს ინფორმაცია გუშინ ბაგაფშმა თავად აუწყა მხარდამჭერებს.

ლიდერის მოწოდების შემდეგ ბაგაფშის მომხრეებმა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს.

გუშინ საღამოს გავრცელდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომელშიც შეფასებულია სოხუმში განვითარებული მოვლენები და ნათქვამია: **"თუ აფხაზეთში მოვლენები ისე განვითარდება, რომ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა, რუსეთი ყველა საშუალებას გამოიყენებს საკუთარი ინტერესების დასაცავად."**

აი, ასე. კრემლმა აშკარად დაკარგა წონასწორობა. აღარც საკუთარ მოქალაქეთა ფარისევლური დაცვა, აღარც დიპლომატიური ეტიკეტი, აღარც საერთაშორისო სამართალი - პირდაპირი მუქარა სამხედრო აგრესიისა! მეტი რაღა უნდა დაინახონ აფხაზებმა, რომ რამეს მიხვდნენ?!

გვიან ღამით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დემარშით უპასუხა საქართველოს საგარეო უწყებამ. მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა დაგმო რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შელახვა და საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო დემარშის შესახებ ელჩების საშუალებით ეცნობება მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შემავალ მთავრობებს.

# "მაფიოზების და ჯაშუშების დრო წავიდა..."

პირველი გვერდიდან

"საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელმა გიორგი კარბელაშვილმა და ჩეხეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში თბილისის აეროპორტის ასაფრენი ზოლის პირველი შუქ-ნათურა ჩართეს. შუქ-ნათურა აეროპორტში აქამდეც იყო, ოღონდ ითვლებოდა, რომ არ იყო. რატომ? იმიტომ, რომ ის "დენიკინის" დროინდელია და არც ერთი საერთაშორისო კომპანია თუ ორგანიზაცია მას სერიოზულად არ აღიქვამდა. სწორედ ამიტომაც, თბილისის აეროპორტს არავინ არასდროს არ ახევდა კალთებს. რა შუაშია ჩეხეთი? "საქაერონავიგაციამ" შუქ-ნათურები და დამატებითი მოწყობილობები ჩეხური კომპანია "იეეფელ იმპექს"-ისაგან შეიძინა, რომელიც ასაფრენ-დასაფრენ და ნავიგაციისათვის საჭირო სხვა ტექნოლოგიებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ამარაგებს. შესაბამისად, თბილისის აეროპორტში დამონტაჟებული ტექნოლოგიები სრულ შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო სტანდარტებთან.

**"2005 წლის მაისის ბოლომდე "საქაერონავიგაცია", ჩეხებთან და იტალიელებთან ერთად, დაასრულებს თბილისის აეროპორტში ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე ახალი ტექნოლოგიების დამონტაჟებას, რომელსაც სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტიზის შეფასებით, მეორე კატეგორია მიენიჭება, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით უმაღლესი შეფასებაა,"** - ამბობს კარბელაშვილი.

ამასთანავე, ირკვევა, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში "საქაერონავიგაცია" გაერთიანდა საერთაშორისო ორგანიზაცია CANSO-ში, რომელიც მსოფლიოს 69 ქვეყნის ნავიგაციებს აერთიანებს. საქართველო CANSO-ს 70-ე წევრია. კარბელაშვილის განცხადებით, CANSO-ში საქართველოს ნავიგაციის გაერთიანებას მხარი ყველა ქვეყანამ დაუჭირა, რასაც საფუძვლად დაედო "საქაერონავიგაციაში" მიმდინარე გამჭვირვალე პროცესები და ის სტრატეგია, რომლითაც "საქაერონავიგაცია" წარდგა CANSO-ს წინაშე. ხსენებული პროცესების დამსახურებაა ასევე ისიც, რომ საქართველოს სატრანზიტო ცაზე ფრენებმა 14 პროცენტამდე იმატა. CANSO-ში გაერთიანებით კი საქართველოს ცაზე ფრენებით გაცილებით მეტი ავიაკომპანია დაინტერესდება, რაც, თავის მხრივ, გაზრდის შემოსავლებს საქართველოს ბიუჯეტში. CANSO-ში გაერთიანებით ნავიგაციაში მიმდინარე პროცესებისა და ინოვაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მთელი მსოფლიოსათვის.

**"CANSO-ში გაერთიანება არის პირველი ნაბიჯი ევროკონტროლში გაერთიანებისაკენ, რაც ნავიგაციისათვის ქვეყნის ევროგაერთიანებაში შესვლის ტოლფასია. საერთოდ არ გაგჩენიათ კითხვა, რატომ არ შესულა საქართველოს ნავიგაცია ამ ორგანიზაციაში. იმიტომ, რომ ეს არ სჭირდებოდათ. აქ იყო ხალხი, ვინც მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების ინეტერსებს აკმაყოფილებდა. აქაურობა ჯაშუშებით იყო სავსე. რაში სჭირდებოდა ან სილაგაძეს, ან ჭანკოტაძეს CANSO? მათთვის ბევრად უფრო მომგებიანი იყო რუსული "ნიტა", მილიონების რეცხვა, საერთაშორისო დონის ტექნოლოგიების ბლოკირება და საიდუმლო ინფორმაციების რუსეთის სპეცსამსახურებში გაგზავნა. ასე მუშაობდა "საქაერონავიგაცია" და დღე არ გავა ისე, რომ საოცარი მაქინაციის შედეგებს არ შევეჩეხოთ. მათ არ ჰქონდათ იმის ინტერესი, რომ ჩვენს ტრანზიტულ ცაზე ეფრინათ ლიდერ ავიაკომპანიებს და საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ მოეზიდათ მილიარდები. ისინი მშვენივრად ხრავდნენ აქაურობას, სატრანზიტო ცის პოტენციალი კი მთლიანად მეზობლებს გადაულოცეს. დამთავრდა, დღეიდან ქართულ ცაზე სულ სხვა სიტუაცია იქნება. მაფიოზების და ჯაშუშების დრო წავიდა!"** - აცხადებს კარბელაშვილი.

თამარ მჭედლიშვილის სვეტი

## ოპოზიციურ აზრს არსებობის უფლება აქვს და... მეტი არაფერი

**ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო ადმინისტრაციები, კომისიების დაკომპლექტების წესი, ბეიკერის ფორმულა, პარტიათა შორის ვაჭრობა-გარიგებები, ურთიერთბრალდებები, გაყალბებული არჩევნები, არჩევნების გაყალბების მოლოდინი, საარჩევნო კოდექსში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები, საპარლამენტო ვნებათაღელვები...**

**ასე მგონია, ამ თემებზე საუკუნეა, ვწერ.**

**ბევრი ჩემი კოლეგაც ამ დღეშია... ზეპირად გვახსოვს ყველა ის მოდელი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების მორიგი წესის განხილვის დროს იბადებოდა. შევარდნაძის მეგობარი ბეიკერის მიერ ჩამოტანილ ფორმულასაც სხაპასხუპით მოგიყვებით. პარლამენტის მიერ ორი დღის წინ მიღებულ მორიგ მოდელზე ხომ საუბარი არ არის - წერტილ-მძიმეც კი ზეპირად ვიცით.**

**... ორი დღის წინ პარლამენტმა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების მორიგი მოდელი მიიღო.**

**მესმის ხელისუფლების - მას ისეთი საარჩევნო ადმინისტრაციები სჭირდება, რომელსაც, ღიად, ძნელად თუ დააბრალებ პარტიული ინტერესების გატარებას. მესმის ოპოზიციონერი დეპუტატებისაც, რომლებიც ახალ ცესკო-ს ეჭვის თვალით უყურებენ, ჯერ არშექმნილ საარჩევნო ადმინისტრაციებს უკვე ხელისუფლების მორჩილ სახელმწიფო სტრუქტურად ნათლავენ და იმაზე დარდობენ, ახალ სქემაში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ვაჭრობისთვის სავალი გზები ჯერ რომ არ ჩანს.**

**ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ხომ არჩევნების დროს ურთიერთკომპრომისებს, გარიგებებს და ვაჭრობას არის ნაჩვევი...**

**ამას წინათ ერთ-ერთ ყოფილ ოპოზიციონერ პარლამენტარს ვუთხარი - ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში რომ ადანაშაულებთ, იქნებ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ჯერ თქვენ, ოპოზიციონერებმა აიღოთ და საჯაროდ აღიაროთ, რომ ნებისმიერი არჩევნების დროს მმართველი პარტიის საეჭვო წინადადებებს არ უარყოფდით მეთქი.**

**არ შეიძლებაო... ამით თამაშის წესებს დავარღვევთო...**

**კარგია, თუკი ის დაწესებულება, რომელიც არჩევნების შედეგებზეა პასუხისმგებელი, პროფესიონალებით და პოლიტიკური ზეწოლისაგან თავისუფალი ადამიანებით დაკომპლექტდება და თამაშის ახალი, უფრო პატიოსანი წესი დამკვიდრდება.**

**თუმცა, ახალი კანონის თანახმად, ბიულეტენებს ის ადამიანები დაითვლიან, რომლებსაც პრეზიდენტი და პარლამენტი შეარჩევს.**

**არანაირი კონკურსი, ამ სფეროში არანაირი გამოცდილება საჭირო არ არის. მთავარია პრეზიდენტის და პარლამენტის ნდობა.**

**მთლიანობაში კი, პრობლემა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალ წესში არ არის. ჩემი აზრით, პრობლემა უფრო ღრმაა - ცესკო და მთლიანად საარჩევნო კომისიები საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოდელად შეიძლება იქცეს, სადაც ოპოზიციურ აზრს მხოლოდ არსებობის უფლება ექნება და მეტი არაფერი.**

**საქართველოში მრავალპარტიული ცხოვრება მოკვდა - შინაურულად ამბობენ მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები.**

**სჯობდა, ეთქვათ, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი დაიწმინდაო.**

**ძველი პოლიტიკური სახეები გაცვდა. მათ ახალი შეფუთვაც კი ვერაფერს უშველის.**

**მმართველი პარტიის ახალ სახეებს კი უკვე ადევთ დიდი დამღა - ძველი სახეების ჩრდილში ყოფნა მათ საკუთარი მასწავლებლების ორეულებად აქცევთ.**

**პოლიტიკური წარსულისაგან თავისუფალი, ახალი ოპოზიციური გაერთიანებები კი არსად ჩანს.**

# ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არ ჩანს

დღის შეკითხვა: მოსალოდნელია თუ არა უახლოეს თვეებში პოლიტიკურ ძალთა სერიოზული გადაადგილება, პოლიტიკური სურათის ცვალებადობა?

ვერიკო თევზაძე

**ვასილ მაღლაფერიძე:** სერიოზული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. შეიძლება, ერთი-ორი წევრი გავიდეს ფრაქციიდან, მაგრამ ამით ამინდი არ შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, დღეს სერიოზული ცვლილების წინაპირობა არ არსებობს.

**კობა დავითაშვილი:** როგორც ჩერჩილი ამბობდა, პოლიტიკოსები პროგნოზებს იმისთვის აკეთებენ, რათა შემდეგ ხალხს აუხსნან, რატომ არ გამართლდა მათი პოგნოზები. ასე რომ, ამ შემთხვევაში თავს შევიკავებ.

**დავით ზურაბიშვილი:** გადანაცვლება ფრაქციებში შესაძლებელია, მაგრამ ეს სერიოზულ ცვლილებებს არ გამოიწვევს.

დღეს არა მგონია, გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თუ პარლამენტი ბიუჯეტს კრიტიკული თვალით შეხედავს, ეს მთავრობისთვის საწყენი არ უნდა იყოს. ჩემთვის ცოტა გაუგებარია ზურაბ ჟვანიას გაღიზიანებული ტონი... უმრავლესობაში დაპირისპირება შეიძლება იყოს მხოლოდ ტაქტიკურ საკითხებში. სტრატეგიაში იგი ერთიანობას შეინარჩუნებს.

**გივი თარგამაძე:** ვერ ვხედავ ადგილს, სადაც შეიძლება გადავიდნენ უმრავლესობის ფრაქციიდან. მასმედია სერიოზულ შეცდომას უშვებს, როცა აცხადებს: უმრავლესობის ფრაქცია დატოვა ამა და ამ დეპუტატმა... მაია ნადირაძე არის ფრაქციის თავმჯდომარე, მაია ნადირაძე არ არის უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე, ვინაიდან დღეს არ არსებობს უმცირესობის ფრაქცია. რაც შეეხება იმას, ჩამოყალიბდება თუ არა ასეთი ფრაქცია უახლოეს მომავალში, არა მგონია, ეს შესაძლებელი იყოს.

**ფიქრია ჩიხრაძე:** უახლოეს თვეებში, შესაძლოა, რადიკალური ცვლილებები არ მოხდეს. ერთი წლის თავზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის გუნდები.

უმრავლესობაში რყევის პროცესები დაწყებულია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარმოუდგენელია, ხელოვნურად შექმნილმა ამხელა დაჯგუფებამ დიდხანს გაძლოს. სხვადასხვა მიმართულების ჯგუფები, ადრე თუ გვიან, ერთმანეთთან ვერ შეთანხმდებიან.

**დავით ბერძენიშვილი:** კრიზისის პირობებში უმრავლესობაში რყევები იქნება. პრინციპში, ნაციონალურ მოძრაობაში, სააკაშვილის გარდა, გამორჩეული ფიგურა არ დარჩენილა. სააკაშვილმა მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოზრდილ ხალხში ყოფნა არჩია. მიშა სააკაშვილი კარგი იყო, როცა ჩვენთან ერთად იბრძოდა აბაშიძის და შევარდნაძის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მას ჰქონდა არჩევანი: დემოკრატიული ძალების ლიდერი გამხდარიყო, ან მოპოპულისტო ახალგაზრდა რეფორმატორების ხელახალი შეკრება წამოეწყო. მან ეს არჩევანი გააკეთა და არა მგონია, ეს არჩევანი ჭკვიანური იყოს.

დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა. ჩემი აზრით, საამისოდ კარგი პერსპექტივა აქვს დავითაშვილის და ძიძიგურის გაერთიანებას. არც რესპუბლიკელების მდგომარეობაა ცუდი. ახლების გააქტიურებაც ნათლად ჩანს. ამ სამ ჯგუფს აქვს შანსი ალტერნატიული გაერთიანების შექმნისა.

## საგზაო დეპარტამენტის აქცია სვანეთში

*საავტომობილო გზების დეპარტამენტის უკვე ტრადიციული გასვლითი აქცია "საქართველოს გზები - 2004" ამჯერად სვანეთში გრძელდება. სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული გიგი უგულავა და სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების სანახავად გუშინ მესტიაში ჩავიდა.*

მარიამ ჭაქვაძე

საგზაო დეპარტამენტს აღდგენითი სამუშაოები სვანეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ბევრი ჰქონდა. ამას დაემატა სხვადასხვა სტიქიური უბიდურებები, მათ შორის ზაფხულის კოკისპირული წვიმები, რამაც მდინარეების ენგურის, რიონისა და ცხენისწყალის ადიდება გამოიწვია. ამან კი ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ონისა და მესტიის რაიონის მცხოვრებლებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. სოფლიდან სოფელში, ან რაიონის ცენტრში დაკავშირება წყლისგან ჩარეცხილი გზებისა და გადასასვლელი ხიდების არარსებობის გამო, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო. ამის გამო საგზაო დეპარტამენტს გზებისა და ხიდების აღდგენითი სამუშაოების ოპერატიულად ჩატარება მოუხდა.

ხსენებულმა მოვლენებმა გარკვეული კორექტივები შეიტანა დეპარტამენტის წლიურ გეგმაში. წელს დანგრეული გზებისა და ხიდების აღსადგენად საგზაო დეპარტამენტის ფონდის შემოსავლებიდან 9 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. თუმცა, დღეს უკვე ირკვევა, რომ ეს თანხა საკმარისი არ არის და წელსვე, დამატებით, ფონდის სახსრებიდან, სავარაუდოდ, 6 მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მესტიაში ამჟამად დასასრულს უახლოვდება. ამ დროისთვის აღდგენილია სოფელ არცხელში მისასვლელი ხიდი მდინარე მულხურაზე, ასევე ხიდი სოფელ ნაკარში. ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს მდინარე ენგურზე სოფელ ლატალში. გრძელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები და გზის სავალი ნაწილის შეკეთება.

სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული შედეგების სალიკვიდაციოდ 41 ხიდზე დაიწყო ცალკეული ელემენტების ან მათი მთლიანი აღდგენითი სამუშაოები. ამ დროისთვის 19 ხიდის რეაბილიტაცია დამთავრებულია, დანარჩენ ხიდებზე აღდგენითი სამუშაოების დასრულებას საგზაო დეპარტამენტში წლის ბოლომდე ვარაუდობენ.

**"წელს ჩვენი დეპარტამენტის მიერ ჩატარებულია როგორც საავტომობილო გზების, ასევე ხიდების სარეაბილიტაციო საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები. იმის გამო, რომ წლევანდელი წელი გამოირჩეოდა განსაკუთრებით გააქტიურებული სტიქიური მოვლენებით, ჩვენი სამუშაოების მოცულობა ერთიორად გაიზარდა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა.

დეპარტამენტის ინიციატივით, შესრულებული სამუშაოების დასრულებისთანავე იქმნება სპეციალისტების, ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ჩატარებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნობა. **"მსგავსი აქციები საშუალებას იძლევა, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესახებ ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდეს",** - განაცხადა რომან დალაქიშვილმა.

## შესაძლოა, "თელასი" საკუთარ მახეში გაებას

### გია ნაცვლიშვილი და დავით ებრალიძე "თელასის" წინააღმდეგ სარჩელს შეიტანენ

მაია ურუშაძე

*გუშინდელი დღე, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ერთობ მძიმე აღმოჩნდა. დღის მთავარ ეკონომიკურ თემად ის ფინანსური გარიგება იქცა, რომლის შედეგადაც საქართველომ ორი თვის მანძილზე, მინიმუმ, 225 000 დოლარით იზარალა, ახლა კი, შესაძლოა, თბილისის მონოპოლისტ ელექტროგამანაწილებელ "თელასს" სამართალდამცველებთან თავის მართლება მოუწიოს.*



ენერგეტიკის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე და ენერგეტიკული მდგომარეობის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ნაცვლიშვილი "რაო ეეს როსიის" ქართულ შვილობილ "თელასს" საქართველოსთვის საზიანო ხელშეკრულების გაფორმებაში, ხოლო ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) ამ პროცესის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ. საქმე ის გახლავთ, რომ "თელასმა" თვითნებურად დაარღვია "ინტერ რაო ეეს"-თან ადრე, 2003 წლის 15 ოქტომბერს, შედარებით შეღავათიანი პირობებით გაფორმებული ხელშეკრულება და ახალი, უფრო კაბალური კონტრაქტი გააფორმა.

პირველ ხელშეკრულებაში საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული 1 კილოვატსაათი დენის ტარიფად 0,0245 აშშ დოლარი იყო განსაზღვრული. ხელშეკრულება კი მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე იყო ძალაში. **"მიუხედავად ამისა, რატომღაც, "თელასმა" ამ კონტრაქტის არსებობა საერთოდ დაივიწყა და "ინტერ რაო ეეს"-თან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, სადაც ერთი კილოვატსაათის ღირებულებად 0,0260 აშშ დოლარი დააფიქსირა,"** - აცხადებს გია ნაცვლიშვილი და ეჭვობს, რომ ფინანსური მაქინაცია მხარეებმა 225 ათასი აშშ დოლარის უკანონოდ მოგებაზე გათვალეს. მისი თქმით, ახალი ხელშეკრულების გაფორმების მიზეზი მარტივია: **"ალბათ, ვიღაცას საახალწლოდ ჯიბის ფული დასჭირდა"...**

დავით ებრალიძე კი ზიანის მატერიალურ ოდენობას აკონკრეტებს: **"რამდენადაც 2003 წლის ხელშეკრულებით "თელასს" გარანტირებული ჰქონდა ყოველთვიურად 50 000 ათასი კვტსაათი, შესაბამისად, 31 დეკემბრამდე "თელასს" გარანტირებული ჰქონდა 150 000 ათასი კვტსაათი 0.0245 აშშ დოლარად. 150 000 000 X (0.0260-0,0245) = 225 000 აშშ დოლარს. სწორედ ეს არის ის მინიმალური ზიანი, რაც საქართველოს ენერგოსისტემას მიადგება. საქმე ის არის, რომ საბითუმო შეწონილ ფასსა და იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასს შორის სხვაობას, "თელასის" ნაცვლად, საქართველოს ენერგობაზარი ფარავს, რაც პირდაპირ აკლდება საქართველოს ენერგოსისტემას და საბოლოო ჯამში მომხმარებლის გადასახდელია,"** - ამბობს ენერგოომბუდსმენი.

ანალოგიურია სომხეთთან ახლად გაფორმებული ხელშეკრულების ისტორიაც. მას შემდეგ, რაც "რაოს" სომხურმა შვილობილმა ტარიფის გაზრდა გადაწყვიტა, პრობლემები შეექმნა "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას". მაშინ სემეკ-მა "თელასს" სომხეთიდან დენის გაზრდილი ტარიფით იმპორტის ლიცენზია სრული ცაიტნოტის პირობებში მისცა. ახლა "თელასი" სომხეთიდან დენის იმპორტს გაზრდილი ტარიფით აწარმოებს, რასაც დავით ებრალიძე და გია ნაცვლიშვილი უკანონობად მიიჩნევენ და მოითხოვენ, რომ "თელასის" მიერ რუსულ და სომხურ მხარეებთან გაფორმებული ძველი ხელშეკრულებები ძალაში დარჩეს. გია ნაცვლიშვილი კი ამ საქმის გამოძიების მოთხოვნით გენერალურ პროკურორს მიმართავს.

გუშინვე, ანუ მას შემდეგ, რაც ამ საკითხებისადმი ყურადღება გამახვილდა, "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაიუნასმა სემეკ-ს ახალი ლიცენზია მიუბრუნა. "თელასის" "გამოხდომას" დავით ებრალიძე "შანტაჟად" მიიჩნევს: **"ეს შანტაჟია! "თელასს" არ მოსწონს, რომ ეს საქმე ვიღაცამ გაქექა და ახლა ხელისუფლებას აშანტაჟებს, თბილისს ჩავაბნელებო."**

ისე, "თელასის" ნაბიჯებში შანტაჟის ნოტები, როგორც ჩანს, ხელისუფლებამაც დაიჭირა. გუშინვე, მოგვიანებით, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით დააფიქსირა, რომ თბილისის უწყვეტ ელექტრომომარაგებას საფრთხე არ ემუქრება. **"მიუხედავად იმისა, რომ "თელასმა" ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია ჩააბარა, ელექტროენერგიის იმპორტი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ შეწყდება,"** - განაცხადა ხეთაგურმა. მისივე თქმით, ენერგეტიკის სამინისტრო ყველა ზომას მიმართავს, რათა რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი არ შეწყდეს და ქართულმა მხარემ იმპორტიორებთან დენის ტარიფების შეთანხმება შეძლოს. ეს კი, ირიბად ნიშნავს, რომ დენის იმპორტის შეწყვეტა-გაგრძელების პასუხისმგებლობა ახლა მხოლოდ სემეკ-ზეა.

ასე რომ, მარეგულირებელი კომისია ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ერთი მხრივ, თბილისს ჩაბნელების საშიშროება ემუქრება, მეორე მხრივ კი, ნაცვლიშვილის საჩივრის ადრესატი მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, რაც სემეკ-ი გადაწყვეტს, დაიბრუნოს თუ არა "თელასის" მიერ მიბრუნებული ლიცენზია. თუ კომისიამ ლიცენზია ჩაიბარა, მაშინ გამოვა, რომ "თელასს" იმპორტის შესაწყვეტად და თბილისის ჩასაბნელებლად საკმარისი საფუძველი ექნება. ამ შემთხვევაში კი, შესაძლოა, სასამართლოში სარჩელი სემეკ-ის წინააღმდეგაც შევიდეს.

## ამერიკული დეფიციტი ევროს ზემოთ ექაჩება

თორნიკე შარაშენიძე

როგორც ჩანს, ჯერ არ უნდა ველოდოთ მსოფლიო ეკონომიკის ორი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის - აშშ-ს სავაჭრო დეფიციტისა და ევროს კურსის შემცირებას. ზედიზედ მეოთხე თვის განმავლობაში სექტემბერში დეფიციტის მაჩვენებელმა 50 მილიარდს გადააჭარბა. აშკარაა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაციის მიერ, ჯერჯერობით, არ ხერხდება.

ცნობამ აშშ-ს სავაჭრო დეფიციტის თაობაზე კიდევ უფრო დააგდო დოლარის კურსი და, შესაბამისად, ევროს კურსიც გამყარდა. ერთიანმა ვალუტამ ახალი რეკორდი დაამყარა და 1.3 დოლარს შეადგენს.

4 წლის წინ, როცა ევრო ამოქმედდა, ასეთ რამეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ევრობანკი უკვე არ მალავს შეშფოთებას ამ მოვლენების გამო. ევროს გამყარება ერთობ აძვირებს ევროპულ ექსპორტს და ნაკლებად კონკურენტუნარიანად ხდის ამერიკულ საქონელთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ფედერალურმა რეზერვმა საპროცენტო განაკვეთი 2 პროცენტამდე გაზარდა, რასაც, წესით, დოლარის გამყარება უნდა მოჰყვეს, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამერიკული ვალუტის დაცემა კვლავაც გაგრძელდება და უახლოეს თვეებში ევრო 1,35 დოლარს გაუტოლდება.

აშშ-ს ეკონომიკა, მართალია, ევროპულზე უფრო სწრაფად ვითარდება, მაგრამ ამავე დროს ინვესტორებს ერთობ აშფოთებთ სავაჭრო დეფიციტი და მასზე კიდევ უფრო მეტად - ბიუჯეტის დეფიციტი.

შედეგად, აშშ-ში ნაკლები ფულის დაბანდება ხდება. ეს დოლარის დაცემას იწვევს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკები ამ ვალუტის შესყიდვას ერიდებიან და ასევე, ერიდებიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკულ აქციებს. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო აგდებს დოლარის კურსს.

თუმცა, ამ დაცემამ დადებითი შედეგი უკვე გამოიღო: ამერიკული ექსპორტის მაჩვენებელი სექტემბერში 97,5 მილიარდამდე გაიზარდა, რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია. მაგრამ ნავთობზე ფასების აწევამ და ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტის ზრდამ თავისი უარყოფითი როლი ითამაშა და მთლიანმა სავაჭრო დეფიციტმა სექტემბერში 51,6 მილიარდი შეადგინა.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ადგილობრივი ხორბლის რეალიზაცია ხორბლის ბაზარზე არ გაძნელებულა, მისი დაბალი ხარისხის მიუხედავად. ექსპერტების შეფასებით, ახალი მოსავალი კვლავ დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ამის გამო ივლისში, მოსავლის აღების დაწყებისას ჩამოყალიბებულმა ფასმა (1 კგ ხორბალი 45 თეთრი ანუ ერთი ტონა 450 ლარი) სწრაფად დაიკლო და საბოლოოდ, სექტემბრის დასაწყისში 35 თეთრზე შეჩერდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში უახლოეს მომავალში 9000 ტონა ხორბლის იმპორტი იგეგმება. როგორც შპს "აგროსისტემებში" აცხადებენ, ადგილობრივი ხორბლის მოსავლის სიმცირისა და დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამო კომერციული იმპორტი არ შეწყვეტილა ახალი მოსავლის აღებიდან დღემდე. სექტემბრის თვეში იმპორტირებულია 5 000 ტონა ხორბალი, ოქტომბერში კი - 3 ათასი ტონა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური 13 ნოემბერს გაემგზავრება ბაქოში, სადაც მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის, ირანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების რეგიონულ შეხვედრაში. **მედია-ნიუსი**

## ს.ს. "თელასი"

ესაჭიროება ბამბის ქსოვილის ნარჩენები , რომლის ზომა
უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0.09მ2

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 ნოემბერი.

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**15 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), გამსახურდიას აღმართის, კოსტავას (ნაწილობრივ), ცინცაძის, ჩიქოვანის, ახალშენის, ბალანჩივაძის, ჩაილურის, ჭიათურის, იოსელიანის, დოლიძის, ბაკურიანის, ენგურის, პანკისის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**15 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
აბაშიძის(ნაწილობრივ), ბერძენიშვილის, ფალიაშვილის, ცხვედაძის, კავსაძის, რაზმაძის, არაყიშვილის, დარიალის, ტიციან ტაბიძის ქუჩების, დაბა წყნეთის (ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

## მთავარი თემა - საბიუჯეტო უფლებამოსილების გამიჯვნა

დღეს სასტუმრო "თორში" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, ფონდ CASE-ტრანსკავკასიისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ხელშეწყობით, "ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონპროექტს, მასში არსებული ლაფსუსების აღმოსაფხვრელად, საჯაროდ განიხილავს. შეხვედრას დაესწრებიან საქართველოს პარლამენტის წევრები, ფინანსთა სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, ამ პრობლემაზე მომუშავე კვლევითი პროექტების ხელმძღვანელები და ექსპერტები, თბილისის მერიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

საქართველოში არ არის დადგენილი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპები, მიმდინარეობს დისკუსია ადგილობრივი გადასახადების სისტემაზე. არ არის გამიჯნული ცენტრალური და ადგილობრივი საკუთრება, არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების კანონი, პოსტკომუნისტურ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი სოფლებში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან რეალურად ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტებითა და ფინანსური რესურსებით - ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რომლის აღმოსაფხვრელადაც მომზადდა კანონპროექტი, რომელიც უკვ პარლამენტსაც გადაეგზავნა. "ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონპროექტის მიმართ ეკონომიკურ საზოგადოებაში მრავალი შენიშვნა გაჩნდა. დღევანდელი შეხვედრა აზრთა შეჯერებას ისახავს მიზნად. **24 საათი**

## თიბისი ბანკი თბილისის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ძეგლს რესტავრაციას უკეთებს
## ბანკის სათავო ოფისი ყოფილი უნივერმაღის შენობაში განთავსდება



*1914 წელი*



*2004 წელი*

ორი წელია, თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი უნივერმაღის შენობაში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. რამდენიმე თვის წინ ფასადის რესტავრაცია დასრულდა, ხარაჩოები მოიხსნა და ბევრმა პირველად აღიქვა, რომ ეს შენობა ქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. შენობის რესტავრაციას სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" ახორციელებს. რესტავრირებულ შენობაში 2005 წლიდან საქართველოს ყველაზე მსხვილი ბანკის სათაო ოფისი განთავსდება.

მარჯანიშვილის ქუჩის N7-ში მდებარე ეს შენობა თბილისში მოდერნის არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (მოდერნი სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში მე-19 საუკუნის ბოლოს წარმოიშვა). შესაბამისად, მისი რესტავრაცია ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

თავდაპირველად იგი კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების შენობა იყო. 1910 წელს კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკურმა საზოგადოებამ კონკურსი გამოაცხადა შენობის ესკიზურ პროექტზე. კონკურსის პირობები სანქტ-პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების ალმანახში გამოქვეყნდა. მშენებლობა წარიმართა იმ დროს თბილისში მოღვაწე სახელმოხვეჭილი არქიტექტორის, ალექსანდრე როგოისკის პროექტის მიხედვით.

ამ შენობის აშენება ასევე უკავშირდება თბილისში მოღვაწე ცნობილი იტალიელი ოსტატის, ანჯელო ანდრეოლეტის სახელს. მას თბილისში ქვის დამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა, სადაც იტალიიდან ჩამოტანილი ნედლი მარმარილო მუშავდებოდა ასევე იტალიიდან ჩამოყვანილი ხელოსნების მიერ.

მშენებლობა 1911-13 წლებში მიმდინარეობდა. 1912 წელს როგოისკი მძიმე ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. 1913 წლის 30 ივნისს შენობა საზეიმოდ აკურთხეს.

საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 1920-იან წლებში კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების შენობა კოოპერატივად გადაკეთდა და "ერკოპი" ეწოდა, ხოლო 1934 წლიდან მასში "თბილისის ცენტრალური უნივერმაღი" განთავსდა. ამ სახელწოდებით შენობა 2002 წლამდე ფუნქციონირებდა. უკვე 1990-იან წლებში ეს უმშვენიერესი ნაგებობა საკმაოდ დაზიანებული და შელახული იყო. 2002 წლიდან თიბისი ბანკმა მისი რესტავრაცია დაიწყო.

შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი თიბისი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ (სტუდია "არსი") მომზადდა, პროექტის საინჟინრო ნაწილი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა. შენობა 4-სართულიანია, სარდაფით და 3 გუმბათით. ფასადი უხვადაა შემკული ორნამენტებით. აღსანიშნავია ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც ნაგებობის არსებობის მანძილზე მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ესაა 3 დიდი სარკე, ხის მასიური ჩარჩოებით, 120 სმ სიმაღლის 2 ჩინური ლარნაკი და ნადირობის ქალღმერთ დიანას ბრინჯაოს ქანდაკება. ამ ნივთებმა საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია დღემდე. ამჟამად ბანკის დაფინანსებით მათი რესტავრაციაც მიმდინარეობს, რის შემდეგაც თითოეული მათგანი ისევ შენობას დაუბრუნდება.

სარესტავრაციო სამუშაოები 2 წლის წინ დაიწყო: შენობის ორივე ფლიგელის თავზე მოიხსნა ზედა სართულები, რომლებიც შენობის პირვანდელი პროქტით გათვალისწინებული არ ყოფილა და მხოლოდ 60-იან წლებში იქნა დაშენებული. სართულების მოხსნის შემდეგ გაკეთდა ახალი გადახურვა, რითაც აღდგა შენობის პირვანდელი სახე.

მოხდა შენობის გამაგრება კონსტრუქციული თვალსაზრისით - გასამაგრებელი სამუშაოები განხორციელდა სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, სრულად გამოიცვალა სახურავის საფარი - მოხდა ძველი საფარის ზუსტი რეკონსტრუქცია, მათ შორის გუმბათების ხელახლა დამზადება და დამონტაჟება იმ სახით და იმ მასალით, როგორც ეს თავდაპირველად იყო.

შიდა ცენტრალური კიბე, რომელიც შენობის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს, რეკონსტრუქციამდე საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში იყო. მოხდა მისი რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, როგორც კონსტრუქციული, ისე დეკორატიული თვალასზრისით. იგი აბსოლუტურად პირვანდელი სახით იქნება წარმოდგენილი.

I სართულის იატაკები სხმული მოზაიკით იყო მოპირკეთებული, რაც ანდრეოლეტის მიერ გაკეთდა. მოზაიკამ იმდენად დაზიანებული სახით მოაღწია ამ დრომდე, რომ ყველანაირი მცდელობის მიუხედავად მისი რესტავრირება ვერ მოხერხდა - მოხდა მოზაიკის კონსერვაცია ლითონის ბადის ქვეშ, ხოლო ზემოდან თეთრი გრანიტის საფარი დაიგო.

ამჟამად ფასადი სრულადაა რესტავრირებული, ხოლო ინტერიერის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. უკვე დამონტაჟებულია შენობის ღამის განათება. უახლოეს დღეებში შენობის თავზე, ცენტრალური გუმბათის ქვეშ ქუჩის საათი დამონტაჟდება.

# ბინ-ლადენზე მონადირემ თანამდებობა დატოვა... ბუშის გასაკრიტიკებლად

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ქვეგანყოფილების უფროსი მაიკლ შოიერი, რომელიც ბინ ლადენზე "ნადირობას" ხელმძღვანელობდა, თანამდებობიდან გადადგა, რათა ღიად ესაუბრა ტერორიზმსა და იმის თაობაზე, რომ აშშ-ს მთავრობა ალ-ქაიდასგან მომდინარე საფრთხეს არასათანადოდ აფასებს.

"იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენთან არ მიმდინარეობს ადეკვატური ნაციონალური დებატები იმ საფრთხეზე, რომელსაც უსამა ბინ-ლადენი და მის მიერ მართვადი და შთაგონებული ძალები წარმოადგენენ და ასევე სადაზვერვო ორგანოების რეფორმის ხასიათზე, რომელიც აღნიშნული საფრთხის ლიკვიდაციისათვისაა აუცილებელი," - განაცხადა შოიერმა.



*ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი აკრძალულ თემებზე პრესასთან ღიად საუბარს აპირებს.*

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ივლისში ცსს-მ მას საჯაროდ გამოსვლა აუკრძალა. თუმცა, სამმართველოს შოიერისთვის ხელი არ შეუშლია, როდესაც მან, საკუთარი სახელის მითითების გარეშე, გამოაქვეყნა წიგნი სათაურით "იმპერიული ქედმაღლობა". ეს წიგნი ამერიკაში ბესტსელერად იქცა. ავტორმა მასმედიასთან მიცემულ ინტერვიუში კი განაცხადა, რომ წიგნი ვინმე მაიკმა დაწერა.

ბოლო დროს, შოიერი ერაყში მიმდინარე საომარი ოპერაციის უმკაცრეს კრიტიკოსად იქცა. მისი მტკიცებით, ამ ომმა მუსულმანებს შორის ანტიამერიკული განწყობის გაძლიერება გამოიწვია. შედეგად, მისმა სახელმა პრესაში გაჟონა. თეთრი სახლის ზოგიერთ ჩინოვნიკს ეჭვი გაუჩნდა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში შოიერს უფლება მისცეს, თავისუფლად ესაუბრა და ერაყის ოპერაციის გამო აშშ-ს ადმინისტრაცია ღიად ეკრიტიკებინა. ამიტომ, ცსს-ის ხელმძღვანელობამ, ყოველგვარი ეჭვების გასაფანტად და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროდ ჩათვალა შოიერისათვის საჯაროდ გამოსვლა აეკრძალა. თუმცა, როგორც დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი ამბობს, ლენგლიდან ის არა ვიღაცის ზეწოლით, არამედ თავისი სურვილით წამოვიდა.

ორშაბათს, ამერიკულ გაზეთთან The Washigton Post-თან ინტერვიუში შოიერმა განაცხადა, რომ მისი აზრით, სააგენტომ მისი გაჩუმება მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ის არა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას, არამედ თავად ცსს-ს აკრიტიკებდა. "ვიდრე წიგნს პრეზიდენტის გასანადგურებლად იყენებდნენ, მე პრესასთან ურთიერთობის ნებას მრთავდნენ. მაგრამ, სინამდვილეში, ეს გახლავთ ისტორია ბიუროკრატიის უუნარობაზე, გვერდით ამოუდგეს მათ, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავს," - ხაზგასმით აღნიშნა შოიერმა.

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველო ყოფილი ჩინოვნიკის კრიტიკის ობიექტად მხოლოდ იმის გამო იქცა, რომ 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების გამო მთლიანი პასუხისმგებლობა ცსს-ს დააკისრეს. მათ კი არაფერი ილონეს იმისათვის, რომ განტევების ვაცად არ ქცეულიყვნენ. შოიერის თქმით, სამმართველოს ყველა ჩავარდნაში მას ადანაშაულებდნენ, მაშინ, როდესაც ამ ჩავარდნებში მთავარი დამნაშავეები ამერიკის სადაზვერვო ელიტა და ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი გახლდნენ, რომლებსაც სიცოცხლის გადარჩენა მთავარ პრიორიტეტად იშვიათად მიაჩნიათ.

1996-1999 წლებში შოიერი სათავეში ედგა ქვეგანყოფილებას, რომელსაც ბინ-ლადენის შეპყრობა ევალებოდა. ამის შემდეგ, იგი კონტრდაზვერვაში ანალიტიკოსად მუშაობდა. ამჟამად, შოიერმა გადაწყვიტა, რომ უპრიანი იქნებოდა, თუ ის გადაგებოდა და მიეცემოდა ღიად საუბრის საშუალება ისეთ თემებზე, როგორიცაა უსამა ბინ-ლადენი, ალ-ქაიდა და 11 სექტემბრის კომისიის მოხსენება. როგორც თავად შოიერი აცხადებს, უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ის პრესასთან ურთიერთობას აპირებს და ტელეკომპანია ABC-ის გადაცემა "60 წუთშიც" მიიღებს მონაწილეობას.

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, წარსულში შოიერის ხელმძღვანელობით მომუშავე ჯგუფის რეორგანიზაცია მოხდა და ის "ტაქტიკურ ქვეგანყოფილება 121"-ად გადაკეთდა, რომელსაც ბინ-ლადენის პოვნა ევალებოდა. აღნიშნულ სპეცდანაყოფს ლეგენდარული ბილ მაკ-რეივენი ედგა სათავეში, რომელიც ვიეტნამის ომიდან მოყოლებული სპეცდანიშნულების რაზმებში მსახურობდა და ანტიტერორისტული ოპერაციების ერთგვარი "აკადემიკოსი" გახლავთ.

"ტაქტიკური ქვეგანყოფილება 121" არის ზეთანამედროვე ერთეული, რომელიც თავისებურ სპეცსამსახურს - დაზვერვისა და სწრაფი რეაგირების ძალების ჰიბრიდს წარმოადგენს. რაზმის ძირითადი მიზანი დედამიწის ნებისმიერ წერტილში აშშ-ს მტრების პოვნა და განადგურება გახლავთ. აღნიშნული ქვეგანყოფილება სპეცოპერაციების გაერთიანებული ხელმძღვანელობის ფარგლებში შეიქმნა. ეს უკანასკნელი კი არმიის სტრუქტურული ნაწილია, რომელიც "შავი ოპერაციების" განხორციელებით არის დაკავებული.

ქვეგანყოფილებაში ცსს-ს საუკეთესო აგენტები, არმიის სპეცრაზმი "დელტა" და აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების საუკეთესო პილოტები შედიან. ქვეგანყოფილება აგრეთვე მაღალი ტექნოლოგიების სფეროს უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი.

# კორუფციით ნაკვები ტერორიზმი

## რუსეთში ქრთამს სიცოცხლის ხელყოფის ფასადაც კი იღებენ

კიმ მერფი
"ლოს ანჯელეს თაიმსი"

მოსკოვი. ავიასალაროსთან ორი ახალგაზრდა ქალბატონი გამოჩნდა. ისინი უბილეთოდ იყვნენ, თუმცა ამგვარი რამ რუსეთში ძნელად შეიძლება ჩაითვალოს გადაულახავ დაბრკოლებად. მათ დაახლოებით 175 აშშ დოლარი შეაჩეჩეს ხელში სალაროსთან მდგომ ბილეთების გადამყიდველს, მან კი სოჭში 21:35 საათზე მიმავალი რეისის ბილეთების მოლარეს 30 დოლარი უწილადა იმისათვის, რომ ქალბატონ საციტა ზებირხანოვას თვითმფრინავში აეღწია. მის მეგობარს, ამანტა ნაგაევას, ნაკლებად გაუღიმა ბედმა. 21:35 საათიან რეისს, რომლითაც იგი ცენტრალური რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში, ვოლგოგრადში გაფრენას იმედოვნებდა, უკვე დაეტოვებინა აეროპორტი. იგი დაჟინებით და ნერვიულად მოითხოვდა შემდეგ თვითმფრინავზე ასვლას, იმისდა მიუხედავად, რა მიმართულებით გაფრინდებოდა ეს უკანასკნელი.

ნაგაევა, ასაფეთქებელი მოწყობილობით, რომელიც, სავარაუდოდ, მას თან ჰქონდა, მომდევნო 22:20 საათიან რეისს გაჰყვა. ორივე თვითმფრინავი სამწუთიანი ინტერვალით აფეთქდა. ეს მოხდა 24 აგვისტოს, კატასტროფისას თვითმფრინავების ბორტზე მყოფი 90 მგზავრი დაიღუპა.

რუსეთში, მგზავრებით შევსებულ თვითმფრინავში მოხვედრა ოდნავ მეტი თუ ღირს, ვიდრე თვითმფრინავში, რომელშიც ადგილები არის. მოსკოვის *"სადოვოე კოლცოზე"* სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში საგზაო პოლიციასთან პრობლემის მოგვარება 35 დოლარი ღირს; საგადასახადო სამსახურის შემოწმების თავიდან აცილება ან პირიქით, ბიზნეს კონკურენტისადმი იგივე ღონისძიების მოწყობა - 30 000 დოლარი; ომისაგან მიწასთან გასწორებულ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში კი, სულ რაღაც 2 დოლარად შეგიძლიათ, პოლიციის მიერ კონტროლირებადი გამშვები პუნქტი უპრობლემოდ დატოვოთ.

კორუფცია რუსეთის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ მას აღარ მიიჩნევენ, როგორც ყველაზე "უმსხვერპლო" სისხლის სამართლის დანაშაულს.

ეჭვები იმის შესახებ, რომ სამართალდამცავ სისტემაში არსებულმა კორუფციამ დიდი როლი ითამაშა ბოლო დროს მომხდარ ტერორისტულ აქტებში, მათ შორის 1 სექტემბერს, ბესლანის ტრაგედიაშიც (არსებობენ იმის მოწმეები, თუ როგორ გაიარეს პოლიციის გამშვები პუნქტი მძიმედ შეიარაღებულმა ტერორისტებმა), დღევანდელ რუსეთში კორუფციისა და ძალადობის ახალებურ კავშირზე მიუთითებს.

"რუსეთში კორუფციასთან ბრძოლის პრობლემა ახალ საფეხურზე ავიდა, - ამბობს საერთაშორისო გამჭვირვალობის ოფისის ხელმძღვანელი რუსეთში, ელენა პანფილოვა (ეს ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით კორუფციის მონიტორინგს ახდენს), - აგვისტოსა და სექტემბრის მოვლენების შემდეგ კორუფცია ჩვენი ქვეყნის პრობლემად იქცა, რომელიც ყოველდღე უქმნის საფრთხეს თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს."

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა მხოლოდ ბესლანის ტრაგედიის შემდეგ მიაქცია ამ პრობლემას ყურადღება, როდესაც განაცხადა, რომ ალყის შემდეგ 340 კაციანი მსხვერპლი ქვეყნის სისუსტეზე მიუთითებდა. "ჩვენ კორუფციას სამართალდამცავი და სასამართლო სტრუქტურები დავანგრევინეთ," - განაცხადა მან.

ჩრდილოეთ ოსეთის სკოლის ყოფილი მძევლების თქმით, ტერორისტები უამბობდნენ მათ, თუ რა ადვილად მიაღწიეს სკოლამდე პოლიციის მოქრთამვის გზით. ერთ-ერთი ყოფილი მძევალი, ლუდმილა ბოიევა ტერორისტების ნათქვამს იხსენებს: "იცოდეთ, თქვენი პოლიციის ყოველი წევრი მატყუარა და კორუმპირებულია, ჩვენ მათ ყველას გადავუხადეთ." ბოიევა ამბობს, რომ ტერორისტები თავიდან მძევლების აყვანას უფრო დიდ ქალაქში, ვლადიკავკაზში გეგმავდნენ, მაგრამ მათ ამისთვის თანხები არ ეყოთ. "ეს ყველაფერი ფულის გამო გაკეთდა, - ამბობს ბესლანის ყოველკვირეული გაზეთის რედაქტორი, სვეტლანა ჩერპოვსკაია, რომელმაც ამ ტრაგედიის დროს თოთხმეტი წლის გოგონა დაკარგა, - რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ აღნიშნულმა ტერორისტულმა ბანდამ დღისით გაიარა ბლოკპოსტები? ამბობენ, რომ ყაჩაღებს მილიციელი უჩვენებდა გზას. მოგვიანებით იგი მილიციის განყოფილებაში, სახედასახიჩრებული ნახეს.

გასულ კვირას, ჩრდილოეთ ოსეთში, ბესლანის ტრაგედიის დროს დანაშაულებრივი გულგრილობის ბრალდებით მილიციის სამი მაღალი თანამდებობის პირის მიმართ აღიძრა საქმე. სავარაუდოდ, საქმე აღიძვრება კიდევ ორი ოფიცრის წინააღმდეგ. ასევე, საქმე აღძრულია სამი ოფიცრის მიმართაც მეზობელ ინგუშეთის რესპუბლიკაში. თუმცა, გამოძიება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ კორუფციის ფაქტებზე მტკიცებულებები არ მოეპოვებათ.

"მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები იმ ბრალდებას, თითქოს ტერორისტებმა გამშვები პუნქტი პოლიციის მოქრთამვის შედეგად გაიარეს, - განაცხადა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ისმელ შაოვმა, - ყველაზე გამოუსწორებელი მექრთამეც კი, არასოდეს ისურვებდა ჯიბე გაესქელებინა ასობით სიცოცხლის ხელყოფის ფასად." "ერთი საქმეა, როდესაც მილიციელი ფულს იღებს არყით სავსე სატვირთო მანქანის საკონტროლო პუნქტიდან გასაშვებად, მაგრამ სრულიად სხვა საქმეა, როდესაც შეიარაღებული ტერორისტების ჯგუფს უშვებ ქალაქში, სადაც შენი საკუთარი ნათესავები ცხოვრობენ."

დანაშაულებრივი გულგრილობის ბრალდებით ასევე აღძრულია საქმე ბესლანის მილიციის ყოფილი უფროსის, ტრაგედიის შემდეგ მალევე გათავისუფლებული მიროსლავ აიდაროვის წინააღმდეგაც. ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც იგი მაღალი წნევის გამო იწვა, აიდაროვმა განაცხადა, რომ არსებული რესურსების პირობებში პოლიციამ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. "მე ერთი ჩვეულებრივი პოლიციელი ვარ, მე არ ვარ საზღვრის მცველი, - თქვა მან, - მაინც როგორ უნდა მომეხერხებინა ჩრდილოეთ ოსეთსა და მეზობელ რესპუბლიკებს შორის ადმინისტრაციული საზღვრის დაცვა? იქნებ ეკლებიანი მავთული უნდა გამევლო საზღვარზე ან იქნებ საზღვრის არალეგალური გადმოკვეთის აღკვეთის მიზნით მთელი პერიმეტრის გასწვრივ მდებარე ტერიტორია უნდა დამენაღმა. რაც შეეხება მექრთამეობას, ზოგიერთი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი შესაძლებელია, იყოს მექრთამე, მაგრამ არა ამ დონეზე; ერთი წუთითაც ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მთელი დასტა რუბლების სანაცვლოდ ვინმე საფრთხეს შეუქმნის თავისი ნათესავებისა და ნაცნობების სიცოცხლეს."

აგვისტოში ორი კამიკაძე ქალის მიერ თვითმფრინავების აფეთქების შემთხვევაში, სამართალდამცავებმა საქმე აღძრეს არა მარტო ბილეთების გადამყიდველისა და ავიაკომპანიის მოლარის მიმართ, არამედ, ასევე, აეროპორტის ანტიტერორიზმთან ბრძოლის სამსახურის უფროსის წინააღმდეგაც. პროკურატურამ განაცხადა, რომ ზებირხანოვი და ნაგაევა კავკასიაში ჩეჩნეთის მოსაზღვრე დაღესტნიდან ჩამოფრენისთანავე შემჩნეული იყვნენ როგორც საეჭვო გარეგნობის პიროვნებები, მაგრამ პოლიციამ ისინი ბარგის შეუმოწმებლად მიუშვა ბილეთების სალარომდე. მოცემულ შემთხვევაში მილიციელი მექრთამეობაში არ დაუდანაშაულებიათ. როგორც პოლიციელი ამბობს, მან იმიტომ გაატარა ქალბატონები, რომ მათი პასპორტები წესრიგში იყო.

მაგრამ რუსები უფრო და უფრო წუხან იმაზე, რომ კორუფცია სამართალდამცავ სისტემაში მასშტაბურ სახეს იღებს და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობისათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი, რომელიც თვეში 200$ გამოიმუშავებს, უგულისყუროდ არ დატოვებს იმას, თუ როგორ ცდილობს კამიკაძე-ტერორისტი მეტროში ან მატარებელში ან კიდევ ხალხით სავსე თეატრში მეტალის დეტექტორის შემოწმების გარეშე შეღწევას.

"რა აქვს მას სანერვიულო, როდესაც მან ფული აიღო და იცის, რომ მისი ოჯახი უსაფრთხოდაა. დაფიქრდება კი ის იმ უბედურ ადამიანებზე, რომლებიც თვითმფრინავში ჩასხდნენ, იმ თვითმფრინავში, რომელშიც მან ეს-ესაა ტერორისტები შეუშვა? რა თქმა უნდა, არა! - ის რაც თვალთახედვის მიღმაა, გონების მიღმაცაა. მგზავრები გაფრინდებიან და იგი მათ არასოდეს შეხვდება, - ამბობს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მილიციელი, - ბევრი ადამიანი ფიქრობს: ჯანდაბას ჩემი ქვეყანა. იგი მე ნორმალურად არც ფულს მიხდის, არც ზრუნავს ჩემზე და როცა მომკლავენ, არც ჩემს ოჯახზე იზრუნებს, ასე რომ, რა ვალდებული ვარ ეს ქვეყანა დავიცვა?"

ფონდ "INDEM"-ის წარმომადგენელი გიორგი სატაროვი, რომელმაც ახლახან დაასრულა რუსეთში არსებული კორუფციის კვლევა, ამბობს, რომ სამართალდამცავ სისტემაში არსებული ყოვლისმომცველი კორუფცია მთავრობის საყოველთაო უუნარობით არის გამოწვეული. "კორუფცია სამართალდამცავ ორგანოებში მხოლოდ ნაწილია იმ საყოველთაო, დიდი ფენომენის, რომელიც ხელისუფლების მმართველობის უუნარობაზე მეტყველებს," - აცხადებს სატაროვი.

რუსეთის მოქალაქეები უკვე მიეჩვივნენ ძალოვან ორგანოებში არსებული კორუფცია საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენონ. "თუმცა, ხალხი არასოდეს იფიქრებს, რომ მათმა კორუმპირებულობამ, შესაძლებელია, სხვა მოქალაქეების სიცოცხლე იმსხვერპლოს," - დასძენს მოსკოვის პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ანალიტიკოსი ალექსი მაკარკინი. "შესაძლებელია, უცაბედად ვინმე გამოფხიზლდა კიდეც დომოდედოვოს აეროპორტის ბილეთების სალაროსთან და მიხვდა, რა საშინელი შედეგი მოჰყვა მის კორუმპირებულობას; იქნებ მოლარემ თქვა კიდეც, რომ მათ საშინელი რამ ჩაიდინეს, მაგრამ ეს შემაძრწუნებელი გრძნობა, როგორც ჩანს, დიდხანს არ შეაწუხებდათ. რამოდენიმე კვირაში ყველაფერი ისევ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა და ბილეთებიც ისევ ძველებურად გაიყიდებოდა", - ამბობს იგი.

ბესლანის გაზეთის რედაქტორს, ჩერპოვსკაიასაც მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ბესლანის ტრაგედიის გამოძიების ნამდვილი შედეგების გამოცხადებისა და დამნაშავეების გამოაშკარავებისა, მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილს სჯერა: "მე ვიცნობ ხალხს სამართალდამცავ ორგანოებში, რომლებიც იღებდნენ ქრთამს, და ტრაგედიის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. ისინი დღესაც ძველ თანამდებობებზე არიან და ისევე იღებენ ფულს. სრულ სიმართლეს კი ჩვენ მხოლოდ ხუთ ან ათ წელიწადში გავიგებთ," - ამბობს შვილდაკარგული დედა.

# ჰოლანდიაში ქურთი სეპარატისტები დააკავეს

ჰოლანდიის სამხრეთ ნაწილში ეინდჰოვენის რაიონში პოლიციამ რეიდის შედეგად, ხელისუფლებისავე მტკიცებით, სეპარატისტები დააკავა ე.წ. საწვრთნელ ბანაკში, სადაც აკრძალული ქურთთა მუშათა პარტიის წევრები გადიოდნენ მომზადებას. ქალაქ ლიემპდეს მერის განცხადებით, სულ დაკავებულია 29 პირი, მათ შორისაა სეპარატისტთა საწვრთნელი ობიექტის მეპატრონეც. ხელისუფლების მტკიცებით, რეიდები ანტიტერორისტული ოპერაციები არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ტერორიზმში ბრალდებული ორი პირის დაკავების შემდეგ განხორციელდა.

ქურთთა მუშათა პარტია, რომელიც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქურთთა სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის, ხელისუფლების მიერ აკრძალულია. მართალია ამ პარტიის წარმომადგენლებმა 1999 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გააკეთეს განცხადება, პირობა დიდხანს არ დაუცავთ და მიმდინარე წლის ივნისში გადაწყვეტილება შეცვალეს.

პროკურატორის წარმომადგენელთა განცხადებით, ჰოლანდიაში ქურთთა მუშათა პარტიის მოღვაწეობის გამოძიება შარშან დაიწყო.

გასულ კვირას კი ჰააგის სასამართლომ თურქეთში იმ პირის ექსტრადიცია არ დაუშვა, რომელიც ქურთთა მუშათა პარტიის ხელმძღვანელობასა და 90-იან წლებში განხორციელებულ აფეთქებათა სერიაშია ეჭვმიტანილი.

***ბიბისი***

## ორი სიტყვით

**იაპონია.** იაპონიამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ოფიციალური პროტესტი გამოთქვა, რადგან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი ჩინური ატომური წყალქვეშა ნავი იაპონიის ტერიტორიულ წყლებში შეიჭრა. უცხო წყალქვეშა ნავი იაპონიის აკვატორიაში ოკინავას სამხრეთ-დასავლეთით ისიგაკისა და მიიაკოს კუნძულებს შორის 10 ნოემბერს შეამჩნიეს. აღნიშნულ რაიონში იგი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც ნეიტრალური ზონისკენ გასწია. იაპონელები კი მის კვალს გაჰყვნენ. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნობუტაკა მატიმურამ მომხდართან დაკავშირებით ბოდიშის მოსახდელად იაპონიაში ჩინეთის ელჩის მრჩეველი გამოიძახა. მინისტრისავე განცხადებით, ჩინეთს იაპონიის ტერიტორიულ წყლებში ჩინური წყალქვეშა ნავის მოხვედრის მიზეზების ახსნა და ამასთანავე, მომავალში ასეთი ინციდენტების თავიდან აცილებაზე ზრუნვა მოუწევს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ინდონეზია.** წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთში პატარა კუნძულოვანი ქვეყნის, ვანუატუს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჩინეთის კუნძულ ტაივანთან ე.წ. დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება. გასულ კვირას ტაიბეიმ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რაც ვანუატუს პრემიერ-მინისტრის სერჟ ვოხორის მიერ ხელმოწერილ მემორანდუმს ემყარება. აღნიშნული მემორანდუმი კი ტაიბეის მხრიდან სოლიდური ფინანსური დახმარების დაპირების შედეგად გაფორმდა. თუმცა, ჯერ კიდევ 22 წლის წინ პორტ-ვილამ მხოლოდ "ერთი ჩინეთი" აღიარა და მას შემდეგ არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები პეკინთან. ეს უკანასკნელი კი ვანუატუს ჩინეთის განუყოფელ ტერიტორიად განიხილავს. ვანუატუს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის დენონსაციის შესახებ გადაწყვეტილება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საგანგებო სხდომაზე მიიღო, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჩინეთთან თანამშრომლობის საკითხისადმი საკუთარი ერთგულება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** პარიზის შეხვედრის შემდეგ სამშობლოში კონსულტაციებისთვის დაბრუნებულმა ირანის დელეგაციამ ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ უკვე წარადგინა თავისი დასკვნა. "ევროპული სამეულისადმი" (საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი) ირანის პასუხი ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტასთან დაკავშირებით ევროკავშირთან თანამშრომლობის ნაცვლად, ევროპული წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ურთიერთგამომრიცხავია". "ეს პასუხი არც უარყოფითია, მაგრამ არც ბოლომდე ნათლად ჩამოყალიბებული,"- აღნიშნავს ინფორმაციის წყარო. პარიზში არსებული ინფორმაციის თანახმად, ირანი მზადაა, დროებით შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობა, სანაცვლოდ კი, "სამეულმა" თანამშრომლობისათვის "კონკრეტული წინადადებები გარანტიებით უნდა წარადგინოს". **24 საათი**

■ ■ ■

**დსთ.** ტაჯიკეთის სასაზღვრო ძალების გენშტაბის ხელმძღვანელის გენერალ-მაიორის ნურაშილო ნაზაროვის თქმით, რუსმა მესაზღვრეებმა ტაჯიკი კოლეგებისათვის პამირის ნაწილის სახელმწიფო საზღვრის გადაბარება დაიწყეს. ტაჯიკი გენერალ-მაიორი რუსეთ-ტაჯიკეთის სამუშაო კომისიის თანამეთაურია. რუსული მხრიდან კი კომისიას ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს შტაბის მეთაური გენერალ-მაიორი ვალერი რიაბუნინი ხელმძღვანელობს. პამირში ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრის სიგრძე 950 კმ-ს შეადგენს, აქედან 70 კმ რუსულმა მხარემ ტაჯიკეთს გასაკონტროლებლად ჯერ კიდევ ორი წლის წინ გადასცა. დარჩენილი ნაწილის მიღება-გადაბარება იშკაშიმის სასაზღვრო ნაწილიდან დაიწყება, რომელიც თითქმის 560 კმ-ს აკონტროლებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** მოლდოვის პარლამენტმა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბოლოო მოსმენით მიიღო. მისი საშემოსავლო ნაწილი 3 485 997 000 ლიეთი განისაზღვრება, რაც დაახლოებით 275 მლნ აშშ დოლარია და ხარჯვითი ნაწილის თანაბარია. სარეზერვო ფონდისათვის 135 მლნ ლიეა (დაახლოებით 10.6 აშშ დოლარი) გათვალისწინებული. ბიუჯეტი შედგენილია 1 აშშ დოლარზე 12.7 ლიეს სავალუტო კურსის გათვლით. ბიუჯეტი სოციალურ ხარჯვით ნაწილზეა ორიენტირებული, მისი დიდი ნაწილი პენსიებზე, მრავალშვილიანი ოჯახების ფონდზე, მოსახლეობის დასაქმების ფონდსა და სხვა სოციალურ პრობლემებზეა გათვლილი. **იტარ-ტასი**


**ამერიკის საელჩო თბილისში აწყობს ტენდერს აშშ საელჩოსათვის დიპლომატიური მისიის თანამშრომლებისათვის ქართული და რუსული ენის გაკვეთილებზე.**

**ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა იმ კომპანიას, ვისაც აქვს საქართველოში მუშაობის უფლება.**

საელჩო დაიწყებს სატენდერო მასალების გაცემას ამა წლის 16 ნოემბრიდან შემდეგ მისამართზე: სასტუმრო "შერატონ მეტეხი", მე-5 სართული, USAID/აშშ საელჩოს მისაღები. გთხოვთ, იქვე დატოვოთ თქვენი კომპანიის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია მომარაგების განყოფილების სახელზე. ეს საშუალებას მოგვცემს, დროულად მოგაწოდოთ ინფორმაცია კონტრაქტში შესაძლო ცვლილებებზე და გავცეთ პასუხები თქვენს კითხვებზე. სატენდერო მასალების ელექტრონული ვერსია შესაძლებელია მოიძიოთ აშშ საელჩოს ვებ გვედრზე http://georgia.usembassy.gov.

გთხოვთ, თქვენი შეკითხვები მოგვაწოდოთ წერილობით, ზემოთ ხსენებულ მისამართზე. პასუხს კითხვებზე მიიღებთ წერილობით, წინასატენდერო კონფერენციის დროს.

წინასატენდერო კონფერენცია ჩატარდება ამა წლის 24 ნოემბერის 11 საათზე, შემდეგ მისამარზე: USAID-ის საკონფერენციო დარბაზი, სასტუმრო "შერატონ მეტეხის" მე-5 სართული.

კომპანიებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასატენდერო კონფერენციაში, კონფერენციამდე 24 საათით ადრე უნდა მოგვაწოდონ კონფერენციაში მონაწილე პირების სია ფაქსით (995 32) 77-50-26 ან ქვემოთ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე: jashit2@state.gov .

ნინო ცინცაძის სვეტი

# რისი თქმის უფლება აქვს სასულიერო აკადემიის სტუდენტს? რისი თქმის უფლება აქვს მღვდელს?

- "ეს არ გადაიღო ბიჭო! ქართველი არა ხარ! ამის ჩვენება არ შეიძლება! ხო არ გინდა ახლა კამერა დაგიმტვრიო!" - ასე იცავდნენ სასულიერო აკადემიის პრესტიჟს აკადემიის ის სტუდენტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ის, რაც ეკლესიაში ხდება, "გარეთ" არ უნდა გავიდეს.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 83.9 პროცენტი მართლმადიდებელია. აქვთ თუ არა მათ უფლება, იცოდნენ რა ხდება საქართველოს საპატრიარქოში? ყოველთვის მეგონა, რომ ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად დადებითი იქნებოდა - თურმე, უკაცრავად. ის, რაც ეკლესიაში ხდება, მხოლოდ ეკლესიის შიდა პრობლემა ყოფილა და მისი გარეთ გატანა არ შეიძლება. რას ნიშნავს გარეთ? სად მთავრდება ეკლესია? სად არის მისი ზღვარი და სად არის მისი "გარეთ"? ნუთუ ეს "გარეთ" ხალხია? ის 83.9 პროცენტი, რომელიც თავს მართლმადიდებლად მოიაზრებს? თუ ეს ხალხი "გარეთაა", მაშინ რა არის ეკლესია? მხოლოდ ცარიელი კედლები და ის სასულიერო პირები, რომლებიც თვლიან, რომ სხვები "გარეთ" არიან? ყოველთვის მეგონა, რომ ღვთის მთავარი ტაძარი თავად ადამიანი იყო - თურმე, უკაცრავად. საქართველოში საქმე სხვაგვარად ყოფილა. ღვთის სიტყვაზე მონოპოლია მხოლოდ საპატრიარქოსა და სასულიერო აკადემიის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს ჰქონიათ. ეს სასულიერო სემინარიის 1994 წლის წესდებაშიც ყოფილა დაფიქსირებული. წესდების მიხედვით, "სტუდენტი ვალდებულია, რექტორთან შეათანხმოს იმ წერილის, სტატიისა და ინტერვიუს ტექსტი, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივ, კანონიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება". ეს წესდება, რომელსაც, სხვათა შორის, სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა უმრავლესობა გუშინდლამდე არ იცნობდა, ათი წლის განმავლობაში მხოლოდ მოსწავლეებზე ვრცელდებოდა. წელს კი, ეს წესი ყველა სასულიერო პირზე გავრცელდა. ამ ზაფხულს, როდესაც მამა გიორგი ჩაჩავას "რუსთავი 2"-სათვის მიცემული ინტერვიუს გამო სხვა მღვდელმა მანქანა დაუმტვრია და შეურაცხყოფა მიაყენა, საპატრიარქომ პრობლემის გადაჭრის საკმაოდ "ეფექტური" გზა იპოვა: პატრიარქის კურთხევის გარეშე ინტერვიუს მიცემა ყველა მღვდელს აეკრძალა.

ამას წინათ ჩემს ძმასთან მეგობარი მოვიდა - მანქანა დამიმტვრიეს, გაჩერებული ვიყავი და უკნიდან დამეჯახნენო. - რა ქენი მერე, არ აკეთებინებ? - ბუნებრივი შეკითხვა დასვა ჩემმა ძმამ. - არა ბიჭო, მღვდელი იყო და ვერაფერი ვუთხარი. პოლიციელი რომ მღვდელს ხელს არ ახლებს, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან, ამას თავად პოლიციელები აღიარებენ. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ სასულიერო პირების ხელშეუხებლობისა ჟურნალისტების უმრავლესობაც სჯერა. "როგორი დამნაშავე და ცოდვილიც არ უნდა იყოს მღვდელი, მრევლის მხრიდან მისი განკითხვა კიდევ უფრო დიდი ცოდვა იქნება," - განაცხადა გიორგი ჩაჩავას ინციდენტთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა მათგანმა. გუშინ, იგივე ჟურნალისტები სასულიერო აკადემიის იმ სტუდენტებს კიცხავდნენ, ვინც, მათი აზრით, აკადემიაში განხეთქილება შეიტანა და ის პრობლემები, რაც საპატრიარქოში არსებობს, სააშკარაოზე გამოიტანა. პრობლემები კი ასეთია: გაუნათლებელი, კრიმინალური წარსულის მქონე, ნარკომანი მღვდლები, სიგარეტითა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, ნაციონალ-მესიანისტური იდეების გავრცელება, მრევლისგან, სხვა ეკლესიებისგან იზოლირება და სხვა. ნუთუ, ეკლესიაში განხეთქილება მხოლოდ იმ სტუდენტების წერილმა შეიტანა, რომლებმაც ბოლოს სიმართლის თქმა განიზრახეს? ნუთუ მორწმუნეთა გულებში ეჭვსა და ბზარს ის ხმები არ ბადებდა, რომლებიც საზოგადოებაში ამ წერილის გამოქვეყნებამდე ბევრად უფრო ადრე დადიოდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აკადემიის ზოგი სტუდენტი კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს იშველიებს, თუმცა შემდეგ სხვა დროსა და სივრცეში ხტება და რატომღაც ჰგონია, რომ გრიგოლ ხანძთელის დროს სასულიერო აკადემია არსებობდა. თუმცა მათი ლოგიკის ეს "მარგალიტები" ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს სხვა საუბრის თემაა.

გუშინ სასულიერო აკადემიაში საბოლოო განაჩენი იმ სტუდენტებს გამოუტანეს, ვინც ჩვენს გაზეთში ეკლესიის პრობლემებზე ღიად ალაპარაკდა. ჯერ რექტორთან მათი ცალ-ცალკე შეყვანა და ისე დაკითხვა სურდათ, მაგრამ მრავალრიცხოვანმა პრესამ და რამდენიმე სასულიერო პირის აქტიურობამ ეს გეგმა ჩაშალა. საბოლოო განაჩენი ასეთია: სტუდენტებმა მკაცრი საყვედური მიიღეს. ისინი სასწავლებელში პირობით დარჩნენ და იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ქმედების ჩადენას ისევ დააპირებენ, მათ სასწავლებლიდან გარიცხავენ. თუმცა, ეს გასაკვირი, ალბათ, არ არის - სანამ ჩვენს ქვეყანაში ისე აზროვნებენ, როგორც ჩემი ძმის მეგობარი, "ღვთის შიშის მქონე" პოლიციელები და მღვდელთა ხელშეუხებლობის იდეით გატაცებული ჟურნალისტები, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია დაიტოვებს უფლებას, თავისუფალი სიტყვის თქმისათვის სტუდენტებს გარიცხვით დაემუქროს.

გუშინ საღამოსვე კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში სამოქალაქო საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. აქვე იყვნენ სასულიერო აკადემიის სტუდენტები და მათი მხარდამჭერი სასულიერო პირები. მათ წერილობით მიმართეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რათა მან მიმდინარე პროცესების მიმართ თავისი დამოკიდებულება დააფიქსიროს. სტუდენტები მამა ბასილ კობახიძესთან ერთად სასამართლოში სარჩელსაც შეიტანენ სასულიერო სემინარიის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. გარდა ამისა, სამოქალაქო საბჭოს წევრები უახლოეს მომავალში დიდი კონფერენციის მოწყობას აპირებენ, სადაც ღიად ითქმება იმ რეალობის შესახებ, რაც დღეს წმინდა სინოდსა და საპატრიარქოში ხდება.


## კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"

**კონკურსის შინაარსი**

კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.

**კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

**კონკურსის პირობები**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.

**კონკურსის პირობებს ერთვის:**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე**: ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**

4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**


# ვის ეხება კანონი მშენებლობის შესახებ

თამარ დვალი

*ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თბილისმა ხუთი მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა. თითოეული მათგანი უკანონო მშენებლობებზე ნებართვების გაცემას თავის წინამორბედს აბრალებდა. მიშენებულ ლოჯიებსა და უგემოვნოდ აგებულ სახლებზე რომ არაფერი ვთქვათ, დამახინჯებულია თბილისის ისტორიული ნაწილი და ხელყოფილია ლანდშაფტის დაცვითი ზონები. არსებობს რამდენიმე ნაგებობა, რომელთა მიმართ საზოგადოების დიდ ნაწილს განსაკუთრებულად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ესენია: სოლოლაკის ხეივანში ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრი; აბანოთუბნის სასტუმრო; ბეთლემის ეკლესიის წინ აშენებული შენობები და სხვა. აღნიშნულ ობიექტებზე მშენებლობის შეჩერებას რესპუბლიკის არქმშენინსპექციის უფროსი ნესტან თათარაშვილი გამუდმებით ითხოვდა. ამ და სხვა ობიექტებზე გაკეთებული მწვავე განცხადებების გამო, ახლო მომავალში მას თანამდებობის დატოვება მოუწევს. სახელდება მისი შემცვლელის კანდიდატურაც.*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*არქმშენინსპექციის ჯერ ისევ მოქმედი ხელმძღვანელის განცხადებით, სოლოლაკში მშენებარე ეს ცენტრი უკანონოა.*

აღსანიშნავია, რომ თბილისის ლანდშაფტური გარემოცვისა და მისი ბაღ-პარკების ძეგლად აღრიცხვა და დაცვითი ზონების შექმნა განპირობებული იყო მათი ისტორიული და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებების დაცვის აუცილებლობით. არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 76-ე დადგენილება (29.01.956) "თბილისში ლანდშაფტის დაცვითი ზონის შესახებ" და 1987 წლის №430 დადგენილება "რესპუბლიკაში საბაღე-საპარკო ხელოვნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". დროთა განმავლობაში ამ ძეგლების ხელყოფის მრავალი ფაქტი დადასტურდა. შემცირდა პარკების ფართობები, დაიდგა შეუფერებელი ნაგებობები, განხორციელდა არაკვალიფიციური რეკონსტრუქციები.

ძეგლთა დაცვის სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა ლერი მეძმარიაშვილმა წერილობით მიმართა მაშინდელ მთავარ არქიტექტორს დავით ახვლედიანს და სთხოვა, შეესწავლა სოლოლაკის ხეივანში დაწყებული მშენებლობის დეტალები, მან უპასუხა, რომ შეისწავლა საქმე და აღმოაჩინა, რომ "სოლოლაკის ხეივნის მოშენების კომპლექსური გადაწყვეტის" შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1989 წელს ყოფილა მიღებული. 1996 წელს კი მუნიციპალიტეტს სწორედ ამ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე მიუღია დადგენილება, რომლითაც ხეივნის დასაწყისში არსებული ტერიტორია სასტუმროს მშენებლობისათვის "ბუნების დაცვის საზოგადოებას" დაუმაგრდა. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ახალი პროექტის ვარიანტი მთავარი არქიტექტორის მიერ განსახილველად გადაიგზავნა "საქმთავარძეგლთადაცვაში", სადაც, ახვლედიანის გასაკვირად, ეს ტერიტორია "ლანდშაფტის დაცვით ზონად" მიიჩნიეს, რის მიხედვითაც, იქ რაიმე ობიექტების მშენებლობა იკრძალებოდა.

**"სოლოლაკის ხეივანი" ლანდშაფტის დაცვით ზონაში კი არ იმყოფება, ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაშია, რომელშიც მოქმედი რეჟიმი სასტუმრო სახლის მშენებლობას არ კრძალავს, პირიქით ამ ზონაში ასეთი ობიექტების განთავსება მისაღებია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ ღონისძიებით დამკვეთის მიერ უკვე დაკმაყოფილდა ხეივნის დასაწყისში არსებულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრებთა საბინაო პირობები, ამასთან ტერიტორია დამატებით კიდევ უნდა გამოთავისუფლდეს სასოსისეს პავილიონისგან, რომელიც მეტად უსახური ნაგებობაა. ვფიქრობთ, ასეთი ობიექტის განთავსება ამ ტერიტორიაზე გამართლებულია,"** - ასკვნის ახვლედიანი მეძმარიაშვილისადმი გაგზავნილ პასუხში. მოგვიანებით, 2000 წელს მეძმარიაშვილმა კვლავ მიმართა ახვლედიანს წერილობით: **"დღეს უკვე ნათლად გამოიკვეთა სოლოლაკის ხეივნის დასაწყისში მრავალსართულიანი, ამ ადგილისთვის შეუფერებელი სასტუმროს შენობა. ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ ის, რაც დღეს აღიმართა სოლოლაკის ხეივანზე, დამტკიცებულია რომელიმე საბჭოს მიერ. ყოველ შემთხვევაში, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ასეთი პროექტი არ შეუთანხმებია. უფრო მეტიც, საბჭო იმთავითვე დაუშვებლად მიიჩნევდა ამ ადგილზე რაიმეს მშენებლობას. ნათლად გამოიკვეთა სოლოლაკის ხეივნის მჭიდროდ მოშენების ტენდენციაც, რაც თბილისის იერსახისათვის აბსოლუტურად დაუშვებელი, კატასტროფის ტოლფასი მოვლენა გახლავთ".**

ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელმა 2001 წლის 22 აგვისტოს წერილობით მიმართა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს გენერალურ დირექტორს, სადაც აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მათი მრავალგზის მცდელობისა, მშენებლობა მაინც შეუფერხებლად მიმდინარეობს. მეძმარიაშვილი ისტორიული ზონის სერიოზულ ხელყოფად მიიჩნევდა ახალი გზის გაყვანას ქედის ფერდობზე.

როგორც ხედავთ, სოლოლაკის ხეივანის სტატუსი თავიდანვე გაურკვეველი იყო და ვისაც როგორ აწყობდა, იმ სტატუსით მოიხსენიებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს არქმშენინსპექციის უფროსს ნესტან თათარაშვილს. **"მას შემდეგ, რაც თბილისის ისტოროიული ნაწილზე მორატორიუმი გამოცხადდა, უამრავი ობიექტი შევისწავლე. აღმოჩნდა, რომ ბევრს სათანადო დოკუმენტაცია არ გააჩნია. გამონაკლისია აბანოთუბნის სასტუმრო, რომელიც უკვე ექსპლუატაციაშია მიღებული. რაც იმას ნიშნავს, რომ მე, როგორც სახელმწიფო მოხელეს, აღარანაირი ზომების მიღება არ შემიძლია. ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნული ვიყავი, როდესაც სულუხიამ დამიბარა და მკითხა, თუ საიდან უნდა დაგვეწყო საქმის შესწავლა. მე დავასახელე ივანიშვილის კომპლექსი. ამის შემდეგ დამირეკა ვანო მერაბიშვილმა და მკითხა, სხვა ობიექტი ვერ ნახე, ივანიშვილიდან რომ არ დაგეწყოო. მე კი მიმაჩნია, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. ჩემი პრინციპული მოთხოვნაა, როდესაც ვსაუბრობთ უკანონობაზე, ჯერ "დიდებით" დავიწყოთ და არა საცოდავი ხალხით, რომლებსაც სახლზე პატარა ლოჯი აქვთ მიშენებული, ან სალონი აქვთ ვარკეთილის მეტროსთან აშენებული. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ მომცენ სია, ვის ეხება კანონი და ვის არა. ნარიყალაზე მოგლეჯილია მთელი ფერდი. აქ იმ ფულიანი ადამიანის ამბიციაა ჩადებული, რომელმაც ბუნების დაცვის საზოგადოება შექმნა და ამ გზით დაიწყო მოქმედება. მათ არც ძეგლთა დაცვიდან აქვთ ნებართვა და ახლა ცდილობენ ყველანაირი დოკუმენტის მოპოვებას,"** - აცხადებს რესპუბლიკის არქმშენინსპექციის უფროსი ნესტან თათარაშვილი. მისივე თქმით, სოლოლაკის ხეივნის უკანა მხარეს დაგეგმილია ხელოვნური ტბისა და ლიფტების გაკეთება, რაზეც საბჭოს წევრები არ თანხმდებიან. მაშინ, როდესაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არქმშენინსპექციას საქმე სისხლის სამართალში უნდა გადაეცა, მათ კულტურის სამინისტროდან მოუვიდათ ბრძანება, რომელიც თბილისის ბოტანიკური ბაღის კაშხალთან ხელოვნური ტბის მოწყობის პროექტსა და სოლოლაკის ხეივნის დასაწყისში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის პროექტს დადებით დასკვნას აძლევდა.

**"აქამდე საუბარი იყო სასტუმროზე და ახლა ეს შენობა საცხოვრებელ კომპლექსადაა მოხსენიებული, რისი პროექტიც არავის უნახავს. აღსანიშნავია, რომ ქედის ნაწილი საბერძნეთის საელჩოს აქვს ნაყიდი. როგორც ივანაშვილის წარმომადგენლისაგან შევიტყვე, მათ მთლიანად ამ ფერდის შესყიდვა სურთ",** - აცხადებს თათარაშვილი.

ამა წლის 2 ნოემბრებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ გაუგებრობას ბოლო მოეღება. მინისტრი სოლოლაკის ხეივანში დაწყებულ მშენებლობას თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშად მიიჩნევს.

**"ვთვლი, რომ ეს პროექტი თბილისის იერსახეს არ ამახინჯებს, პირიქით იგი შეიძლება, თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშადაც კი მივიჩნიოთ. გადავწყვიტეთ შენობისთვის იურიდიული სტატუსი მიგვენიჭებინა, რადგან ვთვლი, რომ ეს საკითხი აღარ უნდა იყოს სადაო და ჰაერში გამოკიდებული. ჩემი ბრძანების საფუძველზე მშენებლობა ნორმალურ პარამეტრებში წარიმართება. გარშემო განსაზღვრას რაც შეეხება, ამ საკითხზეც ვმუშაობთ. ნებართვა სამ ეტაპადაა გასაცემი და მე მგონი მივალთ იმ კონდინციამდე, რომ ჩვენი მხრიდან ნებართვები გაცემული იქნება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ქველმოქმედებისთვის, რაც მან ქართული კულტურისთვის გააკეთა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას გოკა გაბაშვილმა.

ჩვენს კითხვაზე, ქველმოქმედებისთვის დაუკანონდა თუ არა ეს მშენებლობა ცნობილ ქართველ მეცენატს, მინისტრმა გვიპასუხა, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც რუსთაველის თეატრი და სახელმწიფო მუზეუმი შეაკეთა. ამას ემატება ისიც, რომ იგი რეზიდენციას ისეთ ადგილას იშენებს, რომელიც არც ქალაქის იერსახეს ამახინჯებს და არც ლანდშაფტური თვალსაზრისითაა გაუმართლებელი. აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა დაუკანონონ მშენებლობა ივანიშვილს, გაბაშვილს ვერ გაურკვევია.

არქმშენინსპექციის უფროსი ამ რამდენიმე თვის წინათ დაწყებული პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობასაც უკანონოდ მიიჩნევს. **"მას შემდეგ, რაც ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს ნათია თურნავას ავუხსენი, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია კანონდარღვევით შენდებოდა, მთხოვა პრობლემის მოსაგვარებლად ვადა მიგვეცა, თუმცა მიცემულ ვადაში საბუთები ვერ წარმოგვიდგინეს. ამის შემდეგაც სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით შეჩერება ვითხოვე. ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. განმიცხადეს, რომ ხელისუფლება თავად მოაგვარებდა პრობლემას. ჩვენი პრეზიდენტი ხომ ყოველდღე გვეუბნება, რომ კანონი არის უზენაესი და მეც ვიცავ კანონსო. გააკეთონ წითელი ხაზები, პროექტიც მოიტანონ და შეათანხმონ. რა გახდა ისეთი, რომ რვა თვე ვერ შეთანხმდა პროექტი. თავიდან ითქვა, რომ მხოლოდ რემონტი გაკეთდებოდა, ახლა აღმოჩნდა, რომ ავლაბარში მდებარე ყოფილი "გაი"-ს შენობა მთლიანად დასანგრევია. რა პროექტით უნდა აშენდეს ახალი რეზიდენცია და რა სახე ექნება, არავინ იცის. ეს გახდა, ალბათ, იმის მიზეზი, რომ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვატო ლეჟავა მეუბნება, შენი მოხსნის საკითხი დგასო,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას არქმშენინსპექციის უფროსმა ნესტან თათარაშვილმა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ნესტან თათარაშვილს მალე დაატოვებინებენ თანამდებობას. მისი შემცვლელი კანდიდატურაც შერჩეულია, სავარაუდოდ მის ადგილს სამშენებლო-საინჟინრო საკითხთა სამმართველოს უფროსი გიორგი ტალახაძე დაიკავებს. ეს ინფორმაცია ბატონმა გიორგიმ "24 საათთან" საუბრისასაც დაადასტურა. მისი განცხადებით, შემოთავაზება უკვე ჰქონდა და იგი ამ წინადადებაზე დათანხმებას აპირებს.

# ორი მწვერვალის თავზე

## აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა

თამარ ჭაჭანიძე

*"ადამიანს გარჯა და სიკეთე ამშვენებს. იგი იბადება, რომ თავისი კვალი დატოვოს ამ დედამიწაზე, თავისი ხელებით, თავისი ჭკუითა და სიყვარულით კიდევ უფრო გაალამაზოს, გააფაქიზოს და გაამდიდროს ცხოვრება. ზოგი მეტად ახერხებს ამას, ზოგი - ნაკლებად. გააჩნია. გიორგი შხვაცაბაია - ერთ დროს ლეგენდარული სპორტსმენი, დღეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მრავალი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიისა თუ გამოგონების ავტორი, თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე - სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც კეთილი კვალი დატოვა ჩვენში", - წერდა ცნობილი ჟურნალისტი ვლადიმერ მდივანი გიორგი შხვაცაბაიას დაბადების 80 წლისთავის გამო. 12 ნოემბერს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საზოგადოებამ გიორგი შხვაცაბაიას 100 წლისთავი აღნიშნა.*



აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, გიორგი შხვაცაბაიას ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი ბიუსტი მისი ფაკულტეტის შენობის წინ დაიდგა. ბიუსტის ავტორი მეცნიერის ვაჟიშვილი, მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი გიორგი შხვაცაბაია გახლავთ. სამეცნიერო საბჭოს იმავე დადგენილებით "მოსავლის აღებისა და მეცხოველეობის მექანიზაციის" კათედრას აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას სახელი ეწოდა, ხოლო მექანიზაციის ფაკულტეტზე დაწესებულია ბატონი გიორგის სახელობის სტიპენდია. ახლო მომავალში, განსაზღვრულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის ჩატარება.

კოლეგები, მეცნიერები, უბრალოდ, ნაცნობები მიიჩნევენ, რომ ეს ლოგიკური შედეგია იმ კვალისა, რომელიც ამ ადამიანმა თავისი მოღვაწეობით დატოვა. "არიან მკვლევარები, რომელთა წარმატებულ სამეცნიერო კარიერას განაპირობებს განსხვავებული აზროვნება, ინდივიდუალური ხედვა, მიზანდასახულობა და მტკიცე ხასიათი და ამ მეცნიერთა შორის აკადემიკოს გიორგი შხვაცაბაიას გამორჩეული ადგილი უჭირავს, - წერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი შოთა ჭალაგანიძე, - მრავალმხრივმა და ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, განსაკუთრებულმა პიროვნულმა თვისებებმა მას დამსახურებული ავტორიტეტი, პოპულარობა და პატივისცემა მოუპოვა მეცნიერთა ფართო წრეში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ."

ფართო იყო გიორგი შხვაცაბაიას მეცნიერული ინტერესების დიაპაზონი. იგი სამართლიანად ითვლება სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესის კომპლექსური მექანიზაციის ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების ცნობილ სპეციალისტად. საყოველთაო აღიარება და გამოყენება ჰპოვა მობილური ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგრეგატების კვლევის, გამოცდისა და კონტროლის მის მიერ დამუშავებულმა მეთოდებმა და ორიგინალურმა ხელსაწყო-მოწყობილობებმა. მიწათმოქმედების მექანიკაში გიორგი შხვაცაბაიას შრომელბა მნიშვნელოვნად წინ წასწია ყოფილ საბჭოთა კავშირში საგამომცდელო და გამზომ ხელსაწყოთა დამზადების, გამოცდების მეთოდიკის და ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარების საკითხები, ასევე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტექნიკისა და ტექნიკური საშუალებების საექსპლუატაციო და ენერგეტიკული მაჩვენებლების შესწავლა.

ბატონი გიორგი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოში წამყვან დარგს - მეჩაიეობას და ამ დარგში შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის საკითხებს. მან მრავალი სამეცნიერო შრომა, სტატია, პუბლიკაცია თუ სატელევიზიო და რადიოგამოსვლა მიუძღვნა ამ საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი მონდომება, ენთუზიაზმი საქართველოში მცირე მექანიზაციის განვითარებისათვის. მის მიერ გამოქვეყნებულ იქნა 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, შედგენილი და გამოცემული იყო პირველი ქართული სახელმძღვანელო "სასოფლო სამეურნეო მანქანები". ამ წიგნზე აღიზარდა მექანიზატორთა მთელი თაობები და დღესაც ამ წიგნით ხელმძღვანელობს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი გადამუშავებული და განახლებული გამოიცა სამჯერ. ამჟამად მზადაა მისი ახალი, გადამუშავებული გამოცემა.

ბატონი გიორგის შრომებით ფართოდ იყვნენ დაინტერესებული საზღვარგარეთ. მისი არაერთი ნაშრომი თუ სამეცნიერო სტატია ითარგმნა გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთში, ვიეტნამში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში. იგი რამდენიმეჯერ იყო მიწვეული სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ. საკუთარ ქვეყანაში კი იგი იყო არა მარტო ცნობილი მეცნიერი, არამედ სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, რომელიც უშუალობით, საგნის ღრმა ცოდნით, გადმოცემის მიმზიდველი მანერით, დონითა და სისადავით გამოირჩეოდა. მექანიზაციის ფაკულტეტზე იგი იყო ტექნიკის მეცნიერებათა პირველი დოქტორი, პროფესორი. მისი თაოსნობით მრავალჯერ წაუკითხავს ფაკულტეტზე საჯარო ლექციები აკადემიკოს ვ. ჟელიგოვსკის და სხვა ცნობილ მეცნიერებს. ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით დაცული იქნა 80-ზე მეტი დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დღეს ბატონი გიორგის მოწაფეები წარმატებით შრომობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

გიორგი შხვაცაბაიას ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებდა სპორტი. მასთან მიმართებაში ხმაურიანად არ ჟღერს სიტყვები - "ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული მრავალმხრივი სპორტსმენი". იგი სწორედ ასეთი გახლდათ. იყო კარგი ტანმოვარჯიშე (ავარჯიშებდა ჩეხი მასწავლებელი), ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდის "ტრიუმფის" კაპიტანი 1927-1928 წლებში, თამაშობდა ჯერ თბილისის "დურჯში" და შემდეგ თბილისის "დინამოში", მეგობრობდა ანდრო ჟორდანიასთან. იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩემპიონი 60, 100 და 200 მეტრზე სირბილში. 1928 წელს გიორგი შხვაცაბაია გახდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, ხოლო 1929 წელს დაამყარა სსრ კავშირის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში და გახდა პირველი ქართველი ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი იყო საკავშირო შეიარაღებული ძალების ნაკრების წევრი კალათბურთში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მშთ-ს საბჭოს თავმჯდომარე, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ერთგვარი ხარკი სპორტს გიორგი შხვაცაბაიას ვაჟებმაც გადაუხადეს - უმცროსი ვაჟი, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ზურაბ შხვაცაბაია კარგა ხანს თამაშობდა თბილისის "დინამოს" და "ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში, ხოლო უფროსმა ვაჟმა, ცნობილმა მოქანდაკემ, სახალხო მხატვარმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ გიორგი შხვაცაბაიამ მრავალი ნამუშევარი მიუძღვნა სპორტს. 1992 წლის ზაფხულში ბარსელონას 25-ე ოლიმპიური თამაშების წინ, ანტიკური და თანამედროვე სპორტის ადგილის დედაქალაქში - ოლიმპიაში დადგა შესანიშნავი ქანდაკება, რომელსაც "მშვიდობის ჩირაღდანი" ჰქვია.

ყველა იმ დამსახურებისა და ღირსებების გამო, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ბატონ გიორგი შხვაცაბაიას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებითა და ნიშნებით. ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის სამშობლოს სიყვარული იყო. უზომოდ გახლდათ შეყვარებული თავის ქვეყანაზე და ძალზე მტკივნეულად განიცდიდა აფხაზეთის ავბედით მოვლენებს. სწორედ იმ საღამოს, როცა აფხაზეთში არეულობა დაიწყო, ბატონი გიორგი ცუდად გახდა. ამის შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია. გიორგი შხვაცაბაია იყო უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი, უანგარო და თავმდაბალი ადამიანი, ცოცხალი სინთეზი, ფიზიკური და ინტელექტუალური სრულყოფილებისა, რჩეულებისთვის ეს ორივე მწვერვალი ერთნაირად მისაწვდომი ყოფილა.

# ვის სასარგებლოდ იძლევიან ჩვენებებს მოწმეები?

*საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად კი განსასჯელის სკამზე მჯდომი დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ მიწვეულმა მოწმეებმა, მირცხულავას ადვოკატის აზრით, განსასჯელის სასარგებლო ჩვენება მისცეს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*მირცხულავას დაცვის მხარე და თავად განსასჯელიც ირწმუნებიან, რომ ჯერჯერობით სასამართლოს წინაშე გამოსულ მოწმეთა ჩვენებები სწორედ ბრალდების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.*

დავით მირცხულავას ბრალდების საქმის არსებითი სასამართლო განხილვის დაწყებიდან დღემდე ბრალდების მხარემ, ფაქტობრივად, ვერ შეძლო სასამართლოსთვის წარედგინა ვერც ერთი ისეთი მოწმე, რომელიც განსასჯელისთვის წარდგენილ ბრალდებას დაადასტურებდა. მეტიც, მირცხულავას დაცვის მხარე და თავად განსასჯელიც ირწმუნებიან, რომ ჯერჯერობით სასამართლოს წინაშე გამოსულ მოწმეთა ჩვენებები სწორედ ბრალდების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

როგორც ცნობილია, დავით მირცულავას სომხეთის ენერგოკომპანიებთან "არმენენერგოსა" და "მაშკორპორაციასთან" ანგარიშსწორებისას რამდენიმე მილიონი დოლარის მითვისება ბრალდება. გამოძიების ვერსიით, ამ თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვა და შესაბამისად, დაზარალდა. გუშინ სასამართლო პროცესზე რამდენიმე მოწმე დაიკითხა, რომელთაგან ერთის - შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორის მოადგილის მაისურაძის თქმით, სომხეთის დავალიანება სრულად არის გადახდილი.

მირცხულავას ადვოკატის ეკა ბესელიას თქმით: **"ბრალდების მიერ სასამართლოზე მოყვანილ მოწმეთა ჩვენებები, უმეტეს შემთხვევაში, ან არაფრის მთქმელია და უბრალოდ იმისთვის გვიწევს მათი მოსმენა, რომ პროკურატურამ მოწმეთა არსებობა დაამტკიცოს, ან კი ისინი ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს. სწორედ ასეთი გახლდათ მაისურაძის ჩვენება. მან სწორედ ის თქვა, რასაც ჩვენ ამდენი ხნის მანძილზე ვამტკიცებთ. კერძოდ, რომ სომხეთისთვის ვალის გადახდისას სახელმწიფო არ დაზარალებულა"**.

საქმე ის გახლავთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორის მოადგილის ჩვენების თანახმად, ვალების გადაბარების აპრობირებული ხერხის გამოყენებით, სომხეთის ვალის გადახდა შპს "საქართველოს რკინიგზას" დაეკისრა. ამასთან, ენერგეტიკის საბითუმო ბაზრიდან მიღებული ინფორმაციით, მათ შეიტყვეს, რომ "არმენენერგომ" ვალის ამოღების უფლება "მაშკორპორაციას" გადასცა. შესაბამისად, შპს "საქართველოს რკინიგზას" ენერგეტიკის საბითუმო ბაზრისგან ვალის "მაშკორპორაციისთვის" გადახდა დაეკისრა და შეასრულა კიდეც - ვალი ნელნელა, გადაზიდვების საშუალებით აანაზღაურეს და თითოეული განხორციელებული ოპერაციის შესახებ საქმის კურსში აყენებდნენ იმავე საბითუმო ბაზარს.

**"საბითუმო ბაზარს ვაცნობეთ, როდესაც ვალი სრულად იქნა გადახდილი"**, - აღნიშნა სასამართლოს წინაშე გამოსულმა მოწმემ.

თავის მხრივ, სახელმწიფო ბრალმდებელი ირწმუნება, რომ მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები სწორედ იმ ინფორმაციას შეიცავს, რომელიც მირცხულავას ბრალეულობას ადასტურებს.

როგორ გაიგებს ამ ჩვენებებს სასამართლო, მომავალი გვიჩვენებს, პროცესი კი 19 ნოემბრამდე გადაიდო. მომავალ სასამართლო პროცესზე სომხური მხარის წარმომადგენელთა დაკითხვაა დაგეგმილი.

*24 საათი*

# ემზარ კვიციანი მოსკოვში გატაცებულ მანქანას მართავდა

"ჯენერალ მოტორსის" ფირმის ჯიპი, რომელიც ერთი წლის წინ მოსკოველ ბიზნესმენს, კომპანია "გზაჯვარედინის" გენერალურ დირექტორს ოლეგ თემიროვს მოსკოვში წაართვეს, საქართველოს შსს-ს სამძებრო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოთხი დღის წინ თბილისში აღმოაჩინეს. სამძებრო დეპარტამენტის უფროსის გია კაჭარავას განცხადებით, მოსკოვში გატაცებულ ძვირადღირებულ ჯავშნიან ჯიპს, რომლის მსგავსი პრესტიჟული მანქანებითაც ამერიკის პრეზიდენტის დაცვის წევრები მოძრაობენ, თბილისში კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი მართავდა. მანქანის იდენტიფიკაციის ჩატარების შემდეგ დადასტურდა, რომ ის ერთი წლის წინ მოსკოვში მომხდარი ყაჩაღობისას გატაცებული მანქანაა. გია კაჭარავას ინფორმაციით, კვიციანს ახსნა-განმარტება უკვე ჩამოერთვა. კვიციანის განცხადებით, მან საკუთარი მანქანა გვარდიის ოფიცერს ჩამორთმეულ მანქანაში გაუცვალა, ისე, რომ არც იცოდა, თუ ის მოპარული იყო. იგივეს აცხადებს კვიციანის მიერ დასახელებული გვარდიის ოფიცერი. მისი ახსნა-განმარტებით, თავისი მანქანა კოლეგას "ჯენერალ მოტორსის" ფირმის ჯიპში გაუცვალა. დაკითხა დასახელებული პირი და მანაც იგივე შინაარსის ახსნა-განმარტება ჩააბარა სამართალდამცველებს. გია კაჭარავას თქმით, მოკვლევა გრძელდება და დადგინდება თუ როგორ მოხვდა მოსკოვში გატაცებული უცხოური წარმოების პრესტიჟული მანქანა საქართველოში. მისივე ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ მანქანა ერთი სანათესაოს - კვიციანების ხელში ტრიალებდა.

*24 საათი*

# "წამების აღკვეთა არც ისე ადვილად შესასრულებელი გამოდგა"

ასეთი განცხადება გააკეთა წამების წინააღმდეგ გამართულ სემინარზე საქართველოს ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა. სახალხო დამცველმა აღიარა, რომ მისი დაპირება, აღეკვეთა დაკავებულთა წამების ფაქტები, არც ისე ადვილად შესასრულებელი გამოდგა, რადგან, თურმე, იმ პროფესიონალი ადამიანების გამონახვა გაჭირდა, რომლებიც წინასწარი დაკავების საკნებში მონიტორინგს განახორციელებდნენ და დაკავებულთა წამების ფაქტებს გააკონტროლებდნენ. სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ სერიოზული პრობლემაა ფინანსების უქონლობაც.

**"ჯერჯერობით, სახალხო დამცველის აპარატს არ აქვს ამის სახსრები, მაგრამ ვეძებთ გზებს და დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა მალე მოგვარდება. საგულისხმოა ისიც, რომ გენერალური პროკურატურისა და შსს-ს ხელმძღვანელები თავად გამოდიან ინიციატივით, რათა წინასწარი დაკავების მონიტორინგი განხორციელდეს, რაც დაკავებულთა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებს შეამცირებს,"** - განაცხადა სახალხო დამცველმა თბილისში გამართულ პირველ საერთაშორისო ტრენინგ-სემინარზე. სემინარი - "სტამბოლის პროტოკოლი" გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა და წამების ფაქტების გამოძიებას მიეძღვნა.

სემინარში ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობენ, როგორიცაა დანიიდან "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო", აშშ-დან "ექიმები ადამიანის უფლებებისთვის" და თურქეთიდან "ადამიანის უფლებათა ფონდი".

"სტამბოლის პროტოკოლში" აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები - წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია", "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "საქართველოს ექიმთა ასოციაცია".

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ დაკავებულთა წამების მხრივ საქართველოში ძალიან მძიმე ვითარებაა და ეს საგანგაშო ფაქტი დაფიქსირებულია ყველა საერთაშორისო დოკუმენტში, რომელიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ეხება. ტრენინგში მონაწილეობს 75 ექსპერტი, 50 ექიმი და 25 იურისტი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

სემინარი 15 ნოემბერს დაიხურება და გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი.

*მედია-ნიუსი*

# ამერიკელი ადვოკატი ქართული სამართალწარმოებით გაკვირვებულია

*პროცესი, რომელიც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში უნდა ჩატარებულიყო და რომელზეც ამერიკელი ადვოკატის მაიკლ ფულარას სარჩელის საპასუხოდ გადაწყვეტილება უნდა გამოეტანათ, გუშინ გადაიდო. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, დაევალებოდა თუ არა გენერალურ პროკურატურას თორმეტი წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიება.*

საუბარია, 1993 წლის 8 აგვისტოს, ნატახტარი-თბილისის ავტომაგისტრალზე მომხდარ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის ფრედ ვუდროფის მკვლელობაზე, რომლის საქმის ხელახალ გამოძიებასაც ახლადაღმოჩენილი გარემოებების მოტივით მაიკლ ფულარა ითხოვს. პროცესის გადადების მიზეზი დავით მირცხულავას საქმის განხილვა გახდა, - რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ, ასეთი პასუხი მიიღო ამერიკელმა ადვოკატმა. მართალია, მაიკლ ფულარა სასამართლოში მომხდარმა გუშინდელმა ფაქტმა ძალზე გააკვირვა, მაგრამ ის მაინც დიდი იმედით ელის მომავალ კვირას გადადებულ პროცესს და სჯერა, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული ანზორ შარმაიძე, რომელიც მისი აზრით, უდანაშაულოა, ბოლოს და ბოლოს დაემშვიდობება საპყრობილეს. **"ფრედ ვუდროფის ოჯახსა და მეც მოგვეცა იმპულსი, საქართველოში ჩამოვსულიყავი და ეს ნაბიჯი გადამედგა, მეთქვა - ეს კაცი უდანაშაულოა და გაათავისუფლეთ. თუ საქართველოს უნდა, რომ აყვავებული ქვეყანა იყოს, მაშინ ყველამ უნდა დაინახოს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც იმართება კანონით,"** - აცხადებს მაიკლ ფულარა.

განსხვავებული აზრისაა ანზორ შარმაიძე. **"ეს ათი წელი უმძიმეს პირობებში გავატარე, შვიდი წელი "კრიტში" მამყოფეს. რამდენჯერმე კატეგორიულად გამაფრთხილეს, დამემუქრნენ, რომ ამ საქმის ქექვისთვის თავი დამენებებინა, მე დასაკარგი აღარაფერი მაქვს, 10 წელი ციხეში გავატარე და დარჩენილ 6 წელსაც მოვიხდი, მაგრამ რატომ უნდა ვატარებდე მკვლელის სტატუსს. თუმცა, თერთმეტწლიანი ბატალიებით დავიღალე, მოდიოდნენ ჩემს სანახავად ვილაცები მაშინ, როცა სიტუაციის შესაბამისად საჭირო ვიყავი, როგორც ამერიკელის მკვლელობისთვის გასამართლებული პირი. ამ წლების მანძილზე ზუსტად გავიგე, რომ ჩემგან დამოუკიდებლად, ბედისწერის გამო, უსერიოზულესი პოლიტიკური სიტუაციის ცენტრში აღმოვჩნდი, ამ სიტუაციას არავინ არასდროს გაშიფრავს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ანზორ შარმაიძემ.

**"ერთდროულად ორი ტრაგედია მოხდა: ფრედის მკვლელობა და უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება,"** - ეს სიტყვები ფრედ ვუდროფის დას, ჯორჯია ვუდროფ-ალექსანდერს ეკუთვნის. იგი ჩვენ თავად დაგვიკავშირდა და "24 საათში" გამოქვეყნებული სქელტანიანი ჟურნალისტური გამოძიების, სახელწოდებით "ვუდროფის საქმე", ინგლისური თარგმანის გაგზავნა გვთხოვა.

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო მაიკლ ფულარას სარჩელს, რომლითაც ის ვუდროფის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გენერალური პროკურატურის მიერ გაცემულ უარს ასაჩივრებს, 18 ნოემბერს განიხილავს.

*24 საათი*

# სატელეფონო ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

უშიშროების სამინისტროს მიერ ცრუ ანონიმური შეტყობინების გავრცელების ბრალდებით დაკავებული სამხატვრო აკადემიის სტუდენტი კახა ხუხუნაიშვილი უზენაესი სასამართლოს ბრძანებით, წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ხუხუნაიშვილს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობით შეეცვალა. პროცესის მიმდინარეობისას უზენაესი სასამართლოს შენობასთან პოლიტიკური გაერთიანება "მრგვალი მაგიდის" მხარდამჭერების საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ხუხუნაიშვილი მისი პოლიტიკური შეხედულების გამო იდევნებოდა, რადგან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში აქტიურად იჩენდა თავს. ხუხუნაიშვილი 5 ნოემბერს დააკავეს. კანონის თანახმად, ცრუ ანონიმური შეტყობინების ბრალდება ჯარიმის გადახდიდან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*ინტერ-პრესი*

### მოკლედ

## ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ნარკომანიაზე დააკავეს

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკების მოხმარებისთვის მათივე თანამშრომელი, სამხარეო პოლიციის პირველი განყოფილების ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის მაიორი არჩილ ონიაშვილი დააკავეს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, დაკავებისას ონიაშვილი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამასთან, მას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა არატაბელური "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი. როგორც სამხარეო პოლიციის უფროსი აღნიშნავს, სამხარეო პოლიციაში ნარკოტიკების მომხმარებელი თანამშრომლის დაკავების ეს უკვე მესამე შემთხვევაა. **პრაიმ-ნიუსი**

## ევროკავშირის ექსპერტები საქართველოს პოლიციაში მიმდინარე რეფორმებს გაეცნობიან

კანონის უზენაესობის სფეროში ევროკავშირის ექსპერტები საქართველოს შსს-ს პოლიციის აკადემიაში პოლიციაში მიმდინარე რეფორმებს გაეცნობიან. ევროკომისიის ცხრა ექსპერტმა გუშინ მოისმინა აკადემიის რექტორის ლევან იზორიას მოხსენება სამართალდამცველ უწყებებში მიმდინარე რეფორმის შესახებ. როგორც ცნობილია, სამართლებრივ სფეროში რეფორმის განხორციელება საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის დროიდან დაიწყო. ლევან იზორიამ ექსპერტებს რეფორმის განხორციელებამდე და შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ მოხსენება წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

13 ნოემბერი, შაბათი, 2004 წელი. №270 24 საათი



# გუშინ, დღეს, ხვალ

## რა გვიჩვენა დევნილი მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების შემოწმებამ

ადრე ჩვენ ვაუწყეთ საზოგადოებას, რომ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი გამოამზეურებდა ყველა იმ დარღვევასა თუ ნაკლოვანებას, რასაც ადგილი ექნებოდა ენერგეტიკის დარგის სხვადასხვა სექტორში.

დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, ელექტროენერგეტიკის ობიექტებზე ჩატარებულმა შემოწმებებმა, არაერთი სერიოზული დარღვევა თუ უკანონო ქმედება გამოავლინა.

დღეს, იმ მასალებს გაგაცნობთ, რომლებიც ლტოლვილთა ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში არსებულ ქაოსს და განუკითხაობას ეხება.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა, მიმდინარე წლის 28 ივნისიდან დღემდე, შეამოწმა ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული 99 ობიექტი, რომლებშიც ორგანიზებულადაა ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა.

ის შენობა-ნაგებობები, სადაც ამჟამად დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს, გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დანიშნულებისათვის, ზოგიერთ მათგანს დღესაც შენარჩუნებული აქვს ფუნქცია. მათი ელ.მომარაგების იმედიანობა, ძირითადად, არადამაკმაყოფილებელია.

ობიექტების ელ.მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების შედეგად, გამოვლინდა "ელ.დანადგართა მოწყობის", "ტექნიკური ექსპლუატაციის", "ელექტროენერგიის მოხმარების" და "უსაფრთხოების ტექნიკის" წესების უხეში დარღვევები. კერძოდ, სარდაფებში განთავსებულ გამანაწილებელ კარადებს კარი არ აქვთ, ან ღია მდგომარეობაშია და ამიტომ ხდება თვითნებური მიერთებები.

ობიექტების ელ.მომარაგებისათვის აუცილებელი კაბელების დამონტაჟება, ხშირად, ტექნიკური დარღვევებით სრულდება - ჰაერში დაჭიმული სადენები ხეებს ედება და ზიანდება იზოლაცია.

გამანაწილებელი კარადებიდან გამომავალ კაბელებსა და დენმკვეთებს არ აქვთ მარკირება.

უმეტეს შემთხვევაში დაფები ხისაა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ავტომატებსა და გამთიშველებს არ გააჩნიათ ხუფები და თითქმის ყველა მათგანი ავარიულ მდგომარეობაშია. გამოყენებულია კუსტარული მცველები.

სართულებზე არსებული ელ. გაყვანილობა მეტწილად ამორტიზებულია და მოქმედი წესების დარღვევითაა შესრულებული. კერძოდ, საცხოვრებელი ოთახების სადენების მიერთება შესრულებულია ავტომატების გვერდის ავლით და გაშიშვლებულია.

ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევები, ხანძრისა და უბედური შემთხვევების გამომწვევი შეიძლება გახდეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული ობიექტების უმრავლესობას, ელ.ენერგიით მომმარაგებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული არ აქვთ სათანადო ხელშეკრულება, არ ჰყავთ დანიშნული ელ.მეურნეობის ნორმალურ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი, რის გამოც მასობრივი ხასიათი აქვს ელ.ენერგიის დატაცების ფაქტებს, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების მხრიდან და მათ შორის დევნილი მოსახლეობაცაა, რომლებიც ხშირად ამ დატაცების ხელშემწყობნიც არიან.

დევნილი მოსახლეობის მრიცხველში აღრიცხულ ელ.ენერგიას, არა მარტო დევნილების შენობებსა და მის ტერიტორიაზე განთავსებული (სასტუმროს ნომრები, ადმინისტრაცია, ოფისები) მომხმარებელი მოიხმარს, არამედ, ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული მომხმარებელი (ავტოტექმომსახურება, ჯიხურები, მაღაზიები, საცხოვრებელი კორპუსები). ამ შემთხვევაში, ჩვენ, კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ არსებული მონაცემების ანალიზით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გარე ობიექტების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობა დაახლოებით 1 850 366 კვტ.სთ-ს შეადგენს, რაც თანხით 225 374 ლარია და ზედმეტადაა დარიცხული დევნილ მოსახლეობაზე.

განსაკუთრებული განხილვის საგანს წარმოადგენს მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობის აღრიცხვის მდგომარეობა და თანხის დარიცხვის შესაბამისობა. ქ. თბილისის ტერიტორიაზე, ეს ფუნქცია განეკუთვნება სს "თელასის" კომპეტენციას, რომლის მიერ ქალაქის მასშტაბით ჩატარდა გამრიცხველიანობის სამუშაოები.

მასობრივი ხასიათი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი დაწესებულების ან შენობის ტერიტორიაზე განთავსებულ სხვადასხვა სახის მომხმარებლის (იურიდიული პირის, ფიზიკური პირის, დევნილი მოსახლეობის) მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობა აღირიცხებოდა ერთი მრიცხველით და შესაბამისად, სს "თელასი" განიხილავდა ერთ აბონენტად. მოგვიანებით ჩატარდა აბონენტების განმხოლოების სამუშაოები, მაგრამ სს "თელასის" მიერ არ მომხდარა განმხოლოებამდე ობიექტზე რიცხული დავალიანების თანხის გადაანგარიშება და კორექტირება აბონენტებს შორის. დავალიანების თანხა კვლავ საერთოა და შეუძლებელია იმის დადგენა, რეალურად რა თანხის დავალიანება გააჩნია თითოეულ აბონენტს, მათ შორის ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას.

საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მრიცხველის ჩვენებიდან გაანგარიშებული მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობისა და შესაბამისი თანხის დარიცხვის გარდა, ობიექტს ელ.ენერგიის რაოდენობა (შესაბამისი თანხით) დარიცხული აქვს ერთი ან რამდენიმე აქტით. მაგ: სასტუმრო "კავკასიას" - 14.11.2003 - 28.06.2004 პერიოდში რამდენიმე აქტით დაერიცხა 558521 კვტ.სთ, თანხით 74038 ლარი. თსუ-ს საერთო საცხოვრებელს - 01.10.2003 - 12.07.2004 პერიოდში სს "თელასის" მიერ ასევე, რამდენიმე აქტით დარიცხული აქვს 868378 კვტ.სთ, თანხით 109991 ლარი. აქტების შექმნის საფუძველი ჩვენთვის უცნობია, რადგან სს "თელასმა", ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, არ წარმოგვიდგინა აქტები და ამ აქტების საფუძველზე განხორციელებული დასარიცხი ელ.ენერგიის რაოდენობის გაანგარიშებები, შესაბამისად, ვერ მოვახდინეთ სათანადო ანალიზი.

ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც მრიცხველის ჩვენებიდან აღებული მონაცემების მიხედვით, დარიცხვის პარალელურად, სს "თელასი", ობიექტს მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობას და თანხას არიცხავს "პირობითი გაანგარიშების" საფუძველზე ანუ, მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობის დარიცხვა წარმოებს არა მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით, არამედ "პირობითად" და აქტების საფუძველზე, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია და ეწინააღმდეგება ელ.ენერგიის მოხმარების დროებით წესებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ზოგიერთ იმ ობიექტზე, სადაც ორგანიზებულადაა ჩასახლებული დევნილი მოსახლეობა, მრიცხველი საერთოდ არ დამონტაჟებულა და წლების განმავლობაში მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობისა და შესაბამისი თანხის დარიცხვა წარმოებს დადგმული სიმძლავრის მიხედვით. მაგ: სამშენებლო სამხატვრო სასწავლებელი, 109-ე ბაგა-ბაღი.

ლ. თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში მრიცხველი მოპარულია 2002 წლის მაისის თვეში. 25.11.2002-ში ხდება 2000, 2001 წლის დარიცხვის კორექტირება. სულ დამატებით დარიცხულია 97512 კვტ.სთ, თანხით 22893 ლარი. გაურკვეველია, სს "თელასი" რა პრინციპით ახდენს დარიცხვის კორექტირებას.

ობიექტებზე მოხმარებული ელ.ენერგიის აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის სერიოზულ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სს "თელასის" მიერ თვეების და წლების განმავლობაში არ ხდება მოპარული ან დაზიანებული მრიცხველების შეცვლა. თუმცა "ელ.ენერგიის მოხმარების დროებითი წესების" 2.5.6 და 2.5.14 პუნქტების თანახმად ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეა აღნიშნული ხელსაწყოები, ევალება მისი მოვლა-პატრონობა და აღრიცხვის სისტემების აღდგენა.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სს "თელასის" მიერ გამოვლენილია დარღვევა, მაგრამ მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები არაა გატარებული. კერძოდ: უშიშროების აკადემიაში სს "თელასმა" 16.07.2004 წ. ჩაატარა აღრიცხვის წრედის ლაბორატორიული გაზომვა, რაზეც შედგა აქტი N 014319, რომლის თანახმად დადგინდა, რომ დენის ტრანსფორმატორი, რომლის კოეფიციენტსაც ანგარიშობდნენ 80-ს, აღმოჩნდა 60-ის ტოლი. მიუხედავად აღნიშნულისა, სს "თელასს" არ მოუხდენია 22.01.2004-დან დარიცხული ელ,ენერგიის რაოდენობისა და ღირებულების კორექტირება, რასაც ავალდებულებს "ელ.ენერგიის მოხმარების დროებითი წესების" 4.3.6 პუნქტი და რაც ჩვენი ანგარიშით შეადგენს 183066 კვტ.სთ-ს, თანხით 22297 ლარს.

"ელ.ენერგიის ტარიფების შესახებ" სემეკ-ის 2003 წლის 15 აგვისტოს N14 დადგენილებით, 2003 წლის 1 სექტემბრიდან 2004 წლის 1 ნოემბრამდე 220-380ვ ძაბვაზე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ტარიფი ქ. თბილისში სს "თელასის" აბონენტთათვის განისაზღვრა 1 კვტ.სთ - 12.18 თეთრი. ობიექტების ბრუნვის ისტორიის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობასთან მიმართებაში, ხშირ შემთხვევაში, ეს ნორმა დარღვეულია და გამოყენებულია ტარიფი 13.7 თეთრი 1 კვტ.სთ-ზე, რითაც პრაქტიკულად უგულებელყოფილია სემეკ-ის 2003 წლის 11 თებერვლის N1 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა მომხდარიყო მოსახლეობისათვის მიწოდებული ელ.ენერგიის საფასურის გადაანგარიშება. აღნიშნულიდან გამომდინარე 2002 წლის 15 ოქტომბრიდან 2004 წლის ივლისამდე, ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას სს "თელასმა" ზედმეტად დაარიცხა დაახლოებით 2696813 კვტ.სთ, თანხით 328471 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების და დარღვევების შედეგად, დღემდე, მუდმივად იზრდება ორგანიზებულად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის დავალიანება სს "თელასის" მიმართ და მიმდინარე წლის ივლისისათვის შეადგენს რამდენიმე მილიონ ლარს, რომლის წარმოქმნას ხელი შეუწყო დაინტერესებული პირების არაკომპეტენტურობამ, დაუდევრობამ და უკონტროლობამ. გამორიცხული არ არის ადგილი ჰქონდეს შეგნებულ დანაშაულებრივ ქმედებებს უფლებამოსილი პირების, ორგანიზაციების და სტრუქტურების მხრიდან. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 26 ნოემბრის N481 ბრძანებულების შესაბამისად, ლტოლვილთა კომპაქტური დასახლების ადგილებში ელ.ენერგიის ხარჯვის მდგომარეობის შესწავლისა და მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის ანაზღაურებაში წარმოქმნილ დავალიანებათა სისწორის დადგენის მიზნით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს შესაბამის ენერგოკომპანიებთან ერთად, უნდა განეხორციელებინა სისტემური კონტროლი, რაც პრაქტიკულად, არ განხორციელებულა.

ორგანიზებულ სექტორში ჩასახლებული დევნილების მიერ, ყოველდღიურად, როგორც დაცული მუხლი, მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 26 ნოემბრის N481 ბრძანებულების თანახმად), ენერგოკომპანიების ანგარიშზე ქ. თბილისში ჩასახლებულ დევნილთათვის ზამთრის პერიოდში (6 თვე), ერთ სულზე თვეში ირიცხება 14 ლარი და ზაფხულის პერიოდში (6 თვე) - 10 ლარი. 2003-2004 წლის ზამთრის სეზონის განმავლობაში, დევნილი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულება საშუალოდ 3-4 ჯერ, ხოლო მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონის განმავლობაში, 2-3 ჯერ აჭარბებს ბიუჯეტიდან გამოყოფილი კომპენსაციის თანხებს, რაც, ძირითადად, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებითაა გამოწვეული. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე ობიექტი, რომლებშიც გამართულად მუშაობს მრიცხველი და ადგილი არ აქვს ელ.ენერგიის დატაცების ფაქტებს. აქედან გამომდინარე, დევნილი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის კომპენსაციის თანხები, ზუსტი აღრიცხვიანობის პირობებში, მათი ელექტროენერგიით უპრობლემო უზრუნველყოფისათვის და შესაბამისად, მისი საფასურის დაფარვისათვის საკმარისია.

მიგვაჩნია, რომ საკითხი აქტუალურია, რაც დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოითხოვს დროულ რეაგირებას და სათანადო ღონისძიებების გატარებას, რის შედეგადაც არ გამოირიცხება სს "თელასის" და სხვა ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანებების საგრძნობი შემცირება, რაც საბოლოო ჯამში, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ, მხოლოდ გასული თვის ბოლოს დართო ნება თავის რეგიონალურ სამმართველოებს, ჩვენთვის მოეწოდებინათ აუცილებელი ინფორმაცია, რის გამოც გაჭიანურდა რეგიონებში ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის ელ.მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, ამ მასალების მიღების შემდეგ, ანალიზის დასრულებისთანავე, შედეგებს მივაწვდით მკითხველს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ შემაფერხებელი გარემოების შესახებ, რომელიც დღემდე გარკვეული არ არის, კერძოდ, არის თუ არა დარგში არსებული სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მქონე.

ამ საკითხის მოგვარების გაჭიანურება, სამწუხაროდ, ხელს უშლის დეპარტამენტს საბოლოო შედეგების მიღწევაში.

დღეს ენერგეტიკის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, ისეთები როგორებიცაა: ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის, უსაფრთხოების ტექნიკის, 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების დაცვის, ენერგეტიკული წარმოების საწარმოების და დაწესებულებების პერსონალთან მუშაობის ორგანიზაციის წესები, ენერგოსისტემაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევის აღრიცხვისა და სხვა ინსტრუქციები და დებულებები, არ არის შემუშავებული არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მათი მოქმედების იურიდიული საფუძველი სადავო საკითხს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ელექტროენერგეტიკაში ნორმატიული აქტის სტატუსი გააჩნია მხოლოდ "ელექტროენერგიის მოხმარების დროებით წესებს". აღნიშნულის გამო, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა, თხოვნით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, განემარტა, განეკუთვნებიან თუ არა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მიღებული სამართლებრივი აქტები ნორმატიულ აქტებს და განხორციელებულია თუ არა მათი რეგისტრაცია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. ასევე ვრცელდება თუ არა ენერგეტიკის სფეროში მოქმედ "სამართლებრივ აქტებზე" საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელთა, 1998 წლის 27 აპრილის N95 ბრძანება, "საქართველოს ტერიტორიაზე 1992 წლამდე შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში მოქმედი ნორმატიული აქტების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ".

ასეთი გაურკვევლობის გამო, დღემდე ვერ გადაწყდა მცხეთის რაიონის სოფ. ნატახტართან 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ არსებული შ.პ.ს. "ა.გ.დ."-ს ავტოგასამართი სადგურის შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი.

ჯერ კიდევ 1999 წელს, სს "საქრუსენერგომ", მიმართა ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის, აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რაიონის იმჟამინდელ ხელმძღვანელებს, სოფ. ნატახტართან 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის სასწრაფოდ შეჩერების და აკრძალვის თაობაზე, თუმცა, მცხეთის რაიონის გამგებლის მიერ სადგურის მშენებლობაზე ნებართვა გაიცა. მშენებარე ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულებას იღებდა, საკუთარი ხარჯებით მოეწყო სპეციალური დამცავი ეკრანი. ამჟამად კვლავ დაისვა საკითხი, თუ რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე იქნა ნებართვა გაცემული მშენებლობის გაგრძელებაზე და ვის კომპეტენციაში შედიოდა შ.პ.ს. "ა.გ.დ."-ს ექსპლუატაციის შეჩერება. დღესდღეობით ავტოსადგურის შემდგომი ფუნქციონირებისათვის ძაბვის მიწოდების თაობაზე გადაწყვეტილება არ არსებობს. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, მთავარი საკითხი მაინც ის არის, რომ 500 კვ-იანი ე.გ.ხ.-ის ქვეშ შენობებისა და მოწყობილობის განლაგებაზე რაიმე დაშვების ან გამონაკლისის არსებობა (მათ შორის დამცავი ეკრანის მოწყობა) ენერგეტიკის სფეროში დღეს სარგებლობაში გამოყენებული წესებით გათვალისწინებული არ არის. ამიტომ უნდა გაირკვეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, "1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების დაცვის წესები" და "ელ.დანადგარების მოწყობის წესები", ითვლება თუ არა ნორმატიულ აქტებად და საერთოდ, ენერგეტიკის დარგში საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი წესები და ინსტრუქციები განეკუთვნებიან თუ არა ამჟამად ნორმატიულ აქტებს და განხორციელებულია თუ არა მათი რეგისტრაცია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ნორმატიულ აქტებად ცნობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, სს "საქრუსენერგოს". საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი განხილვის შემდეგ, მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება ავტოგასამართი სადგურის ელ.დანადგარებზე ძაბვის მიწოდების მიზანშეწონილობის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაისმება საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე მისი ამ დანიშნულებით ფუნქციონირების თაობაზე.

## შემოწმება მცხეთის რაიონში

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, დედაქალაქის გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რაიონებში მომხმარებლების ელ.მომარაგების და მათ მიერ ელ.ენერგიის აღრიცხვის, საფასურის დარიცხვისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის მდგომარეობას. ოქტომბრის თვეში, დეპარტამენტის მიერ, შესწავლილ იქნა სს "საქართველოს ელექტროკავშირის", მცხეთის რაიონის სოფ. აღდგომიანთკარში მდებარე ფილიალის "მაგისტრალური ხაზების" N525 ობიექტის მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ სს "საქართველოს ელექტროკავშირის" N525 ობიექტი საბიუჯეტო ორგანიზაციას წარმოადგენს და ელ.ენერგიის საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებელია 2004 წლის ივლისიდან. მის მკვებავ ქსელზე მიერთებულნი არიან ელ.ენერგიის მომხმარებლები შ.პ.ს. "მშენებელი 97", შ.პ.ს. "ნუგო", და "საქაგროპროექტი".

დეპარტამენტის სპეციალისტთა მიერ აღნიშნული ობიექტების ელ.მეურნეობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2003 წელს და 2004 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 9 თვის განმავლობაში ზემოთ აღნიშნული ელექტრომომხმარებელი ორგანიზაციები, არ იხდიდნენ მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურს და რაც ყველაზე საოცარია, ელ.ენერგიის საფასურის გადახდაზე, ელ.ენერგიით მომმარაგებელ ორგანიზაციასთან, საერთოდ არ ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული.

ამ პერიოდში, მათ მიერ მოხმარებული ელ.ენერგია 2 261 784 კვტ.სთ-ს შეადგენს. უფრო მეტიც, დღევანდელი მდგომარეობით, მოხმარებული ელ.ენერგიის აღრიცხვის კვანძი ისეა მოწყობილი, რომ ზემოთ აღნიშნული ობიექტების მიერ მოხმარებული ელ.ენერგია, თვეში დაახლოებით 107 700 კვტ.სთ-ს ოდენობით, ფიქსირდება საბიუჯეტო ორგანიზაციის ელ.მრიცხველში და შესაბამისად აღნიშნული რაოდენობის ელ.ენერგია და მისი საფასურიც მასვე ერიცხება, რომლის დაფარვა უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ აღნიშნული მასალები, შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გადაეგზავნა.



მანქანების საშრობი ბოქსი.



მაცივრები და წვენების ქარხანა.



ინერტული მასალების გადასამუშავებელი საამქრო.

## მე-9 ენერგობლოკმა მუშაობის მზადყოფნის პასპორტი მიიღო

ა.წ. 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით "РАО ЕЭС"-ის, ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის, სს "მტკვარი"-ს და სს "თელასის" წარმომადგენლების მიერ კომისიურად შემოწმდა სს "მტკვარი"-ს მე-9 ენერგობლოკის 2004-2005 წ.წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობის მზადყოფნის მდგომარეობა. შემოწმების შედეგად აღნიშნულმა კომისიამ დადებითი შეფასება მისცა მე-9 ენერგობლოკზე ჩატარებულ სამუშაოებს და აღნიშნა, რომ შესრულებულია ყველა ის პირობა, რომელიც გათვალისწინებულია "ელექტრო და თბომომმარაგებელი ორგანიზაციების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობის შეფასების შესახებ" დებულებაში. თბოელექტროსადგური მზადაა გამოიმუშაოს ელექტროენერგია და მიაწოდოს იგი მომხმარებელს ელექტროსისტემასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე, თბოელექტროსადგურმა მიიღო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობის მზადყოფნის პასპორტი.

ამასთანავე, კომისიამ აღნიშნა, რომ სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად მოსაგვარებელია რამდენიმე საკითხი, კერძოდ: იმისათვის, რომ საკუთარი მოხმარების სისტემის სტაბილური და გარანტირებული მუშაობა იყოს უზრუნველყოფილი, საჭიროა შეკეთდეს სარეზერვო ტრანსფორმატორის (OBT01 - რომელიც გამორთულია) დაზიანებული საჰაერო ამომრთველი (BBH - 220 კვ) და საჰაერო კომპრესორი. ეს დანადგარები ტერიტორიულად განთავსებულია თბილსრესის ტერიტორიაზე და საჭიროა ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდეს ურთიერთობა თბილსრესსა და სს "მტკვარ"-ს შორის. 500 კვ საჰაერო ამომრთველზე უნდა ჩატარდეს რემონტი, მაგრამ სამუშაო ვერ სრულდება, რადგან დღემდე უცნობია, ვის ბალანსზე იმყოფება ეს ამომრთველი (თბილსრესის თუ სს "მტკვარი"-ს).

კომისიის მიერ აღნიშნულია, აგრეთვე, რომ სადგურის ძირითად საწვავს წარმოადგენს ბუნებრივი აირი და სადგურს არ გააჩნია სარეზერვო საწვავი, რადგან სამაზუთე მეურნეობა არ ფუნქციონირებს.

გვერდი მოამზადა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

ფერებისა და იგავების სამყაროში



B2

ხელოვნებიდან სპეკულაციამდე?



B3

წინასადანიო ამბები



B4

# ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

## დასასრული. დასაწყისი იხ. №267-268

*წელს "რუსთავი 2"-ის დახმარებით პამირში თვრამეტკაციანი ექსპედიცია მოეწყო, შემდეგ ხუთკაციანი ჯგუფით, სამორინე "აჭარა"-ს ხელშეწყობით, ტიან-შანზე გადავინაცვლეთ. კარგი სეზონი გამოგვივიდა - 13 კაცი ავედით ლენინის პიკზე (7134 მ). ხუთი ახალგაზრდა პირველად იყო სიმაღლეზე, მათ შორის პირველი ქართველი ქალი შვიდათასიან მწვერვალზე - ლიკა ნოზაძე. პირადად ჩემთვისაც ნაყოფიერი იყო ეს ზაფხული:*
*27.07 - ლენინის პიკი - 7134 მ.*
*9.08 - ხან-ტენგრი - 7010 მ.*
*16.08 - ხან-ტენგრი - 7010 მ.*
*26.08 - გამარჯვების პიკი - 7439 მ.*
*4 მწვერვალი ერთ თვეში, გამარჯვების პიკი 31-ე სასიმაღლო ასვლაა, მათ შორის 26 მწვერვალი შვიდიათას მეტრს აღემატება, ლენინის პიკზე ასვლით კი მეორედ მივიღე "თოვლის ჯიქის" წოდება.*

5300-ზე ხალხი დგას, ალბათ, ქვემოთ აპირებენ დაშვებას, ე.ი. "გორლოვინაში" მარტო არ ვიქნები. რაღაც უცნაურად უხარიათ ჩემი დანახვა და შორიდანვე ხელების ქნევით მესალმებიან. ახლოს როცა მივედი, ყველაფერი გასაგები გახდა. "აკიაში" (ციგა მაშველებისათვის) "კლიენტი" (ავადმყოფი) ჰყავთ გამზადებული, "სოსკაზეა" (ჟანგბადი) მიერთებული, ჟანგბადის ხარჯი 4 ლ/წთ. მეჩვენება, ბევრია და 1,5 ლ/წთ გადამყავს. მიხაილოვმა ზუსტად გამოთვალა ჩემი დაშვების დრო და ისევ სამაშველო ოპერაციაში გამხვია. სხვა გზა არ არის, ჯოხებს ზურგჩანთაში ვაწყობ და ჩემთვის განკუთვნილ ადგილს ვიკავებ აკიასთან. დაშვებას მიშა მიხაილოვი ხელმძღვანელობს. ის და დამირკა მოლგაჩოვი უკნიდან იცავენ აკიას, მე და სერგეი ბროდსკი გვერდებზე ვართ, წინ საშა მანულიკი და არტემ სკოპინია, ყველანი ძალიან გამოცდილები, ახალგაზრდები და დასვენებულები არიან, პატარა ზურგჩანთებით. ალბათ, გამიჭირდება ამათი დევნა, არადა, 4200-მდე შემცვლელი არ გვეყოლება. პირველი ფერდი სწრაფად ჩავასრიალეთ. უცებ დამირკა ყვირის - "Лавина с Чапаева!" ყველა ვშეშდებით, გაქცევის შანსი არ გვაქვს, მაგრამ ზვავი პატარაა, ჩანს, ჩვენამდე მხოლოდ ყინულის მტვერი მოაღწევს, "კლიენტს" თავისავე კურტკას თავზე ვაფარებ, მუხლით ზედ ვაწვები, თვითონაც სახეს ვიფარებ და ყველანი ვიცუცქებით. მართლაც მტვერმა დაგვფარა და ჩაქრა ზვავი. გრძელდება დაშვება. გვაჩქარებს მიხაილოვი. "გორლოვინასთან" ვჩერდებით ამოსასუნთქად, ყველა პირჯვარს ვიწერთ, მოლგაჩოვის გარდა (თათარია!). Пошел, Боже упаси! ვყვინთავთ "ბოთლის ყელში", "სათაგურში" თუ რაც გინდა დაარქვი. თითქმის ვერტიკალური კედლებია, ალაგ-ალაგ მოჩანს ჩაყინული თოკი. რამდენიმე ბერგშრუნდი და ნაპრალია გადასახტომი. ყველა პროფესიონალია, არ ისმის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ყველა თავის საქმეს აკეთებს, ყველა თავისი მიმართულებით იცავს, ექაჩება თოკს, მოძრაობს, სრიალებს, ეცემა, ახტება ან ვარდება ნაპრალებში, ცვლის მოძრაობის სიჩქარეს, იცავს გვერდით მყოფს და აწონასწორებს აკიას, აკია კი თითქმის ერთი სიჩქარით მოძრაობს და მასში მყოფს თითქოს არ ეხება მაშველების გაწამაწია. ხანდახან "კლიენტი" ვერ უძლებს ნერვიულ დაძაბულობას და კვნესის ან ყვირის. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, ჩვენი საქმე მისი ცოცხლად ქვემოთ ჩაყვანაა, დანარჩენი არ გვეხება - "Кто не рискует, тот не ездит в акие!".

მალე მზეზე გავდივართ, სათვალეების გასაკეთებლად ვჩერდებით. აქ ისევ საზვავე ზონაა, მაგრამ თვალებს ხომ არ დავიწვავთ. "კლიენტს" შარდის მძაფრი სუნი ასდის, ეს წუხანდელი "გორნიაშკის" (მთის ავადმყოფობა) ბრალია და ალბათ დღევანდელი დაშვებისაც.

4200-ზე მყინვარის მოსახვევში უკვე გამოჩნდნენ ჩვენი დამხმარეები. რამდენიმე წუთის მერე ზურგჩანთასაც მართმევენ და "აკიის" დაცვის თოკსაც.

■ ■ ■

**22.08.** ზაფხული ტიან-შანზე დამთავრდა, მორჩა ასვლების სეზონიც, მყინვარზე რამდენიმე კარავია შემორჩენილი, თითზე ჩამოსათვლელი ტურისტით. ალპინისტური ბანაკების უმეტესობა ან ევაკუირებულია, ანაც ჩალაგებულ ზურგჩანთებზე სხედან და ვერტმფრენს ელოდებიან, ჩვენ კი საუზმის მერე "გამარჯვების" პიკისკენ გავდივართ - დიმა მასკალიოვი, საშა ჩესნოკოვი, ვიტალი აკიმოვი და მე. გულშემატკივრად მხოლოდ ჩვენი ბანაკი რჩება, ოღონდ მხოლოდ გულშემატკივრად, გაჭირვების შემთხვევაში ვერავინ მოგვეშველება, მთამსვლელი მყინვარზე მიშა მიხაილოვიღა დარჩა, დანარჩენები უკვე სახლებში არიან, ან ისიკ-ყულზე ისვენებენ.

გზა "გამარჯვების" პიკის პირველ ბანაკამდე, მყინვარ "ზვიოზდოჩკაზე" გადის. მყინვარი დაჩეხილია უძირო ნაპრალებით. პირველ ნაწილზე ნაპრალები ღიაა, ამიტომ უთოკოდ და ცალ-ცალკე მივდივართ. მოულოდნელად ცალი ფეხით ყინულის პატარა ჭაში ჩავვარდი. ბათინკები და გამაშები კი საიმედო მაქვს, მაგრამ თეძოზე შეხსნილი შარვლიდან გამევსო ყინულოვანი წყლით ყველაფერი. მაშინვე გავიხადე, გადმოვღვარე. მზეა, მაგრამ ძალა აღარ აქვს. ამის გაშრობას კი ორი დღე დასჭირდება. ვერ არის კარგი დასაწყისი, ჯერ ფოტოაპარატისთვის მომიწია დაბრუნება საბაზო ბანაკში, ახლა წყლით სავსე ბათინკი.

რამდენიმე წუთის მერე მყინვარული მდინარე გადავედი, ყინულის კედელზე ასვლისას მოცურდა ჩემი ძირგაცვეთილი ბათინკი და ახლა მთელი ტანით ჩავწექი მდინარეში, რაც მთავარია, ზურგჩანთა გადარჩა დასველებას, გადავრჩი მეც, წყალმა რომ არ წამიღო, მდინარე პატარაა და დინებაც არ არის სწრაფი, რა ვქნა, ხომ არ დავბრუნდე? ტყუილად ხომ არ მაფრთხილებდნენ გოგოები: "Близка к краю не подходи, Бидзина!"

მყინვარის ზედა საფეხურის დასაწყისთან ერთმანეთს ველოდებით. არ ესიამოვნათ ბიჭებს ჩემი სველი ბათინკები. მაინც დამამშვიდეს, ხომ შეიძლება უარესიც მომხდარიყოო. მართლაც, 1984 წელს, პამირში, მყინვარ "საუკდარარაზე", ჩვენ თვალწინ მდინარეს გადაახტა ერთი ლვოველი მთამსვლელი, ზურგჩანთამ უკან დაძლია, ჩავარდა უბედური, ღრმა კედლებიან, ბობსლეის ტრასასავით გაპრიალებულ ყინულის არხში, მძლავრმა დინებამ ქვემოთ გააქანა, რამდენიმე მეტრში მდინარე გვირაბში იკარგებოდა, საწყალი ბევრს ებღაუჭა შიშველი თითებით გვირაბის ნაპირებს, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო, ფეხიც ვერ მოიკიდა და გვირაბში გაუჩინარდა. სამი დღის მერე მყინვარის ბოლოს გამოაგდო მდინარემ, სულ დაგლეჯილი, ტანზე მხოლოდ პლასტიკის ბათინკები ჰქონდა შერჩენილი.

ყინულვარდნილის ძირში დავბანაკდით. ღამე ბათინკის სველი შიგთავსები შიშველ ფეხზე მაცვია, წინდებს კი მუცელზე ვაშრობ. მოგვიანებით ანდრე შამრო მოგვადგა, არ ვგეგმავდით მის ჩართვას ჩვენს ჯგუფში. ახლა სხვა გზა არ გვაქვს, ჯგუფი ხუთკაციანი ხდება.

■ ■ ■

**23.08.** გამთენიისას ავშალეთ კარვები. ყინულვარდნილზე სამი ვერტიკალური თოკი გვაქვს გასასვლელი. აქ ხშირად ინგრევა სერაკები, ჩამოდის ზვავები, გავლა ნაკლებად სახიფათო სიცივეშია, სანამ მზე მოადგება.

ვხედავთ, თოკებზე ორი ტიპი ჰკიდია, შორიდანვე ჩანს, არ ჰყოფნით გამოცდილება ამ რთული თოკების გასავლელად. გვეჩქარება, იქნებ რამე ვუშველოთ და ვუახლოვდებით თოკების დასაწყისს. მოსკოველი "ახალი რუსები" აღმოჩნდნენ. საბაზოშივე მიიქციეს ჩემი ყურადღება. ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, ალპინისტური მაღაზიიდან ახალგამოსულები იყვნენ, არც საქციელი და სიტყვა-პასუხი ჰქონდათ ალპინისტური. უკვე დიდი ხანია, ჰკიდიან, ადგილიდან ვერ იძვრიან, არ შველით ჩვენი რჩევები ქვემოდან. ელემენტარული გამოცდილებაც კი არა აქვთ. კიდევ ერთი, დროის მოტანილი პრობლემა მთამსვლელობაში: ალჭურვილობის შეძენა ყველას შეუძლია, მარშრუტზე გასვლაზეც არ არის შეფერხება, დიდი ფულის ფასად გიდების დახმარებით ნებისმიერ მთაზე შეიძლება წასვლა. იქმნება ილუზია, რომ არ არის საჭირო ვარჯიში, სწავლა, გამოცდილება, სხვისი რჩევის გათვალისწინება. ამიტომაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს მთებში მოიმატა მსხვერპლმა, თუმცა ხალხი გაცილებით ნაკლები დადის, ვიდრე 20 წლის წინ დადიოდა.

მოსკოველები ვეღარც ზემოთ მიდიან, ვეღარც ქვემოთ. მზე მოგვადგა. ივსება ჩვენი მოთმინების ფიალა. რამდენი შარია ხოლმე ამ ახალბედებისაგან.

ბოლოს ზურგჩანთები გადმოყარეს, შემსუბუქებულებმა "ჟუმარების" თოკებიც გადაჭრეს და ძლივსძლივობით დაეშვნენ. დიდხანს და საფუძვლიანად ვლანძღეთ, ბოლოს დაგვაღწიეს თავი და ზურგჩანთების საძებნელად დაეშვნენ.

ჩვენ ადვილად და სწრაფად გავდივართ ვერტიკალურ თოკებს. უკვე ორი საათი დავკარგეთ, თოვლი გამღვალია, ღრმად ვეფლობით.

წინ მივდივარ. კვლავ მოულოდნელად მეცლება ფეხქვეშ საყრდენი. მაშინვე ვნანობ, თოკში რომ არ ვართ ჩაბმულები. ვვარდები მკერდამდე, იდაყვებზე და ჯოხებზე ვეყრდნობი, ფეხები ჰაერში ჰკიდია, სუნთქვაშეკრული, ფრთხილი მოძრაობით ვცდილობ მარჯვენა ფეხით ნაპრალის წინა კედელს მივწვდე. უშედეგოდ! მერე უკანა კედელს. ისევ ამაოდ! ფრთხილად ვაბრუნებ თავს. იღლიის ქვეშიდან საშინელი, ბნელი სიცარიელე შემომცქერის. თოვლის 15 სმ-იან ფენას ვუჭერივარ, პატარა ბიძგიც და თოვლის ხიდი ჩაინგრევა, მეც თან გამიყოლებს უფსკრულში. ჩემზე აღარაფერია დამოკიდებული, ღვთის იმედზე ვარ. "Витали делай что-нибудь!" - ვჩურჩულებ სასოწარკვეთილი. მესმის ზურგჩანთის მოხსნის ხმა, გარბის, მარჯვნიდან უვლის, ჩემთან მოახლოებისას მუცელზე წვება და ხელებს მიწვდის. მეც ვებღაუჭები. მიმათრევს. მალე სამშვიდობოს ვართ. დიდხანს ვაგდივართ თოვლზე პირისპირ, ერთმანეთს თვალებში შევყურებთ და სუნთქვას ვიმშვიდებთ. ზურგჩანთიდან თოკს ვიღებ და დანარჩენები ისე გადმოგვყავს. მასკალიოვი დიდხანს ჩაჰყურებს ნაპრალს და მერე მამშვიდებს: "настояшая бездна, сразу умер бы, и достовать не возможно!" "აბა, ბიჭო, сразу сколько экономии!" - კვერს ვუკრავ მე.

5800-ზე ასვლა აღარ ესწრება, 5300-ზე ვრჩებით, უღელტეხილ "დიკის" ქვეშ. ვცდილობ ბათინკების გაშრობას და თან ყველანი კედელს ვათვალიერებთ, იქნებ ჰაკანის სხეულს მოვკრათ თვალი.

■ ■ ■

**24.08.** 5800-მდე ორ საათში ავდივართ, გამოქვაბულის შესასვლელს ვწმენდთ ნამქერისაგან. გამოქვაბულში ვისვენებთ, ვსვამთ ჩაის და ისევ ზემოთ მივდივართ. ამინდი ფუჭდება, თოვს, ქარი ძლიერდება. 6100-ზე ვთხრით ორი კარვისთვის მოედანს, თოვლის ბლოკებით ვუშენებთ ქარდამცავ კედლებს, ვდგამთ კარვებს, ვთანხმდებით წყლის თოვლის და ტუალეტის მიმართულებებზე. ეს აქ, ასეთ პატარა მოედნებზე, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს მთამსვლელობის მეორე წესია: "ნუ დალევ ყვითელ თოვლს!" პირველი წესი კი არის - "ნუ გადააფსამ ქარის საწინააღმდეგოდ!"

კარვები ერთმანეთთან შესასვლელებით ძალიან ახლოს გვიდგას, საჭმელ-სასმელს ჩვენს კარავში ვამზადებთ და მერე ვაწვდით. ყველა მოუთმენლად ველოდებით მიხაილოვთან რადიოკავშირს, მიშაც გვიყვება ბანაკის ამბებს, ძირითადად ვახშმის მენიუზე ლაპარაკობს და რამდენიმე წუთით მუსიკასაც გვირთავს.

■ ■ ■

**25.08.** ისევ ზემოთ! ამინდი არ არის მთლად ჩამოყალიბებული და გარკვეული. ხშირად ვფიქრობ, რამდენად მოსაწყენი საკითხავი ან მოსასმენია სასიმაღლო ასვლა, თანაც "გამარჯვების" პიკზე, ხომ უკვე ორჯერ ვარ ნამყოფი, თითქოს რა უნდა იყოს მესამე ასვლისას საინტერესო. მე კი ამ ასვლას მთელი წელი ველოდებოდი, ვფიქრობდი, ვგეგმავდი, ვვარჯიშობდი. ასე არიან სხვებიც. ახლა აქ ვართ, ზოგი პირველად, ზოგიც მესამედ. აქ ჩემთვის ყველაფერი ნაცნობია, ქვა, კედელი, ქედი, დაგლეჯილ ძველ თოკებზე ზოგჯერ ჩემს შარშანდელ თუ შარშანწინდელ კვანძებსაც ვცნობ. აი, 6500-ზე ამ ქვის ქვეშ გავათიეთ ღამე მე და იგორ ბუგაჩევსკიმ, აქ ამოვთხარეთ ზვავში ჩამარხული კოსტია დორო, სერგეი სოკოლოვთან ერთად, აქ შარშანწინ მოწყდა ჰაკანი, ჩვენთან ერთად იყვნენ სალაბუევი და ალექს ლოუ, დღეს კი მათგან მხოლოდ კოსტია დოროა ცოცხალი, ყველა მთაში დაიღუპა: ბუგაჩევსკი მაკალუზე, სოკოლოვი K-2-ზე, სალაბუევი ტიან-შანზე, ლოუ ანაპურნაზე, ჰაკანი გამარჯვების პიკზე. რამდენი ასვლაც არ უნდა გავაკეთო ერთსა და იმავე მთაზე, ყოველთვის განსხვავებული იქნება წინა ასვლებისაგან; სხვა იქნება გუნდის შემადგენლობა, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, ამინდი, დრო, ასვლის მოტივი და, ბოლოს და ბოლოს, სულ უფრო და უფრო ბებერი ვიქნები. ამიტომ ჩემთვის საინტერესოა ყოველი ასვლა, გარეშე თვალისთვის მონოტონური, ერთფეროვანი, არადა, რა მასშტაბებია, რა დაძაბულობაა, როგორ რადიკალურად იცვლება სიტუაცია, რა ხანგრძლივია ასვლა, რამდენი დრო ფიქრისთვის, შიშისთვის, მოლოდინისთვის, ლოცვისთვის, როგორ ბოლომდე გვიწევს საკუთარი თავის გამოწურვა, ბრძოლა სიცოცხლისათვის, მეგობრებისათვის, სითბოსთვის და მწვერვალის გავლით სახლში დაბრუნებისათვის.

დიახ, ასე მოსაწყენად, მონოტონურად, ნაბიჯ-ნაბიჯ, 10-30 სანტიმეტრობით ვკრეფთ სიმაღლეს და მოგვწონს ეს ცხოვრება, აქ სრულად ვცხოვრობთ, აქ სხვა ფერებია, სხვა სუნია, სხვა ურთიერთობებია, სხვანაირად გადის დრო და ყველაფერს სულ სხვა ფასი აქვს, ვიდრე ქვემოთ, ბარში.

საღამოსთვის 6900 მ-ზე, მწვერვალ "ვაჟა ფშაველაზე" ვართ მე და აკიმოვი, ცოტათი ქვემოთ, მწვერვალს გადაღმა, "პობედისაკენ" ვეშვებით ქედზე და ჩინეთის მხარეს, ქარს მოფარებულ ადგილას ვდგამთ კარავს. ერთი საათის მერე დანარჩენებიც მოდიან. ვასმევთ ცხელ ჩაის.

■ ■ ■

**26.08.** დღეს "მშობიარობის" დღეა, დღეს უნდა დამთავრდეს მრავალთვიანი მზადება, ზემოთკენ მიმავალი გზა, დღეის შემდეგ, სახლამდე სულ ქვევით ვივლით.

3 საათიდან ვიწყებთ ჩვეულებრივ პროცედურას: თოვლი, წყალი, ჩაი, საუზმე. ადგილის სიმცირის გამო რიგ-რიგობით ვიცვამთ, ჩემს ძველ ბათინკებს, სითბოსთვის, გარედან საძილე ტომრის შესანახ ტომსიკებს ვამატებ. წრიაპებს კარვის გარეთ ვიცვამ თხელი ხელთათმანებით, რაც შეიძლება სწრაფად, ერთი მორგებით უნდა გავიკეთო, მერე მეორე წრიაპისთვის ხელებს დიდხანს ვითბობ. 6-ის ნახევარზე ბანაკს ვტოვებთ. ცივა, უბერავს, მაგრამ მხედველობა კარგია. კარვის სითბო დიდხანს მოგვყვება. მალე მზეც ამოვა. ვიტალი ქედზევე დაწინაურდა, მე ქედის ბოლოში, "ობელისკთან" ველოდები დიმას და საშას, "ობელისკი" მაღალი ვერტიკალური გრანიტის კლდეა, ქარს და ყინულს ფანტასტიკური, ღრმა ბარელიეფები გამოუჭრია ათასობით წლის განმავლობაში. ამ ბარელიეფებში საშინლად ღმუის და უსტვენს ქარი. მარტოობის და დაუცველობის საშინელი განცდაა. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებს მიცვალებულები: ქვის გროვით დაფარული ხუდოჟინი, და 20 მ-ის ქვემოთ კი თოვლში ჩამარხული ილიკო გაბლიანი. როგორც ჩემი მეგობარი, კარგი მთამსვლელი და ბარდი შურა აგაფონოვი ამბობს: "Возле обелиска все живое кажется родным!"

ჯერჯერობით, ჩაუბმელებმა ვიარეთ. დიმა სულ უფრო და უფრო ნელა მიდის. თოვლი დიდი არ არის, უმეტესად კარგი ფირნია, ძალიანაც არ ცივა, ოღონდ შორს, ჩინეთის მხარეს მოჩანს ღრუბლები, კარგი პირობებია ასვლისთვის, უნდა მოვასწროთ! ვაჩქარებთ დიმას, მაგრამ მეტი აღარ შეუძლია, ბოლოს თოკებში ვებმებით, ზოგჯერ მოვექაჩები თოკს, მაინც უფრო მეტს ვდგავართ, ვიდრე მივდივართ. ვიტალი უკვე მწვერვალიდან ეშვება, ჩვენ სამს კი 2,5-3 საათი გვინდა, ალბათ, კიდევ. ანდრეი შამრო არც მოჩანს ჯერ, შეიძლება მიბრუნდა კიდეც.

გავდივართ ძალიან ვიწრო ქედს, მერე ციცაბო, ღრმა თოვლიან ფერდს ვატრავერსებთ. მართალია, ჩაბმულები ვართ, მაგრამ დაცვა ფიქტიურია. ვცდილობ, არ ვიფიქრო მოწყვეტაზე, ფიქრი ახლა ხელის შემშლელია, ასეთ დროს მხურვალე ათეისტებიც ლოცულობენ და ღმერთს შემწეობას სთხოვენ.

დიმას რამდენჯერმე ვთავაზობ უკან დაბრუნებას ან ტემპის მომატებას. ბევრს ვერაფერს ვცვლი, გული სასიკეთოს არ მეუბნება, მეშინია, დაშვებისას არ "დაჯდეს" ან, კიდევ უარესი, არ "დაწვეს". პირველ შემთხვევაში კიდევ შეიძლება აიძულო სიარული, მეორეში კი მხოლოდ ტრანსპორტირება ან ლოდინია შესაძლებელი.

ასე წვალებით, სვენებით, ხოხვა-ფორთხვით ვუახლოვდებით მწვერვალს. მთავრდება ეს თითქოსდა დაუსრულებელი ასვლა. ჩრდილოეთის მხარეს მწვერვალს უზარმაზარი კარნიზი ჰკიდია, ამიტომ უმაღლესი წერტილიდან ვერც ვიხედებით. 2 მ-ით ქვემოთ, ბრტყელ ქვაზე პატარა ტურია, წერილით, ვიმპელით. ჩვენამდე ექვსი კაცი იყო წელს მწვერვალზე. ჩვენს წინ ასულ პოლონელებს 100-გრამიანი ბოთლით არაყი და ზედ წვრილი თოკით მიბმული "ვობლა" დაუტოვებიათ. არაყს და თევზს ჯიბეში ვიდებ და სურათების გადაღებას ვჩქარობ, არ მომწონს მოახლოებული ღრუბელი.

სამის ნახევარზე ვიწყებთ დაშვებას, ტემპი თითქმის იგივეა, რაც ასვლისას. ვაჩქარებ, ვბუზღუნებ, ვატყობ, მალე აუტანელი გავხდები. გვხვდება ანდრეი შამრო, ვთხოვ, ჩვენთან ერთად დაბრუნდეს და შარი არ აუტეხოს თავის თავს და ჩვენც. შამრო მთამსვლელია, არ ჯიუტობს და თოკში ებმება. ახლა ოთხნი ვართ ჩაბმულნი ჩემს წვრილ, 40 მ-იან თოკში.

რთული იყო დაშვება "ობელისკამდე". ასე რომ არ გვაგვიანდებოდეს, ალბათ, მაგრად ვისიამოვნებდით, გრანიტის პატარა კედლებით, დანის პირივით ვიწრო ქედებით, მერე გრძელი, ციცაბო ფირნის ფერდობებით, ყინულის კულუარებით, ლამაზი ხედებით... მაგრამ ახლა მხოლოდ ნათელი დღის დარჩენილ დროზე ვფიქრობ.

გაგრძელება B7 გვერდზე






## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ზაქარია ფალიაშვილი
"აბესალომ და ეთერი"
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"90-იანი... ადამიანის ხმა"
ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 5-10 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჯოზეფ ოსბორნი
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
კახა ბაკურაძე
"ჩუმად რეპეტიციაა!"
რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 18:00 სთ

"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 16:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**TMS**
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
ლევან მარგიანი

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

**ჰობი**
პლაკატი 2004
"კაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისკენ"

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

## კლუბები

**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
General Midi (ბრისტოლიდან)
ფასი: 25 ლარი.
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

**Jam**
ადგილობრივი დი-ჯეების (Tasca, Edgar Sebis, Crazy) საღამო
დას: 21:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ფერებისა და იგავების სამყაროში

ვერა ნეფარიძე

*ამ ექსპოზიციის უკეთ აღქმისთვის ნამდვილად საჭიროა ფაქიზი გემოვნება, ისევე როგორც საჭიროა მის შესაქმნელად. მაგრამ, გემოვნების გარდა, აშკარად იგრძნობა, ზეთითა და შერეული ტექნიკით შესრულებული ეს ნამუშევრები სიფაქიზეს ოსტატისგანაც რომ მოითხოვდა. ამიტომაც შეაფასა ცნობილმა მხატვარმა ჯიფსონ ხუნდაძემ ყოფილი მოსწავლის ხელოვნება ამ სიტყვებით: ეს ფაქიზი გემოვნების ხელოვნებააო. ბატონ ჯიფსონს გალერეაში შესვლისთანავე ნებისმიერი დამთვალიერებელი ქვეცნობიერად მაინც დაეთანხმება და გალერეაში ყოფნისას თუ არა, უკან დაბრუნებული მაინც გაიმეორებს ამგვარ განსაზღვრებას.*



ბოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ლევან მარგიანი "კრავს" გვაჩვენებს.*

"ძალიან კარგია, მაგრამ რა ვქნათ, რომ ვეღარ გაიგებენ ამ ნამუშევრებს ჩვენი ბავშვები"? - ექსპოზიციის ნახვის შემდეგ ამგვარი რეპლიკითაც მიმართეს გამოფენის ავტორს ლევან მარგიანს. "მაგიტომაც გამოვფინე", - იყო პასუხი. თუმცა, რასაკვირველია, ხუმრობით, რადგანაც ლევან მარგიანი აქციებს არ მართავს. გუშინ შარდენზე "ბაიას გალერეაში" გახსნილი ეს გამოფენა, ისევე როგორც წინამორბედები, არ იყო კონცეპტუალური (იმ გაგებით, როგორც ამას თანამედროვე ხელოვანები მართავენ) და არ ატარებდა ღია პროტესტს. ეს იყო, უბრალოდ, გამოფენა, სადაც მხატვარმა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შექმნილი საკუთარი ნამუშევრები წარუდგინა საზოგადოებას. ექსპოზიციიდან უმეტესობა ავტორის სახელოსნოში დაცული, მცირე ნაწილი კი, კერძო კოლექციებიდან იყო.

ხანდახან ძნელია შთაბეჭდილებების გადმოცემა; ის, რაც გუშინ დამემართა. ვიცოდი, რომ უნდა წავსულიყავი შარდენზე, სადაც ლევან მარგიანის (სამწუხაროდ, აქამდე ჩემთვის უცნობი მხატვრის) ნამუშევრების გამოფენა იხსნებოდა. მისიის შესასრულებლად თავიდანვე დადებითად განმაწყო მოსაწვევმა, სადაც ერთ-ერთი ექსპონატი ეხატა. არ მიყვარს ფრაზები: თბილი ფერები, ამაღლებული განწყობა და ა.შ. რასაც ალმატებითი ტონისთვის ვიყენებთ ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს "თბილი ფერები" ჯერ ამ მოსაწვევიდან, შემდეგ კი გამოფენაზეც უხვად ვიგრძენი (რამაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირადად ჩემზე) და მივხვდი, რომ ეს ფრაზა ყველაზე ზუსტი შესატყვისია.

ხსენებულ მოსაწვევზე დაბეჭდილი ნამუშევარი ჩემთვის სადღაც ნანახს დავუკავშირე; სურათი ძალიან ჰგავდა ქართულ ფრესკებზე გამოსახულ წმინდანებს. მოგვიანებით, "ბაიას გალერეაში" დავრწმუნდი, რომ არც შევმცდარვარ. მხატვარი, ჯერ ერთი, რესტავრატორი აღმოჩნდა (ფერწერის) და ბიბლიური სიუჟეტებიც სრულ თუ არა, ძირითად ნაწილს იკავებს მის შემოქმედებაში; ამას გარდა, ლევან მარგიანი აგრძელებს შუა საუკუნეების წიგნის მხატვრული მინიატურის ტექნიკას. ტილო, ზეთი, ფირფიცარი, ლევკასი, ფორტალური (ქართულად მას ჯილჯილას უწოდებენ) ოქრო, მოვერცხლილი თითბერი, ტემპერა, კვერცხის ემულსია, - ეს ის ტექნიკური საშუალებებია, რითაც მხატვარი სასურველ შედეგს აღწევს. რაც შეეხება ნამუშევრებს. გალერეაში წარმოდგენილია როგორც ცალკეული ნიმუშები, ისე ექსპონატები სხვადასხვა სერიიდან: "სიზმრები", "უძღები შვილი" (მეტად საინტერესო სერია მეჩვენა გადაწყვეტის თვალსაზრისით.), "იგავი ხე კეთილი და ხე ბოროტი" (ნამუშევარს თან ერთვის ციტატა მათეს სახარებიდან); "იგავი ცათა სასუფევლის შესახებ"; "იგავი გონიერ და უგუნურ მშენებლებზე", მახარებლები და სიუჟეტები ბიბლიიდან და ა.შ. ცალკე თემაა ლევან მარგიანის მინიატურული კუთხე. "კრავი", "კომპოზიცია", "მწყემსი კეთილი", "წმინდა ოჯახი", მარგალიტითა და ფირუზით მოჭედილი "წმინდა გიორგი". კერძო საუბრებიდან გავარკვიე, რომ მხატვრის ახლობლები მინიატურებიდან "კრავის" სერიას განსაკუთრებით სწყალობდნენ და სამართლიანადაც.

"მთავარია, ღმერთისგან მომადლებული ნიჭი გქონდეს ადამიანს. მერე ამას გაღვივება უნდა, როგორც ღადარს. ეს ნიჭი ლევანს აქვს. მისი ხელოვნება უფაქიზესი გემოვნების შემოქმედებაა", - გუშინ გალერეის სტუმართა შორის, ლევან მარგიანის შემოქმედების მოყვარულებისა და მხატვრის ახლობლებს შორის, ცნობილი მხატვარი ჯიფსონ ხუნდაძეც იყო. გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება და, რაც მთავარია, თუკი ძალიან მოგეწონებათ (აუცილებლად მოგეწონებათ), მსურველებს გამოფენაზე ნამუშევრების ყიდვის შესაძლებლობაც ექნებათ.

# ჩინელების "საჩუქარი"

## ანრი ჯოხაძე და ხუთი კონკურსანტი საპრიზო თანხის გარეშე

მაია მამულაშვილი

28 ოქტომბერს ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართული საერთაშორისო კონკურსი ახალგაზრდა ქართველი მომღერლისთვის, ანრი ჯოხაძისთვის რიგით მეცხრე იყო, სადაც 16 ქვეყნიდან 21 კონკურსანტი მონაწილეობდა.

პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი, რა თქმა უნდა, ჩინელი გახდა. ქართველმა მომღერალმა კი, მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

კონკურსში მონაწილეობა სრულიად შემთხვევით მოხდა. აგვისტოში ალმა ათაში საერთაშორისო კონკურსზე - "აზიის ხმა", ანრი სტუმრის სტატუსით მიიწვიეს. ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ შანხაის კონკურსის ორგანიზატორი, რომლის ინიციატივით ანრი ჯოხაძემ კონკურსში მიიღო მონაწილეობა.

პრიზიორების კეთილგანწყობა ჩინეთისა და, საერთოდ, ჩინელების მიმართ, მათმა "საჩუქარმა" შეცვალა.

არც ერთ საპრიზო ადგილზე, ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული თანხა არ გაიცა, რასაც თავად მომღერალი საერთაშორისო სკანდალს უწოდებს. სამაგიეროდ, თითოეულმა ლაურეატმა მიიღო სხვადასხვა სახის საჩუქარი, მაგალითად, თავად ანრი ჯოხაძეს გადასცეს "სითიზენის" ფირმის საათი, 2 ათასი ამერიკული დოლარის ნაცვლად კი, - სინთეზატორი. კონკურსის ჩინელი ორგანიზატორები მსგავსი საჩუქრების დარიგებით ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას. ამას დაემატა ისიც, რომ ფესტივალმა მგზავრობა არ დააფინანსა და მასში მონაწილეობა კონკურსანტის ხარჯებით მოხდა.



ანრი ჯოხაძე: "მე არ ვამბობ, რომ ასეთ პრესკონფერენციებს დიდი რეზონანსი მოჰყვება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ ვაპირებთ აღნიშნული ფაქტის ინტერნეტით გავრცელებას".

კონკურსზე თითოეულმა მონაწილემ ორი ტური გაიარა. თავად ანრი ჯოხაძემ შეასრულა ორი სიმღერა - ერთი ყაზახური, რითაც "ასტანა 2004"-ზე გრან-პრი მოიპოვა, ხოლო მეორე ტურში - საკუთარი სიმღერა წარუდგინა ჟიურის.

ამჟამად მომღერალი თანამშრომლობას იწყებს შემოქმედებით გაერთიანება "ფორტუნა 97"-თან. კონტრაქტს უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი, თუმცა თანამშრომლობის ვადა ჯერჯერობით უცნობია. ცაია ყიფიანის განცხადებით, იგეგმება სიმღერების ჩაწერა, ალბომის გამოშვება და კლიპის გადაღება. მომღერალი, ასევე, ემზადება სოლო კონცერტებისთვის. მანამდე კი, შესაძლოა, "სლავურ ბაზარზე" მეორედ მიიღოს მონაწილეობა.

# სკანდალი სპილბერგის ფილმის ირგვლივ

ხუთშაბათს ამერიკის 18 შტატში, ABC-ის დაახლოებით 20 ტელესადგურზე, უარი თქვეს სტივენ სპილბერგის ფილმის - "რიგითი რაიანის გადარჩენა", ეთერში გაშვებაზე. ტელესადგურის თანამშრომლები შეშინდნენ საკონტროლო ორგანოების მიერ დაწესებული სანქციების გამო. მათ მიერ ამერიკის ტელევიზიებში დილის ექვსიდან საღამოს ათ საათამდე არანორმატიული ლექსიკისა და ძალადობის სცენების ჩვენება აიკრძალა.

სტივენ სპილბერგის ფილმის ჩვენება ამერიკაში ვეტერანების დღესთან დაკავშირებით იყო დაგეგმილი. თუმცა, ABC ქსელის სადგურებზე ფილმი, მისი შინაარსის შესახებ რეგულარული გაფრთხილებების შემდეგ, მაინც გაუშვეს.

ამასთან დაკავშირებით ვიეტნამში ტყვედ ნამყოფი, სენატის სავაჭრო კომიტეტის წარმომადგენელი, ცნობილი რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკეინი, რომელმაც სურათი ABC-ზე გაუშვა აცხადებს, რომ "ფილმში მიახლოებითაც არაფერია რაიმე უკადრებელი".

ფილმის ჩვენების მხარდასაჭერად მშობელთა კონსერვატორული კავშირიც კი გამოვიდა, ისინი ეკრანზე უცენზურო გამონათქვამების წინააღმდეგი არიან.

ABC სისტემაში არსებულ ტელესადგურებში სპილბერგის ფილმის ეთერში ჩვენება საღამოს რვა საათზე ჰქონდათ დაგეგმილი. თუმცა, ზოგიერთი მაყურებლის მხრიდან შესაძლო საჩივრებს შეუშინდნენ, რომლებსაც შემდგომში ტელეკომუნიკაციის ფედერალური კომისიის მხრიდან, რომლებიც აშშ-ს ტელეეთერებში "სისუფთავეს" უზრუნველყოფენ, მკაცრი ჯარიმები შეიძლებოდა, მოჰყოლოდა.



"რიგითი რაიანის გადარჩენა" სტივენ სპილბერგმა 1998 წელს გადაიღო. ფილმმა "ოსკარის" ხუთი პრემია მოიპოვა და გასულ წლებში აშშ-ს ტელევიზიებზე არაერთხელ აჩვენეს. წელს დალასის (ტეხასის შტატი), ატლანტას (ჯორჯიანას შტატი), ახალი ორლეანის (ლუიზიანას შტატი) ჰონოლულუს (ჰავაის შტატი) და სხვა მსხვილი ქალაქების ტელესადგურებში ფილმის ჩვენება სხვა პროგრამებით შეცვალეს, რადგანაც ბოლო თვეების განმავლობაში აშშ მთავრობამ მოულოდნელად არანორმატიული ლექსიკისა და ძალადობის სცენების ჩვენების კონტროლი დააწესა.

ABC ეს გადაწყვეტილება სხვა ამერიკული ტელეარხების საერთო მერყეობის ფონზე მიიღო, რომლებმაც ჯერაც ვერ გაარკვიეს, თუ რას მიიჩნევს კომუნიკაციების ფედერალური კომისია ეთერისთვის მიზანშეწონილად. ალბათ, ყველას ახსოვს ამბავი, როდესაც CBS ტელეარხი ნახევარი მილიონი დოლარით დააჯარიმეს, იმისათვის, რომ მათ ეთერში პოპულარულ დროს შემთხვევით მომღერალ ჯენეტ ჯექსონის შიშველი მკერდი უჩვენეს.

აშშ მთავრობის სტრუქტურების ფედერალური ტელეკომუნიკაციების კომისია ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორის ფილმის ეთერში ჩვენების შესახებ ატყდა. სპილბერგის მიერ დაფუძნებული კინოკომპანია, რომელმაც ფილმი "რიგითი რაიანის გადარჩენა" გადაიღო, იმის გამო, რომ ბევრი ტელემაყურებელი ამ სურათის ნახვას ვერ შეძლებს, მწუხარებას გამოთქვამს. "რიგითი რაიანის გადარჩენა" მეორე მსოფლიო ომში ამერიკელი ჯარისკაცების თავდადებას ეძღვნება.

# ხელოვნებიდან სპეკულაციამდე?

ნესტან ნიჟარაძე

*ფოტოგრაფიის მზარდი პოპულარობა მსოფლიოს ხელოვნების ბაზარზე ფოტოების ღირებულების მკვეთრი ზრდის პირდაპირპროპორციული აღმოჩნდა. პარიზი და ნიუ იორკი ერთმანეთს ფოტოგრაფიულ ტენდენციებზე და ფოტოების ფასებზე მონოპოლიის მოპოვებაში ედავებიან.*



პარიზში ნოემბერი ფოტოგრაფიის თვეა. წლის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოგრაფიული მანიფესტაცია ტრადიციულად ნოემბრის თვეში იმართება. პირველი - "პარი-ფოტო" (Paris Photo) - მსოფლიოში ერთადერთი ფოტოგრაფიული სალონი-ბაზარი წელს უკვე მერვედ იმართება ლუვრის კარუსელში. მეორე კი, ფოტოგრაფიის თვე, რომელიც პარიზის ფოტოგრაფიის ევროპული სახლის ინიციატივით შეიქმნა, ქალაქის საგამოფენო სივრცეებში ფოტოგრაფიული ექსპოზიციების გამართვის ტრადიციასთან უფრო არის დაკავშირებული, ვიდრე ბაზართან.

ცივილიზებულ სამყაროში უკვე დიდი ხანია, აღარ დავობენ იმაზე, არის თუ არა ფოტოგრაფია ხელოვნება. ევროპაში "შუქთაყვანისმცემელთა" (შარლ ბოდლერის განმარტება) მიერ გამოგონილი მექანიკური პროცესის შედეგად მიღებული გამოსახულება უკვე დიდი ხნის წინ აღიარეს ხელოვნების ნიმუშებად და დააფასეს. შემდგომ კი შესაბამისად შეაფასეს კიდევაც. თანამედროვე ხელოვნებაში ფოტოგრაფიის მზარდი როლის და გავლენის ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, რთული წარმოსადგენი არც ის გახდება, რომ ნოემბრის თვეში პარიზში მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ფოტოგრაფიის მოყვარულთა, კოლექციონერთა და მყიდველ-გამყიდველთა არმია იყრის თავს.

წლევანდელი ნოემბერიც ტრადიციისამებრ პარიზში ფოტოგრაფიის ნიშნის ქვეშ ჩაივლის. 11 ნოემბერს რიგით მერვე ფოტოგრაფიული სალონი-ბაზარი "პარი-ფოტო" გაიხსნა. ხოლო ფოტოგრაფიის თვის ფარგლებში გათვალისწინებული გამოფენები ნოემბრის დასაწყისში გაიხსნა და თვის ბოლომდე, ზოგიერთი მათგანი კი, 2005 წლის თებერვლამდეც კი გაგრძელდება.

ფოტოგრაფიის მსოფლიო პოპულარობის ზრდისა და მსოფლიოში ერთადერთი ფოტოგრაფიული ბაზრის პარი-ფოტოს წარმატებული მუშაობის შედეგად, წინასწარი გამოთვლების მიხედვით, 2004 წლის სალონს 40 ათასი მნახველი ესტუმრება. წელს სალონზე წარმოდგენილი 105 გალერეიდან, რომლებიც 500 ფოტოგრაფის ნამუშევრებს გამოფენენ, მხოლოდ 32 არის ფრანგული; დანარჩენი კი გერმანული, ინგლისური და ამერიკული, იტალიური და ესპანური გალერეებია. პირველად ესოდენ პრესტიჟულ ევროპულ ბაზარზე თეირანის ფოტოგალერეა გამოდის. ვერნისაჟზე გავრცელებული ფრანს პრესის სააგენტოს დეპეშის თანახმად, ოთხი ირანელი ფოტოგრაფის ნამუშევრები, რომელიც გალერეას უნდა წარმოედგინა, ირანული ცენზურის მსხვერპლი გახდა. თეირანის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა ოთხივე ავტორის ფოტოები დაბლოკა ერთი მიზეზის გამო: ისინი ეწინააღმდეგებიან ისლამურ ფასეულობებს და ირანელი ქალის იმიჯს სასაცილოდ იგდებენ.

"პარი-ფოტო" სალონი-ბაზარია. შესაბამისად, 11-დან 14 ნოემბრამდე აქ ყველაფერი იყიდება - 1842 წელს პირველი ინგლისელი ფოტოგრაფის ფოქს ტალბოტის ფოტოდან დაწყებული, თანამედროვე ფოტოგრაფიის აწ უკვე გარდაცვლილი მეტრის ჰელმუტ ნიუტონის ფოტოთი დამთავრებული. ფასებიც განსხვავებულია: 500 ევროდან იწყება და ხშირად რამდენიმე ათეულ დოლარსაც აღწევს. ფოტოგრაფია დღეს მსოფლიო ბაზარზე ძვირი ღირს! ამის ერთადერთი მიზეზი კი ის არის, რომ იგი ძალიან ფასობს.

ფრანგები "პარი-ფოტოს" კლასიკურ სალონ-ბაზრად მიიჩნევენ და ეს მათი სიამაყის საგანია. ამერიკელები კი (აშშ ფოტოგრაფიის ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირი ბაზარია!) იგივე "პარი-ფოტოს", ფრანგულადვე "დემოდეს", ანუ ძველმოდურს უწოდებენ და ამით ფრანგების ლტოლვას ყველაფერ კლასიკურისადმი და მათ შორის, პარიზის ფოტოგრაფიული სალონის ტენდენციებს, დრომოჭმულად აღიარებენ.



*ამ ფოტოების შეძენა პარიზის წლევანდელ სალონზე შეგიძლიათ.*

### ამერიკული კონკურენცია

პარი-ფოტოს პარალელურად, ასევე ნოემბრის დასაწყისში, ნიუ იორკში, მანჰეტენზე იმართება აუქციონები, რომელიც ტრადიციულად ფოტოგრაფიის გამყიდველთა და მყიდველთა თავშეყრის ადგილი ხდება. ნიუ იორკის აუქციონები თანამედროვე ფოტოგრაფიის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ვარსკვლავებად აღიარებულ ავტორებს ანიჭებს უპირატესობას; რითაც "პარი-ფოტოს" კლასიკური ტენდენციებისგან განსხვავებით, მსოფლიო ბაზარზე ახალ სახელებს, ახალ მიმართულებებს და, რაც მთავარია, ახალ ფასებსაც აკანონებენ.

9-დან 12 ნოემბრამდე მანჰეტენის აუქციონებზე, მათ შორის, კრისტიზე და სოთბიზე, წარმოდგენილი ფოტოების ავტორთა შორის არიან ნან გოლდინი და არაკი, სინდი შერმანი და ლარი კლარკი, ბარბარა კრიუგერი და ტომას რუფი, სოფი კალი და ჯაიმს ველინგი, კატრინ ოპი და მრავალი სხვა. ეს ის ავტორებია, რომლებიც უკვე დიდი ხანია, აღარ იფინება პარიზის სალონზე და რომელთა ბაზარიც ერთმნიშვნელოვნად ამერიკაა.

ფრანგულთან შედარებით, ფოტოგრაფიის ამერიკული ბაზრის სპეციფიკას "გასაყიდ ავტორთა" განსხვავებული სიის გარდა, განსხვავებული ფასებიც განსაზღვრავს.

2001 წლის აუქციონზე გერმანელი ფოტოგრაფის ანდრეას გურსკის ფოტოს 600 ათას ამერიკულ დოლარად გაყიდვის ფაქტმა პარიზის ფოტო სალონის ორგანიზატორები ჯერ გააოგნა, შემდეგ დააფიქრა და ბოლოს, აღაშფოთა კიდეც.

გაყიდული ფოტოების რაოდენობით და გასაყიდი ფასების გათვალისწინებით ნიუ იორკის წლევანდელი აუქციონები, როგორც მოსალოდნელი იყო, რეკორდული აღმოჩნდა. რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კი საკმარისი იქნება: სინდი შერმანის ავტოპორტრეტი, რომლის ფასიც ჯერ კიდევ 2000 წელს კრისტის აუქციონზე სულ რაღაც **230 ათასი** დოლარი იყო, წელს უკვე **478 ათას** დოლარად გაიყიდა; ბარბარა კრიუგერის ფოტო სახელწოდებით "ვყიდულობ, მაშასადამე ვარსებობ" **601 600** დოლარად, ხოლო რიჩარდ პრინსის მიერ 1980 წელს გადაღებული ფოტო **730 ათას** დოლარად.

ოკეანის მიღმა აუქციონზე დრამატულად განვითარებული მოვლენების და არანაკლებ დრამატული ფასების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ პარიზის ფოტო სალონის ორგანიზატორთა მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა. სალონის სამხატვრო დირექტორმა, რიკ გადელამ, ვერნისაჟზე მოკლედ და მრავლისმთქმელად განაცხადა: "მე არ მესმის, რა ხდება და არც მინდა, რომ გავიგო". ხოლო ერთ-ერთი პარიზული გალერეის პატრონმა კრისტინ ოლიემ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ის რაც დღეს ამერიკულ ბაზარზე ხდება, დაუშვებელია. ეს ხელოვნება კი არა სპეკულაციაა!"

ფოტოების ფასების მსგავსად, პარიზში გამოფენაზე ან ნიუ იორკში აუქციონზე გამგზავრების სურვილი (რომ არაფერი ვთქვათ შესაძლებლობაზე!) ჩვენი რეალობისთვის ესოდენ აბსურდული რომ არ იყოს, კიდევ არის რამდენიმე დღე იმისთვის, რომ მსურველებმა თავად იხილონ და სცადონ გაიგონ, რატომ მერყეობს თანამედროვე ხელოვნების ბაზარზე ფოტოების ფასები 500 ევროდან 730 ათას დოლარამდე.

# გულსაბნევის დაბრუნება

მოდაში სიახლეა. ამ სიახლეს ოდნავ ძველმოდური სახელი კი ჰქვია - გულსაბნევი, მაგრამ ფაქტია, რომ ის დაბრუნდა. ქალებს გულსაბნევი რამდენიმე მიზეზის გამო მოსწონთ: ის ტანსაცმელს მგრძნობიარობას ჰმატებს. არ ასუქებს. ბრჭყვიალებს. ნებისმიერი გემოვნების მანდილოსანს აკმაყოფილებს. შეზღუდვა არც ზომებში, ფორმებში და თვლებშია. თუმცა, თუ ისევ ცხელ მოდურ ხაზს გავყვებით, მოდაში მინიატურული ზომის და რაც შეიძლება სადად გაწყობილი გულსაბნევია.

თუნდაც ჟურნალ "ვოგის" სექტემბრის ნომერი ავიღოთ. ფოტოზე "ივ სენ ლორანის" ალისფერი კაბაა გამოსახული, კაბაზე კი ცნობილი დიზაინერის ფრედ ლეიტონის ბრილიანტებითა და მარგალიტებით მოოჭვილი გულსაბნევი ჩანს. "ვოგის" ბოლო გვერდიც ორ "ჭუჭყიანი ბრილიანტის" გულსამშვენისს ეძღვნება. და ამ ფონზე, დიზაინერები ვერც ასწრებენ ამ ახალი მოდის შემოტანას, რომ ტენდენციას სასწრაფოდ მასობრივ მომხმარებელზე გათვლილი "გეფი" იტაცებს და ახალ რეკლამებში სარა ჯესიკა პარკერს გულსაბნევებით იღებს.

მოკლედ, სიტუაცია დაახლოებით ასეთია - პოდიუმებზე ტენდენცია მიუჩა პრადას შემოაქვს, "გეფი" და "ბანანა რეფაბლიქი" მას იტაცებენ და მასაში გააქვთ, მერე საქმეში ინტერნეტიც ებმება და ახალ მოდურ ნივთს სხვადასხვა საიტებზეც ავრცელებს.



*გულსაბნევების მოდას "ბანანა რეფაბლიქიც" აჰყვა. ეს პოპულარულ მაღაზიათა ქსელის ფავორიტი ექსპონატია.*

პრადამ კი ამ მიმართულებით მუშაობა 2002 წლიდან დაიწყო. მაშინ მიუჩამ საფირონის მსგავსი ლურჯი ქვებით თეთრი კაბები მოქარგა და დიდი რეზონანსიც გამოიწვია. მას შემდეგ მოყოლებული, რამდენიმე სეზონის განმავლობაში, "პრადას" კოლექციები ტანსაცმლის დიდი ზომის სამშვენისებით ივსებოდა. თუნდაც 2004 წლის საგაზფხულო "პრადა" გავიხსენოთ - ჟაკეტებზე აბრეშუმისგან და წვრილ-წვრილი მძივებისგან დამზადებული გულსაბნევები იყო დამაგრებული და ყველას ყურადღებას იპყრობდა. ამ კოლექციამ იმდენად დიდი გამოხმაურება გამოიწვია მოდის მთელ ინდუსტრიაში, რომ უკვე 2004 წლის შემოდგომის კოლექციები დიზაინერებმა გულსაბნევებით აავსეს. "პერი ელისის" მოდის სახლის წარმომადგენლებმა ინტერნეტ საიტებზე ივაჭრეს, სხვადასხვა ზომისა და ფერის გულსაბნევები შეიძინეს და აქსესუარებად გამოიყენეს. პიტერ სომმა ისინი ქურქებზე დაკიდა, დონატელა ვერსაჩემ - ჟაკეტებზე, ნოვატორი პრადა კი უფრო შორს წავიდა და სამშვენისებით სვიტერები, პალტოები, ფეხსაცმელები და ხელჩანთებიც კი მორთო.

ეს რაც შეეხება ელიტარულ მოდის სახლებს. მასობრივი წარმოების კომპანიებიდან კი პირველობა "გეფმა" ითავა და გაყიდვაში სხვადასხვა ფერის ქსოვილისგან შეკერილი გულსაბნევები გაიტანა. მერე "ბანანა რეფაბლიქიც" ჩაერთო საქმეში და ფერადი სარჭებით გაავსო მაღაზიები. ამის შემდეგ კი ინტერნეტი, კერძოდ კი, eBay ათასობით გულსაბნევით იყო სავსე.

ასე რომ, შემოდგომის პირველი თვისთვის გულსაბნევებით მთელი მოდის ინდუსტრია იყო მორთული. შემდეგ, თანდათან, აჟიოტაჟმა იკლო, გულსაბნევების მოდა, თითქოს, ჩაცხრა კიდეც, მაგრამ მაინც არ მომკვდარა. პირიქით, "მოდნიცების" უფრო გააზრებულ, რაციონალურად გაკეთებულ არჩევანში გადაიზარდა. ამიტომაც, ვარაუდობენ, რომ მოდას აყოლილი ქალბატონებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საშობაო საჩუქარი სწორედ გულსაბნევი იქნება.

თუმცა, მოდა ხომ ჩაკეტილ საზღვრებს არ ცნობს. საკმარისია, თემის გარშემო ხუთიოდე წუთით მაინც ჩავფიქრდეთ, რომ დავასკვნით - გულსაბნევების ნოსტალგია და მათი წინ წამოწევა, ზოგადად, ტანსაცმლის სამშვენისების მონატრებას და მოდაში დაბრუნებას გულისხმობს. ასე რომ, 2004 წლის შემოდგომა და 2005 წლის ზამთარი კაბების აქსესუარების დროა. "მარნი", "ლანვინი", "პრადაც" გულსაბნევებთან ერთად ყელსაბამებსაც დიდი წარმატებით ჰყიდიან. თუ თავადაც შეივლით eBay-ზე ამ ტენდენციაში თავად დარწმუნდებით, იქ 3 ათასამდე ასეთი ნივთი დაგიხვდებათ. შესაბამისად, მერე იქნებ ბებიის სკივრის გახსნაზეც იზრუნოთ - ვინ იცის, იქ რამდენი ძველი და ორიგინალური სამშვენისი ინახება და ელის გაცოცხლებას, ახალ დროს, არადა, ეს დრო უკვე მოვიდა.

### ათეულები

**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| The Incredibles | ბრედ ბერდი | კრეიგ ნელსონი, ჰოლი ჰანტერი, სემიუელ ლ. ჯექსონი | 70,467,623 | 70,467,623 |
| "რეი" | ტეილორ ჰექფორდი | ჯეიმი ფოქსი, რეჯინა კინგი | 13,644,990 | 39,641,775 |
| "ბოროტი ძალა" | ტაკაში შიმიძუ | სარა მიშელ გელარი, ჯეისონ ბერი, ბილ პულმანი | 12,675,393 | 66,755,663 |
| The Saw | ჯეიმს ვენი | ტობინ ბელი, კერი ელვესი | 11,293,169 | 35,394,411 |
| "ალფი" | ჩარლზ შაიერი | ჯუდ ლოუ, მარისა ტომეი, სიუზან სარანდონი | 6,218,335 | 6,218,335 |
| "ვიცეკვოთ?" | პიტერ ჩელსომი | რიჩარდ გირი, ჯენიფერ ლოპესი, სიუზან სარანდონი | 3,663,514 | 42,144,287 |
| "ზვიგენის ზღაპარი" | ბიბო ბერჯერონი, ვიკი ჯენსონი | უილ სმითი, რობერტ დე ნირო, რენე ზელვეგერი, ანჯელინა ჯოლი, ჯეკ ბლეკი, მარტინ სკორსეზე | 4,888,382 | 154,031,467 |
| "პარასკევი ღამის შუქები" | პიტერ ბერგი | ბილი ბობ თორნტონი, ტიმ მაკგროუ | 2,975,065 | 57,256,950 |
| "49-ე კიბე" | ჯეი რასელი | ხოაკინ ფენიქსი, ჯონ ტრავოლტა, ჯასინტა ბარეტი | 2,670,778 | 65,977,816 |
| [illegible] | ტრეი პარკერი, მეტ სტოუნი | ტრეი პარკერი, [illegible], მეტ სტოუნი | 1,863,371 | 30,464,862 |



**თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**





| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| U2 | Vertigo | 1 | 6 კვირა |
| "ჯიმი ით უორლდი" | Pain | 3 | 10 კვირა |
| "გრინ დეი" | American Idiot | 2 | 13 კვირა |
| "პაპა როუჩი" | Getting Away With Murder | 4 | 16 კვირა |
| Chevelle | Vitamin R (Leading Us Along) | 5 | 13 კვირა |
| "ბრეიქინგ ბენჯამინი" | So Cold | 7 | 25 კვირა |
| "ქროსფეიდი" | Cold | 9 | 19 კვირა |
| "ველვეტ რევოლვერი" | Fall To Pieces | 6 | 15 კვირა |
| "ლინკინ პარკი" | Breaking The Habit | 8 | 21 კვირა |
| "სამ 41" | We're All To Blame | 11 | 9 კვირა |



ფეხბურთი

# წინასადანიო ამბები

მიხეილ აბაიშვილი

17 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, "ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოსა და დანიის ეროვნული ჰიმნები აჟღერდება. კარგა ხანია, თბილისში ასეთი მაღალი კლასისა და ავტორიტეტის მქონე ეროვნული ნაკრებისთვის არ გვიმასპინძლია. დანიელები 14 ნოემბერს ჩამოვლენ. ალენ ჟირესიც ამ დღეს მოუყრის თავს საქართველოს ნაკრებს და გასამხედროებულ საწვრთნელ შეკრებაზე გადავა. დიახ, ეროვნულ ნაკრებში გამოცხადდება "მზადყოფნა ნომერი 1", რაც სულაც არ არის გასაკვირი. დანიასთან გამარჯვებას ძალიან დიდი ფასი აქვს. თანაც, არა მხოლოდ სატურნირო, არამედ, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუშინ დაიწყო პრესკონფერენციების 4-დღიანი ციკლი, რომელიც 17 ნოემბრის მატჩს ეძღვნება. დასაწყისში მწვრთნელმა გამოაცხადა იმ ოცი ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც გამოძახებული არიან საწვრთნელ შეკრებაზე.

**მეკარეები - გიორგი ლომაია ("ხიმკი", რუსეთი) და აკაკი დევაძე ("თბილისი");**

**დაცვა - კახა მჟავანაძე ("ანჟი", რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი ("რეინჯერსი", შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი ("დინამო", რუსეთი), კახა კალაძე ("მილანი", იტალია), ლაშა სალუქვაძე ("დინამო", თბილისი), გივი კვარაცხელია ("თბილისი"), გიორგი შაშიაშვილი ("დინამო", თბილისი);**

**ნახევარდაცვა - ლევან კობიაშვილი ("შალკე", გერმანია), ლევან ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი), მამია ჯიქია ("პლოტსკი", პოლონეთი), ლადო ბურდული ("ლოკომოტივი", თბილისი), ალექსანდრე გოგობერიშვილი ("ლოკომოტივი", თბილისი), დავით კვირკველია ("დინამო", თბილისი),**

**თავდასხმა - გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი", უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), შოთა არველაძე ("რეინჯერსი", შოტლანდია), ლაშა ჯაკობია ("მეტალისტი", უკრაინა).**

"დანიის ნაკრები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. შეიძლება ვინმემ ეს მოსაზრება არ გაიზიაროს, ამიტომ, ვიტყვი, რომ პირადად მე ასე ვფიქრობ. შესაბამისად, ჩვენს შესარჩევ ქვეჯგუფში დანია უმთავრეს ფავორიტად მიმაჩნია. ეს გუნდი უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. დანიელთა უმთავრესი ღირსება გამართული ტაქტიკა და კოლექტიური თამაშის უმაღლესი კულტურაა. აი, ასეთ მეტოქეს ვუპირისპირდებით 17 ნოემბერს", - კომპლიმენტები არ დაიშურა ჟირესმა.

ასეთი შესავლის მიუხედავად, მას მიაჩნია, რომ საქართველოს ნაკრები უკვე მომწიფდა იმისთვის, რათა თუნდაც ასეთი დონის ნაკრებთან, მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

"როდესაც საქართველოში სამუშაოდ მომიწვიეს, ამიხსნეს, რომ გუნდი პრაქტიკულად თავიდან იყო შესაქმნელი. შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ისიც თქვეს, რომ არ არსებობს ბირთვი, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება, რომ ნაკრებში ეროვნული სულისკვეთება დაბალ დონეზეა. დღეს, ალბათ, თქვენთვისაც აშკარაა ის პროგრესი, რომელსაც საქართველოს ნაკრები თამაშიდან თამაშამდე განიცდის. ისიც შემიძლია ვთქვა, რომ არა ცალკეულ ფეხბურთელებში, არამედ მთლიანად საქართველოს ნაკრებში ძალზე ამაღლდა ეროვნული თვითშეგნება. ყველა ფეხბურთელი დიდი სიამოვნებით და სიამაყით იღებს მოწვევას ნაკრებში და მოედანზე მაქსიმუმს აკეთებს. უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრები გუნდია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მართალია, დიდ გუნდამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, მაგრამ ის კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. უკვე გვაქვს საკუთარი სტილი და ტაქტიკა. კოლექტიური თამაშის თვალსაზრისითაც საგრძნობი წინსვლა გვაქვს. ასე რომ, დანიასთან, რომელიც 17 ნოემბრის მატჩზე ფავორიტად ნამდვილად არ მიიჩნევა, მხოლოდ 3 ქულისთვის ვიბრძოლებთ", - არც საკუთარი გუნდის ქება დაზარებია ჟირესს.







გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ალენ ჟირესი მიიჩნევს, - საქართველოს ნაკრები მომწიფდა იმისთვის, რომ დანიის დარ გუნდებს მოგებაზე ეთამაშოს.*

დანიის ნაკრები თბილისში სერიოზული საკადრო პრობლემებით ჩამოდის. მიზეზთა გამო მორტენ ოლსენს (რომელიც, სხვათა შორის, ხუთი წლის წინ იმ "აიაქსს" წვრთნიდა, რომელშიც შოთა არველაძე თამაშობდა) 7 ფეხბურთელი დააკლდება.

"შვიდი ფეხბურთელის რა მოგახსენოთ, თუმცა, ჰელვეგის, გრონკიაერის და ლორენსენის არყოფნა დანიელთათვის სერიოზული დანაკლისია. თუმცა, დანია, პირველ რიგში, ის კოლექტივია, რომლის შესაძლებლობებზეც ცალკეული ფეხბურთელის, გნებავთ, ფეხბურთელების გამოკლება დიდ გავლენას ვერ ახდენს. ისინი არ იქნებიან, სამაგიეროდ, ოლსენს ეყოლება დალ ტომასონი, ლოვენკრანსი, რომედაალი და სხვები. ესენი არიან უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ, ინდივიდუალურად გადაწყვიტონ მატჩის ბედი. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, ტრავმირებულ დანიელთა გამო თავსატკივარი საგრძნობლად მოგვაკლდაო, არ იქნება მართალი", - ნაკრების თავკაცის ამ ფრთხილ სიტყვებში მაინც იგრძნობოდა დანიელთა დანაკლისით გამოწვეული სიხარული.

ჟირესმა საქართველოს ნაკრების ტაქტიკურ მონახაზზე დეტალური საუბრისგან თავი შეიკავა.

"გასაგები მიზეზების გამო წინასწარ ტაქტიკაზე არ ვისაუბრებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უკვე გვაქვს გენერალური ტაქტიკა, რომლის ძირფესვიანად შეცვლას არ ვაპირებ. იქნება მცირე კორექტივები, თუმცა, ამას თამაშზე ნახავთ. რაც შეეხება თავდასხმას, ისევ ორი ფორვარდით ვაპირებ თამაშს", - ბანქოს გახსნას არ აპირებს ჟირესი და, ვფიქრობ, ასეთი კონსპირაცია ამ შემთხვევაში გამართლებულია.

# "უბრალოდ, ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვყავს"

ინტერვიუ ლევან კობიაშვილის მწვრთნელთან

*მას შემდეგ, რაც რალფ რანგნიკი გელზენკირხენის "შალკეს" ჩაუდგა სათავეში, გუნდი საოცარ აღმაფრენას განიცდის. ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით "შალკემ" აქამდე ნათამაშები ექვსივე მატჩი მოიგო და "ვოლფსბურგთან" ერთად ბუნდესლიგის ცხრილის სათავეშიც მოექცა. საინტერესოა ისიც, რომ რანგნიკის ხელმძღვანელობით "შალკეს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი კიდევ უფრო ეფექტურად ათამაშდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს რალფ რანგნიკთან, რომელიც მან ჟურნალ "კიკერს" მისცა.*

**- ჰერ რანგნიკ, თქვენი ხელმძღვანელობით "შალკე" ბუნდესლიგაში დიდი წარმატებით ასპარეზობს. ზედიზედ ექვსი მოგება - რით შეიძლება ამის ახსნა?**

- უბრალოდ, ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვყავს. და ეს ფეხბურთელები ადგანან გზას, რომელიც მათ, მართლაც, კარგ გუნდად აქცევს. როდესაც გულშემატკივრები, ფეხბურთელები და კლუბი ერთმანეთის შემადგენელი ნაწილები გახდებიან, ჩვენ შევძლებთ, რომ ბუნდესლიგაში ფურორი მოვახდინოთ. გადამწყვეტი როლი გუნდის ხარისხს ენიჭება. ამის წყალობით ურთულესი მატჩების მოგებაც შეიძლება. ასევე მნიშვნელოვანია რწმენა, წურვილი და გამარჯვების წყურვილი, რომლებიც ამ გუნდს აქვს. სწორედ ამიტომ მოვიგეთ ჰამბურგშიც.

**- იმისთვის, რომ ბუნდესლიგის ლიდერები გამხდარიყავით, მხოლოდ ერთი გოლი დაგაკლდათ. ალბათ, უკეთესიც არის, რომ ცხრილის სათავეში არ ხართ...**

- ეს არ არის მნიშვნელოვანი. ცხრილს ახლა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს. მართალია, ჰამბურგში მესამე გოლის გატანის შანსი გვქონდა, მაგრამ იმითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ ორი გოლის გატანა მაინც მოვახერხეთ. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ფეხბურთელებს ამ თამაშის შემობრუნების დაუოკებელი სურვილი ჰქონდათ. არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა ანგარიშის გათანაბრებით, მათ კვლავინდებურად განაგრძეს შეტევები. მაგრამ, გარკვეულ მომენტებში, ჰამბურგის წინააღმდეგ მატჩის მსგავს შეხვედრებში უფრო მშვიდად თამაში გვმართებს.

**- რამდენად ძლიერია ახლანდელი "შალკე"?**

- ახლა ჩვენ იმდენად ძლიერები ვართ, რამდენადაც გუნდს აქვს იმის რწმენა და თავდაჯერებულობა, რომ ნებისმიერი მატჩის მოგება შეუძლია. მაგრამ ჩვენს მიერ გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდება 18:16-ზეა, რაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ნიურნბერგში ანგარიშით 2:0 გამარჯვებას თუ არ ჩავთვლით, ყველა მატჩი მხოლოდ ერთი ბურთის უპირატესობით მოვიგეთ. ესე იგი, საგრძნობი უპირატესობით ვერ ვიმარჯვებთ. მიუხედავად ამისა, გუნდი ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს. თუმცა, თავდასხმასა და დაცვას შორის ბალანსის მისაღწევად კიდევ გვმართებს მუშაობა.

**- ზედიზედ ექვსი გამარჯვებით გუნდის რეკორდი დაამყარეთ. მანამდე "შალკე" ცხრილის ფსკერზე იყო. რა შეცვალეთ?**

- თავიდანვე ვთქვი, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს. როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე ამ გუნდში მყოფი, წარმატებების მისაღწევად შემართული პიროვნებების თვალსაზრისით. ახლა ვხედავ, რომ ეს მოსაზრება მართალი ყოფილა. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია იქამდე, როცა გასაუმჯობესებელი აღარაფერი გვექნება. ესე გი, უკეთაც შევძლებთ თამაშს.

**- შესაძლებელია თუ არა, რომ ამ მოულოდნელმა წარმატებამ ზოგიერთებს ტვინი აურიოს?**

- ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვებები სწყურიათ. ბევრ მათგანს არც ისე ბევრი ტიტული აქვს მოგებული. ამიტომ ფეხბურთელები არც ახლა მოდუნდებიან.

**- "შალკემ" მძიმე წლები მოიტოვა უკან. უწინასწარმეტყველებდით თუ არა ამ გუნდს ასეთ წარმატებას, სანამ მათი მწვრთნელი გახდებოდით?**

- გულწრფელად რომ გითხრათ, "შალკეთი" მხოლოდ მაშინ დავინტერესდი, როდესაც გავიგე, რომ კლუბმა მწვრთნელი გაათავისუფლა. სწორედ ამის შემდეგ ვკითხე ჩემს თავს, თუ რა პერსპექტივა ჰქონდა ამ გუნდს. დავინახე დიდი პოტენციალი, ჩინებული სტადიონი, კარგი კადრი, შესანიშნავი პიროვნებები. ვიფიქრე, რომ "შალკეს" კარგად შევეწყობოდი. მიხარია, რომ ეს ყველაფერი ახდა.

**- ეს საუკეთესო გუნდია, რომელიც თქვენ ოდესმე გაგიწვრთნიათ?**

- თუ ყველაფერს ერთად ავიღებთ, გუნდის ხარისხს და მის გარემოცვას, მაშინ ეს, მართლაც, უდიდესი გამოწვევაა ჩემს კარიერაში. ჩემი იქ მოღვაწეობისას "ულმი" უფრო საკულტო გუნდი იყო, დიდი სიურპრიზი, ისევე როგორც ახლა "მაინცი". "ჰანოვერიც" ასე იყო. მაშინ ჩვენ 40000 მაყურებლის წინაშე ვეთამაშებოდით "ბაბელსბერგს" და "შვაინფურტს". "შტუტგარტში" ბევრი გაურკვევლობა იყო, ჩამოუყალიბებელი იყო არა მარტო სტადიონი, არამედ კლუბის ხელმძღვანელობა, გარემოცვა, თავად გუნდი. "შალკეში" კი პირველივე დღიდან უაშუალოდ ფეხბურთელებთან მუშაობის საშუალება მომეცა.

**- დროებითმა მწვრთნელმა ედი ახტენბერგმა გუნდში გარკვეული წესრიგი დაამყარა, რომელიც შემდეგ თქვენ გადაიბარეთ. რამდენად კარგად ისარგებლეთ მის მიერ გაწეული სამუშაოთი?**

- ედის გამოცდილების გამოყენება ძალიან სასარგებლო იყო. მის მოსაზრებებს დიდ პატივს ვცემ. ისევე, როგორც ოლივერ რეკი, ის დიდი ხანია ამ გუნდში მოღვაწეობს. მათთან, ისევე როგორც გუნდის ხელმძღვანელობასთან, ბევრი მისაუბრია. წმინდა საფეხბურთო საკითხებში ჩვენ ყოველთვის თანამოაზრეები ვიყავით.

**- გასულ კვირებში ბრაზილიელი ლინკოლნი ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორ ახსნიდით მის ასეთ წარმატებულ თამაშს?**

- ჯადოსნური ელექსირი მისთვის ნამდვილად არ მიგვიცია. ფიზიკურად ჩინებულ ფორმაშია. დიდი დატვირთვების მიუხედავად, შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაშიც უსწრაფეს ტემპში თამაშობს. და რაც ყველაზე საინტერესოა: ყოველი მატჩის წინ ლინკოლნი გვეკითხება, მეტოქის თამაშების ვიდეოჩანაწერების მიღების უფლება თუ აქვს. ჩანაწერებს უყურებს, აკვირდება, შემდეგ კი თავის აზრს გვეუბნება. ამას დიდ პროფესიონალიზმად ვთვლი.



*რალფ რანგნიკი: "ახლა ჩვენ იმდენად ძლიერები ვართ, რამდენადაც გუნდს აქვს იმის რწმენა და თავდაჯერებულობა, რომ ნებისმიერი მატჩის მოგება შეუძლია".*

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გირჩევთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



ფეხბურთი

# რისი სწამს რაიკაარდს

ბევრი ამბობს, რომ არაფერს შეუძლია შეცვალოს ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობა. თუმცა, კატალონიური "ბარსელონას" ჰოლანდიელ მწვრთნელს ფრანკ რაიკაარდს სავსებით აკმაყოფილებს მისი ამჟამინდელი როლი. ჰოლანდიის ნაკრებში ოთხი წლის მუშაობის შემდეგ, დაივიწყა რა წარუმატებელი მოღვაწეობა როტერდამის "სპარტაში", რაიკაარდი სათავეში ჩაუდგა კატალონიურ "ბარსელონას", რომელიც ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატს ლიდერობს.

კატალონიელებმა შესანიშნავად ითამაშეს უეფას ჩემპიონთა ლიგაში. მეოთხე ტურში "ნოუ-კამპზე" "მილანის" დამარცხებით გუნდმა დაამტკიცა, რომ არა მარტო სანახაობრივად, არამედ ეფექტურადაც თამაშობს. "ეს იყო შემტევი ფეხბურთის გამარჯვება პრაგმატულზე", - განაცხადა ფრანკ რაიკაარდმა.

ბევრისთვის სიურპრიზი იყო, რომ 2003 წელს სწორედ რაიკაარდმა შეცვალა "ბარსელონას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე რადომირ ანტიჩი. თავიდან ისე ჩანდა, რომ "ბარსას" ბოსები არჩევანში შეცდნენ. გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის შუაწელში დამკვიდრდა. "მალაგასთან" - 1:5 წააგო და ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად მადრიდის "რეალს" საშუალება მისცა, "ნოუ-კამპზე" მოეგო. "ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვყავდა, მაგრამ ყოველი მათგანი თავისთვის თამაშობდა, - ამბობს რაიკაარდი, - მაშინ ჩვენ გუნდი ჯერ კიდევ არ გვყავდა".

2004 წლის დასაწყისში ფორტუნამ თანდათან გაუღიმა კატალონიელებს და შედეგად "ბარსა" სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე დამკვიდრდა. სეზონის დაწყების წინ კატალონიელებმა რამდენიმე გახმაურებული ტრანსფერი განახორციელეს. "მონაკოსგან" ლუდოვიკ ჟიული შეიძინეს, "მალიორკადან" კატალონიაში სამუელ ეტო`ო გადაბარგდა, ხოლო შოტლანდიური "სელტიკისგან" გუნდმა შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი შეიძინა.

"შარშანდელ სეზონში ფეხბურთელებმა მყარი საფუძველი შექმნეს, განსაკუთრებით, სეზონის მეორე ნაწილში, როცა კლუბმა სერიოზული პრობლემების დიდი ნაწილი გადაჭრა, - განაცხადა რაიკაარდმა, - ახალი სეზონის წინ კი მე მენეჯერთან და კლუბის ტექნიკურ დირექტორთან ჩიკი ბეგირისტაინთან ერთად დავგეგმეთ იმ ფეხბურთელთა შეძენის საკითხი, რომლებსაც მყისვე შეეძლოთ გუნდის გაძლიერება".



"რონალდინიო ჩვენი გუნდის საზომია," - ამბობს მწვრთნელი, - "თუ ის კმაყოფილია, ეს მთელ გუნდში შესამჩნევი ხდება. მე მას მივიჩნევ კლუბის საკვანძო ფეხბურთელად და კეთილგონიერ ადამიანად".

"მილანთან" მატჩის შემდეგ რაიკაარდმა თქვა, რომ არათუ დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებას სატრანსფერო საკითხებში, არამედ იმასაც კი ათანხმებს, ვინ გამოუშვას შეცვლაზე. "მე მსურს, კოლექტივში ვიმუშაო. ერთი თავი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ორი უკეთესია, - განმარტა მწვრთნელმა. - თქვენ შეიძლება ფეხბურთზე საკუთარი შეხედულება გქონდეთ, მაგრამ როცა გუნდში მოდიხართ, მნიშვნელოვანია გაიცნოთ ის ადამიანები, რომლებთანაც მუშაობა მოგიწევთ. აგრეთვე შეისწავლოთ კლუბის ფილოსოფია".

"იმ ოსტატებით, რომლებიც ჩემს განკარგულებაში არიან, მე შემიძლია "ბარსელონას" თამაშის დეტალები შევცვალო, მაგრამ კლუბის ფანებს სურთ, "ბარსელონამ" გაიმარჯვოს და, ამავე დროს, ლამაზი თამაში აჩვენოს. ეს საქმიანობას მირთულებს, თუმცა, ჩემთვისაც მისაღებია. მეც ხომ შემტევი ფეხბურთის მომხრე ვარ", - მიიჩნევს რაიკაარდი.

ფრანკ რაიკაარდისთვის არ არსებობს ცნება "ვარსკვლავი". "განსაკუთრებული არასოდეს მეგონა თავი. მაშინაც კი, როცა "აიაქსისა" და "მილანის" ღირსებას ვიცავდი", - ერთხელ განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა. თუმცა, ისიც კი იძულებული იყო ეღიარებინა ბრაზილიელი რონალდინიოს განუსაზღვრელი ნიჭი, რომელიც დეკემბერში ფიფას ვერსიით შეიძლება სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელონ.

"რონალდინიო ჩვენი გუნდის საზომია, - ამბობს მწვრთნელი, - თუ ის კმაყოფილია, ეს მთელ გუნდში შესამჩნევი ხდება. მე მას მივიჩნევ კლუბის საკვანძო ფეხბურთელად და კეთილგონიერ ადამიანად. რონალდინიოს მთელ მსოფლიოში იცნობენ, რაც მნიშვნელოვნად ურთულებს მას ცხოვრებას. ის შესანიშნავი ადამიანია, რომელიც პარტნიორებს ეხმარება და ფსიქოლოგიურ დაძაბულობასაც ღირსეულად უმკლავდება. ის უაღრესად ნიჭიერია და თავის ნიჭს საჭირო ფარგლებში აქცევს".

# კოლოსკოვს ფიფა და უეფა გამოესარჩლნენ

პაატა თოთაძე

ვიაჩესლავ კოლოსკოვის წასვლა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობიდან რუსული ფეხბურთის ერთი დიდი ეპოქის დასასრულს ნიშნავს. გაბედული უნდა იყო, რომ აღიარო - ეს იყო სპორტის ნომერ პირველი სახეობის სტაგნაციის ერა. მაგრამ იყო კი ამის მიზეზი კოლოსკოვი?

უახლოეს თვეებში რუსული ფეხბურთი ბოლო წლებში თავისი უცვლელი მეთაურის გარეშე დარჩება - ვიაჩესლავ კოლოსკოვმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ გაათავისუფლებს პრეზიდენტის სავარძელს. ეს პოსტი, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იწოდებოდა, კოლოსკოვმა 1979 წელს ჩაიბარა. იქიდან მოყოლებული, მას არაერთი მძიმე მდგომარეობიდან უპოვია გამოსავალი, მაგრამ რუსეთის ნაკრების ცოტა ხნის წინანდელი მარცხი პორტუგალიასთან საბედისწერო გამოდგა მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კოლოსკოვის ერა დასრულდა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთში დიდი გამარჯვებების ერა დაიწყება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსულ ფეხბურთში არა მხოლოდ მმართველ წრეებში მოღვაწეთა კვალიფიკაციის პრობლემებია.

რუსულ ფეხბურთს რომ დიდი ხანია უჭირს, აშკარაა. მაგრამ არის კი ამაში დამნაშავე მხოლოდ კოლოსკოვი? ვიაჩესლავ ივანოვიჩი არც ახალგაზრდა ფეხბურთელების ძებნითაა დაკავებული, არც ნაკრების შემადგენლობის შერჩევით და არც გუნდის სათამაშო სტრატეგიის შემუშავებით. ის დაკავებულია ნაკრების მწვრთნელის დანიშვნით. სწორედ მისი მოძებნილი და დანიშნულია ნაკრების თავკაცად გეორგი იარცევი, კაცი, რომელმაც წერტილი დაუსვა მისი, როგორც კავშირის პრეზიდენტის მოღვაწეობას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ არ ჩანდა ძალა, რომელიც კოლოსკოვს სავარძელს დაათმობინებდა, მაგრამ... მას, უბრალოდ, ურჩიეს, წასულიყო. და ეს გააკეთა არა ვინმე ჩინოვნიკმა, არამედ ქვეყნის პირველმა პირმა. ვიაჩესლავ ფეტისოვმა, უბრალოდ, გადასცა მას პრეზიდენტის რჩევა და კოლოსკოვიც იძულებული გახდა, დათანხმებოდა. კოლოსკოვის განცხადება წასვლის თაობაზე რუსეთის საფებურთო კავშირის აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. მისი წევრები კი, როგორც ამბობენ, გაფანტული არიან და მათ შესაკრებად, სულ მცირე, ერთი თვეა საჭირო.

ამასობაში რუსეთის საფეხბურთო კავშირში უეფადან მივიდა წერილი, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ თუ კოლოსკოვზე მომავალშიც გაგრძელდება ზეწოლა მთავრობის მხრიდან, რუსეთს, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას. ეს პრობლემები რუსული კლუბებისა და ნაკრების ევროსარბიელიდან მოკვეთას გულისხმობს. უეფას აღმასკომის განცხადება, რომლის წევრიცაა კოლოსკოვი, ტრადიციისამებრ, გამაფრთხილებელი ფორმისაა. სახელმწიფო ჩინოვნიკებს საერთო არაფერი არაფერი აქვთ რუსეთის საფეხბურთო კავშირთან, შესაბამისსად, არც კოლოსკოვთან. საფეხბურთო კანონები კი ამბობენ, რომ ასეთ ხალხს საფეხბურთო საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვთ. ფეტისოვის რჩევა კოლოსკოვისადმი, შემდეგ კი მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი 17 ნოემბრის მატჩის შემდეგ დატოვებს პოსტს, შეუძლებელი იყო, ფიფასა და უეფას რეაგირების გარეშე დარჩენილიყო. ფეხბურთის მმართველ ორგანოებში ვერ გაუგიათ, როგორ შეუძლია "საერთაშორისო ფეხბურთის ტიტანს", მოითმინოს გამოხდომები ვიაჩესლავ ფეტისოვისგან, მართალია, წარსულში ცნობილი ჰოკეისტისგან, მაგრამ ჯერაც ისეთი ჩინოვნიკისგან, რომელსაც თავის თანამდებობაზე ბევრი არაფერი გაუკეთებია და ვერც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

როგორც ვთქვით, კოლოსკოვის გადადგომა აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. იქ კი ვიაჩესლავ ივანოვიჩი დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ასე რომ, შანსი იმისა, რომ აღმასკომმა მისი გადადგომა არ მიიღოს, არსებობს. თუმცა, მცირე, რადგან მთავრობის ზეწოლის ქვეშ აღმასკომის წევრები კოლოკოვის მხარდამჭერებისგან მის მოწინააღმდეგეებად იქცევიან. მერე კი, ბუნებრივია, ვერავინ დაამტკიცებს, რომ მთავრობის მხრიდან რაიმე ზეწოლას ჰქონდა ადგილი. ერთადერთი, ვისი იმედიც კოლოსკოვს უნდა ჰქონდეს, ფიფა და უეფაა. ფეხბურთის მმართველი ორგანოები ადვილად არავის დააჩაგვრინებენ კაცს, რომელიც იქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სწორედ მათ შეუძლიათ მიიღონ მთავრობის ზეწოლად კოლოსკოვის განცხადება გადადგომის თაობაზე და სანქციებითაც დაემუქრონ რუსებს.

მიუხედავად კოლოსკოვის განცხადებისა იმის თაობაზე, რომ მალე დატოვებს პოსტს, როგორც ჩანს, წინ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ამ ბრძოლის შედეგზე იქნება დამოკიდებული, საბოლოოდ გადადგება თუ არა კოლოსკოვი. ჯერჯერობით კი ყველაფერი იქით მიდის, რომ ცოტა ხანში მისი ერა დასრულდება.

# ჯონ ტერი: „ყოველთვის მწამს, რომ შემიძლია გავიტანო"

მას შემდეგ, რაც ლონდონის "ჩელსი" რუსმა მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა შეიძინა, გუნდში რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი გამოჩნდა. თუმცა, დასავლეთ ლონდონში ისეთებმაც მოიყარეს თავი, ვინც გუნდში აბრამოვიჩისა და ყველაფრის მომგები ჟოზე მოურინიოს მისვლამდე იყვნენ.

ისლანდიის ნაკრების ფორვარდი ეიდურ გუდიონსენი არ ჩაიკარგა აბრამოვიჩის მიერ ნაყიდ ძვირად ღირებულ ფეხბურთელებში - დიდიე დროგბასა და მატეა კეჟმანს შორის, ხოლო მცველი ჯონ ტერი, რომლის კარიერაც თავიდან ბოლომდე "ჩელსის" უკავშირდება, კლუბის ყველაზე უფრო სტაბილურ ფეხბურთელად რჩება.

მას შემდე, რაც "ჩელსიმ" მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა "ევერტონი" და სატურნირო ცხრილში პირველობა დაიმკვიდრა, ჯონ ტერიმ კლუბთან ახალი 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდში, სულ ცოტა, 2009 წლამდე დარჩება. დღესდღეობით "ჩელსის" კაპიტანი კლუბის შეუცვლელ ფიგურად გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ლონდონურ კლუბში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, ტერი ძველებურად "ლურჯების" ერთგულია. "მე კლუბთან 14 წლის ასაკიდან ვარ დაკავშირებული და მსურს, მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერა ამ გუნდში გავატარო. ვიმედოვნებ, ეს გამომივა, რადგან მე მიყვარს ეს გუნდი", - განაცხადა ტერიმ.

მოურინიო კი კმაყოფილია, რომ მისი გუნდის დაცვის ცენტრში ტანმაღალი მცველი დგას. მოურინიომ ტერის კაპიტნის სამკლაური ჩააბარა და ამისთვის მან მადლიერების ნიშნად ტერის



"მე არ მახსოვს მიმდინარე სეზონში ტერის მიერ ჩაგდებული მატჩი", - ამბობს ჟოზე მოურინიო.

მიერ გამართული მთელი რიგი შესანიშნავი მატჩები იხილა. "ჟოზე მოვიდა და მე კაპიტნობა ჩამაბარა. მინდორზე კი ყველაფერი შესანიშნავად მიმდინარეობს", - განაგრძობს ტერი.

ტერის საქმე განსაკუთრებით კარგად აქვს ჩემპიონთა ლიგის ტურნირში. დიდიე დროგბასა და გუნდიდან მოულოდნელად დათხოვნილი რუმინელი ადრიან მუტუს არყოფნაში მან ოთხ მატჩში სამი გოლი გაიტანა და მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

"ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგაში გატანილი 9 გოლიდან 6 სტანდარტული სიტუაციის გამოყენებით შეაგდო. ამ დროს კი ტანმაღალი და შეუპოვარი ტერის დახმარება მნიშვნელოვანია. "ყოველთვის მწამს, რომ შემიძლია გავიტანო. წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი ექნებოდა წინ წასვლას? - კითხულობს ტერი. - მე მირჩევნია, საქმე ბოლომდე მივიყვანო და ეს უმნიშვნელოვანესია. გოლის გატანის სურვილის გარეშე მეტოქის საჯარიმო მოედანში ჩასვლას აზრი არა აქვს".

თუმცა, ინგლისის ერთ-ერთი ახალგაზრდა და საუკეთესო ფეხბურთელის რეპუტაცია ტერისთვის გოლის გატანის ალღოს არ მოუტანია. 1998 წლის შემდეგ, როცა ჯანლუკა ვიალის ხელმძღვანელობით ტერის დებიუტი შედგა, ფეხბურთელმა კლუბთან ერთად საგრძნობლად მოუმატა თამაშის ხარისხს.

მოურინიოს წინამორბედის კლაუდიო რანიერის ხელში 2001 წელს ჯონ ტერი "ჩელსის" საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს. მან, მართლაც, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კლუბის წარმატებებში. 2003-2004 წლების სეზონში კი, რომელიც პირველი იყო აბრამოვიჩან ერთად და უკანასკნელი კლაუდიო რანიერის ხელში, ტერი დაეხმარა გუნდს, ინგლისის პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გასულიყო.

"ევერტონთან" შეხვედრაში კი ტერიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მაღალი კლასი. ამ ტანმაღალი მცველის მოტყუება, რომელიც რაღაცით ძველ, კლასიკური სტილის ცენტრალურ მცველს მოგვაგონებს, პრაქტიკულად შეუძლებელია. "მე არ მახსოვს მიმდინარე სეზონში ტერის მიერ ჩაგდებული მატჩი", - ამბობს ჟოზე მოურინიო.

ყველა ტურნირში ოთხი გაშვებული გოლი თავისთავად ხაზს უსვამს გუნდისთვის ტერის მნიშვნელობას.

კალათბურთი

# მაიამის ვაი, ამის!...



შაკილ ო'ნილმა იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერ გაიმარჯვა

სანდრო ნავერიანი

გუშინ, გამთენიისას, გაიმართა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის სამი მატჩი. ყველაზე საინტერესო გამოდგა ჰიუსტონში, "ტოიოტა ცენტრში" გამართული შეხვედრა. ადგილობრივმა "ჰიუსტონ როქეთსმა" "მინესოტა თიმბერვულვზს" უმასპინძლა. ალბათ, გახსოვთ, "ჰიუსტონ როქეთსს" რეგულარული სეზონის დაწყების წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მოვიხსენიებდი, მაგრამ ისეთი თამაშით, როგორსაც ჰიუსტონელები აჩვენებენ, არათუ ჩემპიონობის კანდიდატის სახელს დაკარგავენ, არამედ პლეი-ოფშიც ვერ მოხვდებიან.

"ტოიოტა ცენტრში" გამართულ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია "ჰიუსტონ როქეთსის" ახალწვეულს ტრეისი მაკგრეიდის. რასაკვირველია, მისი არყოფნის გამო ჰიუსტონელთა შეტევებს სიმწვავე აკლდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სწორედ ტიმაკის არყოფნის გამო წააგეს მინესოტელებთან. თავის მხრივ, "მინესოტა თიმბერვულვზმა" შესანიშნავად ითამაშა. მინეაპოლისელი მგლები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და ჰიუსტონელებს არ აძლევდნენ კარგი თამაშის საშუალებას.

პირველი მეთხედი მინესოტელი მგლების გამარჯვებით 36:25 დასრულდა. 11 ქულით წინ გასვლამ "თიმბერვულვზს" თავდაჯერება შემატა და მეორე და მესამე მეოთხედებში ისინი ნაკლებად აქტიურები იყვნენ. მეორე და მესამე მეოთხედები ჰიუსტონელებმა, შესაბამისად, 22:16 და 21:19 მოიგეს, თუმცა, ეს არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინათ. უკანასკნელ მეოთხედში "მინესოტა თიმბერვულვზმა" ჰიუსტონელებს 25:23 მოუგო და საბოლოო ანგარიში 96:91 დააფიქსირა.

"მინესოტა თიმბერვულვზის" ლიდერი, ნამდვილი მგელი, კევინ გარნეტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. მან ამ მატჩში კიდევ ერთი დაბლ-დაბლი გააკეთა, კერძოდ, 20 ქულა და 17 მოხსნა. ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან კევინ გარნეტმა ხუთი დაბლ-დაბლი გააკეთა. მოგროვებულ ქულებთან და მოხსნებთან ერთად გარნეტის ანგარიშზე ცხრა შედეგიანი გადაცემაცაა.

ალბათ, დამერწმუნებით, რომ ეს კალათბურთელი, მართლაც, ფენომენია. რაც შეეხება დანარჩენ კალათბურთელებს, გარნეტის შემდეგ ყველაზე შედეგიანი იყო სემ კასელი, რომელმაც 18 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ლატრელ სპრიუელის ანგარიშზე 9 ქულა და 2 შედეგიანი გადაცემაა. უოლი შერბიაკმა, მაიკელ ოლოვაკანდიმ და ედი გრიფინმა, შესაბამისად, 13, 12 და 11 ქულა მოუტანეს მინეაპოლისურ კლუბს.

"ჰიუსტონ როქეთსის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ჩინელი იაო მინგი, რომელმაც 25 ქულა და 5 მოხსნა შესძინა საკუთარ გუნდს. კარგი შეხვედრა ჩაატარა მორის ტეილორმა, რომელმაც 19 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. ჯიმ ჯექსონმა და ბოსტჯან ნაჰბარმა, შესაბამისად, 13 და 11 ქულის მოგროვება შეძლეს. ტაირონ ლიუმ, ჯუვეინ ჰოვარდმა და რაიან ბოუენმა გუნდს 4-4 ქულა შესძინეს. რაც შეეხება დიკემბე მუტომბოს, მან სულ რაღაც სამი წუთი დაყო მოედანზე. მუტომბოს საუკეთესო წლები რომ ისტორიას ჩაბარდა, ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს უდიდესი კალათბურთელი ასე გამოუსადეგარი გახდებოდა ჰიუსტონური კლუბისთვის.

მეორე მატჩი გაიმართა მაიამიში "ემერიქან ეარლაინზ არენაზე", სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადგილობრივი "მაიამი ჰიტი" და "დალას მავერიქსი". ეს გუნდები წლევანდელ სეზონში ყველაზე კარგ თამაშს აჩვენებენ. "მაიამი ჰიტის" თამაშით დაინტერესება შაკილ ო`ნილის ამ კლუბში გადასვლამ და დუეინ უედის საოცარმა შედეგიანობამ გამოიწვია, ხოლო "დალას მავერიქსისა" -დირკ ნოვიცკის საოცარმა შედეგიანობამ. არც გუშინდელი მატჩი ყოფილა გამონაკლისი. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ დირკ ნოვიცკიმ დალასურ კლუბს 41 ქულა შესძინა, ხოლო შეხვედრა "დალას მავერიქსმა" 20 ქულის სხვაობით - 113:93 მოიგო. ამრიგად, "მაიამი ჰიტმა" წლევანდელ სეზონში პირველი მარცხი იწვნია. მაიამელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო შაკილ ო`ნილი, რომელმაც 22 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. დუეინ უეიდმა, რომელიც სეზონის დაწყებიდან თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო და ლიგაში, შედეგიანობით, მხოლოდ კობი ბრაიანტს ჩამოუვარდებოდა, კონკრეტულ მატჩში 20 ქულა, 8 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. ქეიონ დულინგმა და რაშალ ბატლერმა, შესაბამისად, 14 და 11 ქულა მოაგროვეს. "დალას მავერიქსის" რიგებში კი ყველაზე შედეგიანი, როგორც უკვე მოგახსენეთ, გერმანელი ლეგიონერი დირკ ნოვიცკი გახლდათ. მან 41 ქულა, 10 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მარკუს დენიელსმა 22 ქულა, 5 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა შესძინა მოხეტიალეებს. ჯერი სტექჰაუსმა, ჯეისონ ტერიმ და ჯოშ ჰოვარდმა, შესაბამისად, 12, 10 და 9 ქულა შესძინეს ტეხასურ კლუბს. მატჩის შემდეგ მაიამელებმა ბევრჯერ თქვეს: ვაი, ამის დედა ვატირეო, მაგრამ... მაგრამ ვერაფერს შეცვლიდნენ.

მესამე შეხვედრა გაიმართა "პეპსი ცენტრში", "დენვერ ნაგეთსის" საკალათბურთო სასახლეში. დენვერელმა კალათბურთელებმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერჩემპიონს "დეტროიტ პისტონზს" უმასპინძლეს. ვაი, რომ მასპინძლობა არ სცოდნიათ. კოლორადოელმა კალათბურთელებმა ბეჭდების მბრძანებლები 117:109 დაამარცხეს. იმ 48 წუთის განმავლობაში დენვერელებს გამოსდიოდათ ყველაფერი, რაც უნდოდათ: კარმელო ენტონიმ, შეიძლება ითქვას, დაბომბა დეტროიტელთა ფარი - 34 ქულა გააკეთა. ერლ ბოიკინსმა 32 ქულა შესძინა საკუთარ გუნდს. ანდრე მილერმა და როდნი უაითმა, შესაბამისად, 14 და 13 ქულა მოუტანეს კოლორადოელ ოქროს ზოდებს. რაც შეეხება ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მან რვა წუთი გაატარა მოედანზე, მაგრამ ერთი ჩაჭრის მეტი არაფერი გაუკეთებია. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ გუნდს არ დახმარებია. "დეტროიტ პისტონზის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო რიპ ჰამილტონი, რომელმაც 25 ქულა შესძინა გუნდს. ქულებთან ერთად ჰამილტონმა 5 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნა შეასრულა. ჩონსი ბილაფსმა და ტაიშონ პრინსმა, შესაბამისად, 16 და 13 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. კალოს დელფინომ და ანტონიო მაკდაისმა კი, შესაბამისად 17 და 15 ქულა შესძინეს დეტროიტულ კლუბს.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## პალტოს კალთებიდან გაკეთებული ფრთები

ძველი თბილისის ერთ-ერთ მყუდრო, პატარა, ახლად შეღებილ-რესტავრირებულ მოედანზე რამდენიმე დღის წინ უჩვეულო ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. ყოველგვარი ოფიციოზის, თანამდებობის პირებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა გარეშე (თუმცა სასომხეთის ელჩი კი იყო), ის ხალხი შეიკრიბა, ვისაც მსოფლიო მნიშვნელობის კინორეჟისორის, იშვიათად კოლორიტული, არტისტული ადამიანის - სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება, არაორდინარული პიროვნულობა ესმით, ახსოვთ და აფასებენ. მოედანზე თითოეულ შეკრებილს ფარაჯანოვთან განსაკუთრებული, ინდივიდუალური მოგონება, სითბო, მეგობრობა, სამახსოვროდ ნაჩუქარი თითო-ოროლა ძველებური ნივთი, თავისი გაკეთებული კოლაჟი, ნახატი და მისი გარდაცვალების შემდეგ აუნაზღაურებელი, შეუვსებელი სიცარიელის შეგრძნება აერთიანებთ.

"Другу Коке навсегда. Параджанов". ასეთი წარწერა აქვს კოსტიუმის კოლაჟურ ესკიზს, რომელიც ფარაჯანოვმა მამაჩემს 1986 წელს აჩუქა. ისინი მეგობრობდნენ და მის ეკლექტიკურ, განუმეორებლად კოლორიტულ, დაულაგებელ, მტვრიან, მაგრამ დაუვიწყარ შემოქმედებით სახლში მამაჩემთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ. უბრალო სომეხი ვაჭრიდან დაწყებული მაია პლისეცკაიათი დამთავრებული ამ სახლში ვის არ შეხვდებოდით. ფარაჯანოვთან სტუმრობა თბილისური კოლორიტის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი იყო. ხისრიკულებიანი აივნის კედელზე, "კავკასიური ცარცის წრის" ნახვის შემდეგ ძველი, ფარდაგების ნაფლეთებიდან გაკეთებული ფიგურა მახსოვს. ნამდვილი პოპ-არტი იყო. მოყანყალებულ კიბეებზე, აივნის მოაჯირებზე და ეზოს ცენტრში შემორჩენილ ჭასთან ხალიჩები, ქირმანშალები იყო გადმოკიდებული. ოთახში, კიტჩის ზღვარზე ინტერიერში კი, სადაც უძვირფასესი, უნიკალური ნივთების პარალელურად, რას არ ნახავდით - ძველებურ ქუდებს, ბუმბულებს, ხელოვნურ ყვავილებს, ძველ, გაყვითლებულ საფოსტო ბარათებს, ძველი თბილისის მაღაზიების დაჟანგულ აბრებს, აბრეშუმის ნაქარგებს, მარაოებს, ვენეციური "კრუჟავოს" ნაკუწებს, თოჯინებს და შუაში სერგო ფარაჯანოვისა და ლილა ბრიკის ფოტოს. ამ სახლში სტუმრად მისული ადამიანი უსაჩუქროდ არასდროს ბრუნდებოდა. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. მისი ნაჩუქარი ორი ძველებური და ძალიან ლამაზი ჩარჩო სახლში დღესაც მიკიდია. ჩარჩოებში მისივე რჩევით გოგი ალექსი-მესხიშვილის, მისი ახალი მეგობრის კოლაჟები მაქვს ჩასმული. "В эти рамки посади Гоги". მეც შევასრულე.



დ. ბაროვსკისთან და კ იგნატოვთან ერთად

ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, სოფიკო ჭიაურელი, რეზო ჩხეიძე, სიმონ ხეჩინაშვილი, სერგო წულაძე, ტიტო კალატოზიშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ბუცა ჯორბენაძე, ელდარ შენგელაია - ეს ის ხალხია, რომელთა სახლის კარი ფარაჯანოვისთვის მუდამ ღია იყო. ვინც მას ყველანაირ გაჭირვებაში გვერდში ედგა. მათ და უამრავი სხვა მისი მეგობრების ცხოვრებაში ფარაჯანოვს საპასუხოდ, სამახსოვროდ ძალიან ბევრი აქვს დატოვებული - ენამახვილი გამონათქვამები, გულწრფელი სიცილი, სერიოზული კამათი, საინტერესო, ინტელექტუალური ხედვა, სპარსული ქირმანშალი, ვენეციური შუშის ლარნაკი, მისივე გაკეთებული ფანტასტიკური ზღაპრის თოჯინა, დიდი ადამიანური სითბო, ფანტაზიის ფეიერვერკი, ენერგია, ხმაური, ხმამაღალი ლაპარაკი, ხალისი, ექსპრომტად მოწყობილი ინსტალაციები და, რაც მთავარია, მისი





გ. ალექსი-მესხიშვილთან ერთად

კინოშედევრები. ახალი, მხოლოდ მისეული ხედვა, ესთეტიკა. "ფარაჯანოვის ესთეტიკა", "ფარაჯანოვის კადრი" - ეს ტერმინები ყველა იმ ადამიანს ესმის, უყვარს, აღაფრთოვანებს, ვინც კინო იცის, ვისაც, უამრავი სირთულის მიუხედავად, ფანაჯანოვის მსგავსად სჯერა, რომ ცხოვრება მშვენიერია.

საბჭოთა რეჟიმისთვისაც კი განსაკუთრებულად რთული, უსამართლო ცხოვრებაგავლილი, მაგრამ არა გატეხილი, არამედ უფრო ამაღლებული დიდი შემოქმედი თბილისზე შეყვარებას, ამ ქალაქის მშობლიურობას, მის ცხოვრებაში განსაკუთრებულობას ყოველთვის ხაზს უსვამდა. თბილისის კოლორიტულობაში უზარმაზარი წვლილი შეჰქონდა. სერგო ფარაჯანოვი ჭეშმარიტი თბილისელი, "თბილისელი სომეხი" იყო, რაც, როგორც თვითონ ამტკიცებდა, ძალიან ბევრს ნიშნავს.

რუსეთიდან, სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები, ცნობილი მსახიობები, კინორეჟისორები. კიევიდან ჩამოსული ფარაჯანოვის ულამაზესი ცოლი (Камея - თვითონ ასე ამბობდა) და შვილი. მისი საყვარელი მსახიობი, მისი მუზა სოფიკო ჭიაურელი. ბევრი თბილი, აღფრთოვანებული სიტყვა, მოგონება. სერგო ფარაჯანოვის ახლო მეგობრები, ნაცნობები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, ფარდაგგადაფარებული, ჯერ გაუხსნელი მონუმენტი და მაინც ისეთი შეგრძნება, თითქოს, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ, ქართველებმა, ფარაჯანოვის თბილისისადმი, ჩვენდამი სიყვარული, ერთგულება სათანადოდ ვერ დავაფასეთ. სამწუხაროდ, ჩვენთვის ასეთი დამახასიათებელი ზერელე დამოკიდებულებით, დაუდევრობით ვუპასუხეთ. და მხოლოდ ახლა, მისი გარდაცვალებიდან ამდენი წლის დაგვიანებით, ახალგაზრდა მოქანდაკე ვაჟა მიქაბერიძემ (პრასტო) მოიფიქრა, მოინდომა და შეძლო ქართული საზოგადოების შეცდომა, დაუნახაობა, გულმავიწყობა ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინა და უდიდესი თვითმყოფადობის რეჟისორის, ჭეშმარიტი თბილისელის, საბჭოთა ეპოქის მსხვერპლის და ყოველივე შემოქმედებითის სიმბოლოს - სერგო ფარაჯანოვის მონუმენტი თბილისის ერთ პატარა, მყუდრო მოედანზე გაეხსნა. მონუმენტზე (რომელიც მე მომეწონა და რომელიც ფარაჯანოვის ცნობილი ფოტოს მიხედვით არის გაკეთებული, სადაც თბილისის ვიწრო ქუჩაზე მას პალტოს კალთები ფრთებივით აქვს აწეული და თითქოს მოფრინავს), მის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებაზე, იქ წარმოთქმულ სიტყვებზე, არაერთ გასაჭირში გამოცდილ ერთგულ მეგობრებზე და სიკვდილის შემდეგ შეძენილ ფსევდოახლობლებზე, რომლებსაც ფარაჯანოვთან ურთიერთობა კარგ ტონად აქვთ მიჩნეული, დარწმუნებული ვარ, სერგო ფარაჯანოვს ყველაზე უფრო ზუსტი, ენამახვილი, ირონიული, მწარე, მაგრამ, ამავე დროს, სიყვარულითა და სითბოთი გამსჭვალული კომენტარები ექნებოდა. საკუთარ მონუმენტს კი ბევრად კოლორიტულად, გროტესკულად, იუმორით, ფერადოვნებით გახსნიდა.

## ქობულაძის უიმედობა

ძალიან სამწუხარო, გულდასაწყვეტი და აუხსნელია, როდესაც ქართული ტელეარხების, მათი ხელმძღვანელების მხრიდან ხელოვნებაში, კულტურაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ ზერელე, უინტერესო, პასიურ დამოკიდებულებას ამჩნევ. ეტყობა, მათთვის მთავარია, საინფორმაციო გადაცემების კულტურული ბლოკი შევსებული იყოს. აი, თუ რითი ან როგორ, ეს კი სულერთია.

ასე იყო ამ კვირაშიც, როდესაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ხატვის კათედრაზე ქართული მხატვრობის კორიფეების გამოფენისადმი სრული იგნორირება იქნა გამოხატული. არც "რუსთავი-2"-მა, არც "იმედმა" ქობულაძის, შარლემანის, შუხაევის, შტენბერგის, გაბაშვილის, ნიჟარაძის, ერისთავისა და უამრავი სხვა დიდი ქართველი მხატვრების შედევრები თავისი ინტერესის ღირსად არ ჩათვალა. ან მათი სახელები ამ ტელეკომპანიებისთვის არაფრის მთქმელია?! როგორ დავიჯერო, რომ პოლიტიკური სკანდალები, დაჭერები, გურამ პეტრიაშვილის ყოფა, ცრემლმდენი ხატი ან რიგითი აფერისტის "ხილვა" უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია? მაშინ უმჯობესია, კულტურული ბლოკები საერთოდ გააუქმონ. აღარც მიწვევით შევაწუხებთ და არც ოდნავი ინტელექტუალურგემოვნებითი პრეტენზიები გვექნება მათ მიმართ.

## ასეთია გუგა!

ამ კვირაში, TMS-ის გალერეაში საღამოს რვა საათზე დანიშნული გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა, რა თქმა უნდა, დროზე არ გაიხსნა. ნამუშევრების გალერეაში მოტანა, მათი გამოფენა გუგამ, როგორც ყოველთვის, ბოლო წუთისთვის მოიტოვა და დააგვიანა. წინამოსამზადებელმა პროცესმა, როგორც წესი, ნერვიულობასა და სიჩქარეში ჩაიარა. გამოფენის გახსნის დანიშნული დროისთვის პუნქტუალურად მოსული მნახველების ერთი, უფრო ახლობელი ნაწილი გალერეის დარბაზში მაინც შევიდა და გუგას, გალერისტებს ექსპოზიციის მოწყობაში ეხმარებოდა. ავეჯს სპეციალური სითხეებით აპრიალებდა, მტვერს სწმენდდა, ლამფებს აწყობდა, დაუმთავრებელ სავარძლებს ლამაზ, აღმოსავლურ ნაჭრებს აფარებდა, მინის ბოთლებს თაროებზე ალაგებდა. მნახველების მეორე ნაწილი კი რუსთაველზე იდგა, სიგარეტს ეწეოდა, საუბრობდა, გალერეის კარებში იჭყიტებოდა და შემოსვლის ნებართვას, ვერნისაჟის გახსნას მორჩილად და საკმაოდ ლოიალურად ელოდებოდა.

ასეთია გუგა! დროში ვერჩამჯდარი, ათასი საქმე ერთდროულად აკიდებული, არაორგანიზებული, ყველაფრის ბოლო წუთებზე გადამტანი, მაგრამ აშკარად საკუთარი ინდივიდუალური ესთეტიკის მქონე, ნიჭიერი მხატვარი-დიზაინერი, რომლის მიერ შექმნილი ავეჯი, ლამფები თუ დეკორირებული მინა სულ უფრო და უფრო დახვეწილი, მოსაწონი და მოსანდომი ხდება.



ერთი-ორი საათის დაგვიანებით, ანუ, სადღაც ათი საათისთვის გალერეა, როგორც იქნა, ცოტა დალაგდა. მნახველთა ექსპრომტულად მომუშავე ნაწილმა შრომის პროცესი დაასრულა, ამოისუნთქა, საკუთარ ნახელავს გადახედა და თავს დასვენებისა და მოდუნების, ღვინის დალევის უფლება მისცა. ქუჩაში მდგომი, მომლოდინე ნაწილი კი, როგორც იქნა, გალერეაში შემოვიდა და გამოფენაც გახსნილად ჩაითვალა. თუმცა, ფარული ეჭვი მაქვს, რომ შეიძლება გამოფენის გახსნა დროზეც მოხდა და მთელი ეს ქაოსი მხოლოდ გუგას მოგონილი, ასე ვთქვათ, პერფორმანსი იყო, რომელმაც გამოფენების გახსნის ბანალური ფორმა გამოაცოცხლა, აამოძრავა, მნახველები მისი შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები გახადა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გუგას ამ მეთოდმა, თუ ეს მეთოდი იყო, ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში, სწორად იმუშავა. დიდი შუშის რკინისფეხებიანი მაგიდა, რომლის მინა მეც გავაპრიალე და მტვერი გადავწმინდე, საკუთარი შეტანილი წვლილის გამო, კიდევ უფრო მომეწონა. სარკე, რომლის დასაკიდებელ ადგილს სხვა სტუმრებთან ერთად ერთობლივად ვარჩევდით, კიდევ უფრო დახვეწილი მომეჩვენა. დიდი შუშის ლამფა, რომელსაც ნათურა მივუმაგრე, ძალიან მომინდა შევიძინო. თუ, რა თქმა უნდა, ერთი ენერგიული უცხოელი ქალბატონი, რომელიც მუშაობის პროცესში სხვებზე არანაკლებად აქტიურად იყო ჩართული და შედეგად ყველაფრის ყიდვა მოუნდა, რამეს დატოვებს.

ცოტა კი დავიღალე, ვინერვიულე, ვიცინე, გავხალისდი და ვისიამოვნე. ასეთია გუგა!

## "ნიჭიერთა ათწლედი" ჯერ გვჭირდება!









ზ. ფალიაშვილის სახელობის ქართულ სამუსიკო გიმნაზიაში, ანუ "ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში" სკოლის პერიოდში არაერთხელ ვყოფილვარ, რადგანაც იქ ეკა მამალაძე, ჩემი ახლო მეგობარი სწავლობდა და მას ხშირად ვაკითხავდი. ათწლედის საკონცერტო დარბაზში ეკას გამოსაშვებ, საანგარიშო კონცერტებსაც დავსწრებივარ. შესანიშნავად მახსოვს ამ სკოლის შემოქმედებითი აურა. ყველა კლასიდან მუსიკის ხმა ისმოდა. იქვე სკოლის ინტერნატი იყო, რომელშიც მთელი საქართველოდან მუსიკალურად ნიჭიერი ბავშვები ჩამოდიოდნენ, ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ. მახსოვს ამ სკოლის გამოჩენილ, საამაყო კურსდამთავრებულთა ფოტოებით მოჭედილი კედლები, მდიდარი ბიბლიოთეკა. სკოლის მეცადინეობის სიმკაცრეც მწარედ მახსოვს. ეკა მთელი დღეები როიალთან იჯდა და ამხანაგებთან ერთად ვერსად დადიოდა. ყველაფერი, რაც "ათწლედს" შეეხება, კარგად მახსოვდა და სწორედ ამიტომ ნოსტალგიური ინტერესით აღსავსემ, ამ დღეებში მუსიკალური ათწლედის კარი შევაღე.

ეგება ჯობდა, არც შემეღო, არ მენახა და ჩემს მეხსიერებაში ყველაფერი ისევ ისე დარჩენილიყო! გამოჩენილ კურსდამთავრებულთა ფოტოებით გადაჭედილი კედლებია ერთადერთი, რაც ჩემი მოგონებიდან შემორჩა. დანარჩენი კი "ცისფერ მთებს" უფრო გაგონებს, ვიდრე სკოლას. ჩემი სტუმრობის დღეს საკონცერტო დარბაზის ჭერის დიდი ნაწილი ჩამოინგრა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ერთი ბავშვი ნანგრევებში არ მოყოლილა. სკოლა ინგრევა! ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შენობა ყანყალებს, იბზარება, ცვივა, გადაწოლილია, არ თბება. პროვინციებიდან ნიჭიერი ბავშვები აღარ ჩამოდიან, ვინაიდან ინტერნატი დიდი ხანია, არ არსებობს. ინსტრუმენტები სველდება, ნესტიანდება, იშლება, ფუჭდება. მოსწავლეები ხელთათმანებსა და პალტოებში უკრავენ ბრამსს. პედაგოგები კი, რატომღაც, არა და არ იდრიკებიან. გაკვეთილებს შემორჩენილი კლასების სიურეალისტურ გარემოში ან, უბრალოდ, სახლებში ატარებენ, იყინებიან, მიზერულ ხელფასს იღებენ, ძლიერი წვიმის, ქარის ან მიწისძვრის ეშინიათ და მაინც ასწავლიან, ზრდიან, იბრძვიან. რისთვის იბრძვიან? იმისთვის, რასაც ქართული მუსიკალური ტრადიცია ჰქვია. მისი შენარჩუნებისთვის! ნუთუ არავის უჩნდება სურვილი, ამ ბრძოლაში მათ მხარში ამოუდგეს? წლების განმავლობაში სად იყო კულტურის სამინისტრო, ქალაქის მერია, "მელომანი" მეცენატები? რას მიკეთებდნენ, სად იყურებოდნენ, რაზე ფიქრობდნენ? ამ დონემდე ათწლედი როგორ მიიყვანეს? თითო წელს თითო აგური რომ შეემატებინათ, თითო კედელი გაემაგრებინათ, დღეს ხომ ასეთი საგანგაშო სურათი არ გვექნებოდა? საგანგაშო, ოღონდ, რისთვის? ქართული კულტურისთვის, კლასიკური მუსიკისთვის, მუსიკოსებისთვის, მათი არსებობისთვის!

კლასიკური მუსიკოსი ბოჰემური პროფესია არ არის. მას სულ პატარაობიდან სისტემატური, დიდი შრომა, სწორი მიმართვა, დამუშავება სჭირდება. ბავშვის შესაძლებლობებიდან, ტალანტიდან, მონაცემებიდან გამომდინარე, ინსტრუმენტის, ჟანრის ზუსტი, ფრთხილი შერჩევა უნდა მოხდეს. ეს ყველაფერი კლასიკური მუსიკალური განათლების ჩარჩოში ძალიან ფაქიზად, სიყვარულითა და ცოდნით უნდა ჩაისვას, დაიხვეწოს. ეს ურთულესი, უმნიშვნელოვანესი პროცესი წლების განმავლობაში მუსიკალურ ათწლედში მიმდინარეობდა, დღეს კი შეწყვეტის პირას არის მისული. თუ მუსიკალური ათწლედი ვეღარ მოამზადებს ბავშვებს, ვერ მისცემს მათ აუცილებელ, სწორ საწყის განათლებას, მაშინ კონსერვატორიასაც ნელ-ნელა ბაზა აღარ ეყოლება, რომელზე დაყრდნობითაც იგი ქართული კლასიკური მუსიკის პროფესიონალებს აღზრდის. საქართველოში კი ნელ-ნელა არც ერთი სრულყოფილი ორკესტრი აღარ იქნება. დღევანდელი მუსიკალური გემოვნების ტენდენციებით თუ ვიმსჯელებთ, ზოგიერთებმა შეიძლება არც კი იციან, რომ ორკესტრი ინსტრუმენტების, მათზე შემსრულებლების, განათლებამიღებული მუსიკოსების გარეშე ვერ იარსებებს. ნახევარორკესტრი არ არსებობს. თუმცა, ქართველები, ოღონდ არ შევწუხდეთ, ფული არ დავხარჯოთ და შეიძლება ნახევარორკესტრითაც დავკმაყოფილდეთ. დანგრევის პირას მისული, გაუბედურებული, ძალაგამოცლილი მუსიკალური ათწლედითაც დავკმაყოფილდეთ! მით უმეტეს, რომ მისი მოვლა-გარემონტება, გამაგრება არც ისეთ პოპულისტურ სარეკლამო ნაბიჯად მიგვაჩნია. კომერციულად კი ვერანაირ ინტერესს მის უკან ვერ ვხედავთ. მთავარია, ელისო ვირსალაძე რომ ჩამოვა, ბილეთები როგორმე პრესტიჟულ ადგილებზე ვიშოვოთ. არადა, ელისო ვირსალაძეც, იაშვილიც, ზ. ანჯაფარიძეც, ლ. ისაკაძეც, ს. ცინცაძეც, ი. კეჭაყმაძეც, ბ. კვერნაძეც, თ. გაბარაშვილიც, ლ. თორაძეც, ა. კორსანტიაც და უამრავი სხვა ჩვენთვის ასეთი საამაყო მუსიკოსი სწორედ ამ სკოლის, დღეს ჩამოგლეჯილ, კედლებშია აღზრდილი. მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოს-შემსრულებელთა არც ერთი კონკურსი არ არსებობს, რომლის ლაურეატთა შორის "ნიჭიერთა ათწლედის" აღზრდილები არ შეგვხვდნენ.

60-წლიანი ტრადიცია, სკოლა და შედეგი, რომელსაც ქართული მუსიკალური კულტურა ჰქვია, რომლითაც ასე ვამაყობთ, მაგრამ მის გადასარჩენად თავის შეწუხება არ გვინდა, არ გვახსოვს, არ ვფიქრობთ. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს "ათწლედის" პრობლემების სრული იგნორირებით იმ ტოტს ვიჭრით, რომელზედაც ვსხედვართ. დღევანდელი სიძუნწითა თუ გულგრილობით კი ხვალინდელ სიღარიბეს მივაღწევთ - გამოუსწორებელ კულტურულ სიღარიბეს!

# ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

B1 გვერდიდან

ექვსის ნახევარზე "ობელისკთან" ვართ, თოკიდან ვეხსნებით, თოკს ვახვევ და ზურგჩანთაში ვდებ, აქედან "ვაჟა ფშაველამდე", კარვებამდე ორი საათის სავალია თითქმის ჰორიზონტალური ქედი, საშუალო სიმაღლე 6900 მ, დაღამებამდე კი 3 საათია. მე მგონი, ვასწრებთ!

დიმა და საშა მთხოვენ, წინ წავიდე, ჩაი მოვამზადო და თვითონ ნელ-ნელა აპირებენ გამოყოლას. პირობას მაძლევენ, რომ ძალიან არ ჩამომრჩებიან. ჩემ წინ ანდრეი შამრო მიდის. "ვერბლიუდზე" (ყველაზე მაღალი ჟანდარმი, კუზი პობედა-ვაჟას ქედზე) ასვლა დიდხანს გაგრძელდა, მეგონა, აღარ მორჩება-მეთქი. მოსკოველებს ვხედავ, უკან მომყვებიან, ტრავერსის დროს ნისლი ჩამოწვა, მაგრამ კარგი კვალია, დავეწიე ანდრეის და ერთად განვაგრძეთ გზა. უჩვეულოდ მალე ჩამობნელდა. თოვს, ქარიც გაძლიერდა. ქედი ბრტყელია ზოგან, პატარა პლატოებით, ხშირად ვკარგავთ კვალს. ფანრის ელემენტები გაიყინა. კვალის ძიებაში ხშირად ვადგებით ჩინეთის ან ყირგიზეთის მხარის კედლებს. რამდენიმე ნაბიჯიც და 2,5-3 კმ ფრენა მოგვიწევს. უკვე ვგრძნობ ცივი ღამისთევის საშიშროებას, მაგრამ უფრო დიმა და საშა მადარდებენ. გასული დროის მიხედვით, უკვე კარვების მახლობლად უნდა ვიყოთ. სასტვენით ვუსტვენ განუწყვეტლივ, ყელი მიშრება, ვიხრჩობი ხველებით. ანდრეი ვერ ახერხებს სტვენას და შიგადაშიგ ყვირის. უცებ, სრულიად მოულოდნელი მხრიდან, ისმის ვიტალის კივილი და ფანარს გვინათებს. ვძვრები ჩემს გაყინულ კარავში, სულ ყინულით და თოვლითაა სავსე, საძილე ისე ჭრაჭუნებს, მეშინია ხელში არ ჩამემსხვრეს. ვიტალი ცხელ ყავას მაწვდის თავისი კარვიდან. მახსენდება, რომ მრავალი საათია, პირში არაფერი ჩამსვლია. ვიცი, საჭიროა ძალების მოკრება, მაგრამ ლუკმა არ გადამდის. იქნებ მოაღწიონ ბიჭებმა.

გარეთ ქარი ძლიერდება, მსხვილი სეტყვაც მოდის. ვიტალი ჩემი სასტვენით და ფანრით გადის. ნახევარ საათში ბრუნდება. ფანრის შუქები დაინახა ქედზე, ალბათ, მალე მოვლენო. ჩაის ვადგამ, ვადუღებ. რომ არ გაცივდეს, საძილეში ვინახავ. ქვაბიდან საძილეში ნახევარი მდუღარე ჩაიღვარა. ესღა მაკლდა. მოკლედ, სულ სველი ვარ. ნელა მიდის დრო, არ ჩანან, ახლა ჩემი გასვლის დროა. ვიცვამ. სეტყვა ძველებურად მოდის, ჭექა-ქუხილიც დაემატა. გავდივარ, უკვე მიმართულების გარჩევა მიჭირს. ვერაფერს ვხედავ. ვანათებ, ვკივი, ვუსტვენ, რამდენსაც ვუძლებ. ვბრუნდები კარავში. მშიერ-მწყურვალი ჩემს გაუბედურებულ საძილეში ვთვლემ. მაგარ ფილმებში ან წიგნებში ვაჟკაცი ბიჭები იცვამენ და გადიან მეგობრების საშველად. მე და ვიტალიმ ვიცით, რომ მხოლოდ 2-3 საათი გვეყოფა ძალა, მერე ჩვენც საშველები ვიქნებით. ძნელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ კარავში ვრჩებით. ხვალამდე უნდა გაუძლოთ, ბიჭებო, აღჭურვილობა კარგი გაქვთ, არც გამოცდილება გაკლიათ.

გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ ვბორგავ, ვხედავ ათასნაირ კოშმარულ სიზმარს, ჩვენებას, ხშირად ჩამესმის ხმები. კარავს ვაღებ, გავკივი, ჩართულს ვტოვებ ფანარს. ბოლოს თენდება. ადგომისა და გასვლის დროა. ვიტალი შემოდის. ისევ დაგვეღვარა ჩაი. ლოდინი აღარ შეიძლება. გავდივართ.

უკვე საკმაოდ ნათელია, მალე მზეც მოგვადგება. შორს, "ვერბლიუდის" ძირში ვხედავ ბიჭებს, ერთი მოძრაობს, მეორე უძრავადაა. რაც შეგვიძლია ვჩქარობთ, ერთმანეთს ვენაცვლებით თოვლის კვალვაში. არ ვფიქრობ დაღლილობაზე, გაყინულ ფეხებზე, დაშვებაზე, ვფიქრობ მხოლოდ სამუშაოზე, რომელიც, ალბათ, რამდენიმე დღე გაგრძელდება. ძირითადად ვიტალისა და ჩემს კისერზე გადაივლის. უნდა გავუძლოთ, ვიმუშაოთ ბოლომდე...

ერთი საათის მერე გვხვდება საშა ჩესნოკოვი, მობანცალებს, მაგრამ დადის, დიმაც ცოცხალი ყოფილა, ოღონდ ვერ დადის, კოორდინაცია აქვს დარღვეული. ნახევარ საათში დიმასთან ვართ. ცოცხალია, სიხარულის გამოხატვა კი ჯერ ადრეა. ვასმევთ, ხელებზე, ჯერჯერობით, პირველი ხარისხის მოყინულობა ჩანს, ფეხებს მერე ვნახავთ. თოკში ვაბამთ და ვიწყებთ დაშვებას. დიმა კვნესის, თითქმის ტირის, ქანაობს გახევებული ფეხებით, რობოტივით მოძრაობს, ჩვენ გვერდში ვუდგავართ, ვიჭერთ, ვიცავთ. ყოველი ხუთი-ათი ნაბიჯის მერე ჯერ მუხლებზე ეცემა, მერე პირქვე წვება. რამდენიმე წუთს ვაცლით. გაჭირვებით ვაყენებთ ფეხზე, ჯოხებს ხელებში ვაძლევთ და შემდეგ ხუთ ნაბიჯს გავდივართ. მერე და მერე მუხლებზე აღარ დგება, პირდაპირ მოუხრელად ეცემა სახით თოვლში. აღარ მაქვს იმედი, რომ კარვებამდე მივაღწევთ. დიმას გულის ჯიბეში რაციას ვპოულობ და მიხაილოვს ვატყობინებთ, რომ, ჯერჯერობით, ცოცხლები ვართ და ვმოძრაობთ. შვებით ამოისუნთქა საბაზო ბანაკმა. არ ვჩერდებით. დიმა ზოგჯერ ოთხზე ცდილობს სიარულს, ზოგჯერ ვაცურებთ. აღმართები გვიჭირს. აქ ორ-სამ ნაბიჯს აკეთებს მხოლოდ. გვიჭირს დაჭერა. მძიმეწონოსანია დიმა, მე და ვიტალი კი გასავათებულები ვართ. ხშირად გვივარდება ხელიდან.

ხუთი საათის სიარულის მერე კარვებიც გამოჩნდა, ვიტალი წყლის გასადნობად მიიჩქარის, მე და დიმა ვაგრძელებთ ფორთხვას. კარავში სანახევროდ მიძვრება, ფეხებს გარეთ ტოვებს. ვხდი წრიაპებს, ვხსნი თოკს. ვიტალი ასმევს ცხელ ჩაის, წვენებს, ჭამის თავი კი არ აქვს. საძილეებს ვაფარებთ, მაშინვე იძინებს. ჩვენ ვთათბირობთ,















ვყოყმანობთ, ხომ არ დავრჩეთ კიდევ ერთი ღამე აქ, მაგრამ მიხაილოვი ჩვენზე უკეთესად აზროვნებს საბაზო ბანაკში და კატეგორიულად მოითხოვს, დავეშვათ, დავკარგოთ სიმაღლე, თუნდაც 100-200 მ, ჩვენს შენელებულ გონებასაც წვდება, რომ აუცილებელია დაშვება. ამ სიმაღლეზე დარჩენა კიდევ უფრო გამოგვფიტავს. ვიწყებთ ჩალაგებას, მზადებას. ბოლოს დიმას ვაღვიძებთ, კარვიდან გამოგვყავს. თავიდან ცოტას გვეწინააღმდეგება, მერე გვნებდება. ვაცმევთ წრიაპებს. ზურგჩანთაში მხოლოდ ბუმბულის საძილეს ვუდებთ, დანარჩენს ჩვენ ვინაწილებთ. ვშლით კარვებს. მე და დიმა ვებმებით თოკში და "ვაჟაზე" ვიწყებთ ასვლას, სულ რაღაც 200 მ. გვაქვს მწვერვალამდე. საათნახევარი გაგრძელდა ასვლა. ძალიან უჭირს სიარული, ფეხზე დგომა, სტკივა ზურგი, კისერი, ვერ ხმარობს მარჯვენა ხელს. ისევ ეცემა, წვება, მძიმედ სუნთქავს. ფეხზე ვაყენებთ, ვუბიძგებთ, წინ შამრო და ჩესნოკოვი მიბარბაცებენ.

ზედ მწვერვალზე თოვლის გრძელი პალო დავარჭვე და თოკი დავკიდე. მყარი ფირნია. დიმა ზურგზე წვება და დაცვებით მისრიალებს. ასე გრძელდება რამდენიმე თოკი. მერე ისევ ფეხზე უწევს წამოდგომა. აქედან უკვე ირიბი ტრავერსი იწყება. თოკს ვამოკლებ და ისე ვიცავ. ვხედავ, ვიტალი უკვე ქვემოთ, პოლონელების ნაბანაკარზეა, რამდენიმე წუთში ყველა იქ ვართ. დიმა თოვლზე წვება, ჩვენ კი ვმუშაობთ. მოედანს ვასწორებთ. არ არის საკმარისი ადგილი ორი კარვისთვის, დიდ ქვებს შორის ძლივს ვეტევით.

■ ■ ■

**28.08.** მარიამობა. სიმაღლე 6700 მ. კარვის კედელთან ვწევარ. ვეღარ ვსუნთქავ, ვიხრჩობი. ეს არ არის უჟანგბადობა, ვგრძნობ ფიზიკურ სიმძიმეს. მართლაც, დიდი თოვლი მოსულა, ერთ მეტრამდე. თოვლით დამძიმებული კარვის კალთა ზედ მაწვება და მახრჩობს.

ისევ თოვს. კარვიდან გამოვძვერი, ნიჩბით კარგა ხანი ვიმუშავე, სანამ ორივე კარავს გავათავისუფლებდი.

რამდენიმე საათში, ძლიერ თოვაში და სეტყვაში ვიწყებთ დაშვებას, წინ ვიტალია, მე თოკის ბოლოში, დანარჩენები შუაში გვყავს ჩაბმული. მხედველობა ცუდია, ზოგჯერ თოკის ბოლოს დანახვა მიჭირს. ვეშვებით თითქმის ხელების ცეცებით, ინტუიციით, წელამდე თოვლში. ხშირად ვწყვეტთ პატარ-პატარა ზვავებს. უკნიდან რაღაც სიმძიმეს ვგრძნობ, მერე ძლიერმა დარტყმამ მომცელა, ვასწრებ მარჯვენა ხელით წერაყინის მოქნევას, წერაყინი ღრმად ჩადის თოვლში და კლდის ქიმს ედება, ზვავი მდინარესავით მიედინება ჩემ ქვემოთ, სიჩქარის აკრეფას ვერ ასწრებს, მე კი მის ზედაპირზე ვრჩები, ცალ ხელზე გამოკიდებული. ისევ გადავრჩით!

დაცვები უმეტესად სიმბოლური გვაქვს, კლდის ქიმებზე არა უშავს, მაგრამ თოვლი უმეტესად ფხვიერი და ფაფუკია, არ იტკეპნება, წერაყინზე და თოვლის პალოებზე ზედ მიწევს ფეხით შედგომა, დატვირთვისას, რომ არ ამოვარდეს. 40-მეტრიანი თოკიც არ არის საკმარისი ხუთი კაცისთვის. სიმაღლის დაკარგვასთან ერთად უმჯობესდება დიმას მდგომარეობა, ნაკლებად გვთხოვს გაჩერებას. ვმოძრაობთ, უფრო სწორად, "მივცურავთ" გაუჩერებლად. ნებისმიერ წამს შეიძლება დამთავრდეს ყველაფერი, ან კიდევ უარესი, გზა დავკარგოთ და ასე გაგრძელდეს დაშვება, სანამ გავუძლებთ... ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო. ყველაფერს, რაც უახლოეს საათებში გველოდება, ღირსეულად შევხვდე. დღეს ხომ მარიამობაა, ღვთისმშობელი დაგვიფარავს ყველას, თუმცა მონათლულები მარტო მე და შამრო ვართ.

საღამოს ექვსი საათისთვის 6100-ზე ვართ. აქ შეიძლება ღამისთევა, მაგრამ თუ 5800-მდე ჩავაღწევთ, თითქმის სამშვიდობოს ვიქნებით გასულები. 6100 მ-დან დიდი, თოვლიანი ფერდობებია შემდეგ კლდოვან სარტყელამდე. ძნელია ორიენტირება, რამდენჯერმე უკან დაბრუნება და მერე საზვავე ფერდის ტრავერსი გვიწევს, ჩვენს ქედზე რომ "დავჯდეთ". ვიტალი მანიშნებს, რომ გზა იპოვა. ვნახულობთ ძველ თოკებს. დაღამებამდე ორი საათი რჩება, კიდევ რამდენიმე თოკი და გამოვდივართ შავი ღრუბლიდან. ქვემოთ მოჩანს ულელტეხილი "დიკი", 5800-ზე გამოქვაბულის შესასვლელთან დატოვებული თხილამურის ჯოხები, "ვეშკა" (გზის მაჩვენებელი ალამი).

გამოქვაბულში ვიღებ მწვერვალიდან წამოღებულ პოლონელების არაყს და თევზს და ქართულად ვილოცები. უკვე სამშვიდობოს ვართ. მართალია, ტანსაცმელი და საძილეები სველია და საშინელი ღამისთევა გველოდება, გაზი გათავდა და რამდენიმე ჭიქა წყლის გადნობა შეგვიძლია, გზაზე ერთი-ორჯერ კიდევ მოვყვებით ზვავში, ნაპრალშიც რამდენჯერმე ჩავვარდებით, ბოლოს ყინულვარდნილზე თოკები ღრმად იქნება ჩაყინული და ბევრს ვიწვალებთ, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე რიგითი პრობლემებია; ახლა მთავარია, ჩვენ ისეთ სიმაღლეზე ვართ, სადაც შეიძლება ცხოვრება. ხვალ საბაზოდან დამხმარე ჯგუფი გამოვა, კომპოტს და ჩაის დაგვახვედრებენ, ზეგ კი ვერტმფრენი "მოგვხსნის" და ერთ საათში ფეხშიშველები ვივლით ბალახზე. იქამდე სულ რაღაც ორი დღეა!






## TV პროგრამა

*13 ნოემბერი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ვიქტოროო, ვიქტორია" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.20** მხ. ფილმი "ეის ვენტურა" **22.00** "ფსიქო"- "ასეთია სპორტული ცხოვრება". რეჟ. ლიდსეი ანდერსონი (18). **01.20** მხ. ფილმი "ორნი ქალაქში". მთ. რ-ში: ალენ დელონი (18)ყ

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ) **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** მხ. ფილმი "ორერა სრული სვლით" **15.15** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.25** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" **22.15** საღამოს საუბარი **23.00** სპექტაკლი "გუშინდელნი" **00.45** მხ. ფილმი "გადაღების ერთი დღე" (გ)

### კავკასია

**15.00** მხ. ფილმი "მოცეკვავე ქალი" **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "წითელი თავსაფარი" (გ) **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ამბავი საბრალო შეყვარებულებისა" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეჟურნალი "სცენა" **22.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **00.00** მხ. ფილმი "ღამის თავგადასავალი" (15) (კიანუ რივზი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **20.40** საქართველო არის ესე **21.10** "იმღერე რამე" **21.30** დრო და ადამიანები **21.45** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.00** ასე ვცხოვრობთ **22.25** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

**18.00** მინისერიალი "ხაბაზები" მე-6 ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "უწმინდური" (გ) მე-2 ს.

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "სინდბადი მეზღვაური" 1-26. **10.00** მხ. ფილმი "უილბლონი" (გ) (ჟან რენო) **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.30** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.15** ქართ. ფილმი "მშვიდობით ლენინ" (გ) (დ. ბრული) **15.15** "უცნობი საქართველო" **15.40** "წუთისოფელში"- გარეჯა **16.30** "ნბა-ჟურნალი" **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.45** ვაკაჭი-ნიუსი **20.15** მხ. ფილმი "კვინსში ასე ხდება" (12) (კ. ბეიკონი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.00** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** მულტსერიალი **10.05** სათავგადასავლო ფილმი "მეათე სამეფო" 1-ლი ს. **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **11.45** კომედია "თავქარიანები" 1-ლი ს. **13.05** მუსიკა **13.10** სათავგადასავლო ფილმი "ბრძოლა შეიკერ ჰეითსთან" **14.45** მხ. ფილმი "სასიამოვნო წყვილი" **16.55** მუსიკა **17.00** მულტფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.45** კომედია "უთქმელი სიყვარული" **19.45** დოკუმენტური ფილმი **21.00** მხ. ფილმი "ქართან მოსაუბრენი" **23.15** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** დრამა "არსად აფრიკაში"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** История динозавров в фильме “Мы вернулись”. **06.40** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА".** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** “Любовные истории”. Виктория Толстоганова. **11.10** Кремль-9. “Дворцовые тайны”. **12.10** История с географией. “Мекка изнутри”. **13.20** “Глеб Жеглов, Володя Шарапов и другие - 25 лет спустя”. **13.50** “Умницы и умники”. **14.30** Дисней-клуб: “Приключения Мики и Дональда”. **15.00** Якубович в фильме “Одесса. Сентиментальное путешествие”. Ч.1. **16.00** “КВН-2004”. Премьер-лига. Второй полуфинал. **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** СОФИЯ РОТАРУ И ДРУГИЕ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Жан-Клод Ван Дамм в боевике **“ИНФЕРНО”** **01.10** Европейский хоккейный тур. **Сб. России - сб. Финляндии**. **02.30** Ник Манкузо в триллере **“ЛОВУШКА”** **04.20** Сериал **“УБОЙНЫЙ ОТДЕЛ”.** **05.00** Владимир Пресняков в программе “Русский экстрим”.

### НТВ

**06.00** Остросюжетный фильм **“МАРАФОНЕЦ”. 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм “Возвращение блудного попугая”. **08.25** Сериал **“2,5 ЧЕЛОВЕКА”. 08.55** “Без рецепта”. Доктор Бранд. **09.25** “Дикий мир” **10.20** Михаил Светин в программе “Растительная жизнь”. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **14.00** Андрей Соколов в детективе **“ОХОТА НА СУТЕНЕРА”** **16.20** “Женский взгляд”. Просто Мария. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **“ТАКСИСТКА”. 19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **“МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2: СМЕРТЬ В ПРЯМОМ ЭФИРЕ”**. Ч.1. **21.15** Евгений Миронов в комедии **“ЕСТЬ ИДЕЯ” 23.30** Майк Тайсон. **Майк Тайсон против Джулиуса Франсиса. 00.10** Микки Рурк в фильме **“ДИКАЯ ОРХИДЕЯ”**. **02.20** Футболлистика. **03.05** Сериал **“КЛАН СОПРАНО”. 05.10** Ник Нолти в боевике **“КРАЙНЕЕ ПРЕДУБЕЖДЕНИЕ”**







## განცხადება

შპს "ცაგო" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე : თბილისი, აბაშიძის 8, ტელეფონი 94-25-74 ვლადიმერ გაწერელია.

**საქ.კანონი მეწარმეთა შესახებ 14.2**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ფ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.